



# ისტორიული გეგვიდრაობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2014 წ. იანვარი, №1 (42), ფასი 3 ლარი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნივერსალისა და უნებარესის ილია II-ს საშობაო ეპისტოლე

## «ნათელი ქრისტესი განგვიანათლებს ყოველთა!»

## სტალინი — 134 «ოქროს ხანის გეტაფორა» ლუბოვ ორლოვა და სტალინი

- ქართველები — მოსკოვის ბრძოლის 14 გვირაბი**
- საქართველო ორიენტი-კავალი უნდა იყოს კოლოზიკად სუფთა კოდექსის ნაბრძანაზე და ამის 23 საკანონ-გდებლო გზისი სახელმწიფო უნდა შექმნას**
- 26 გიორგი ტოვსტო-ნოვოვი — ქართული თეატრის ოსტატი და უემოქმედი**
- 29 უკვდავი გეგვიდრაობის გეგვი-ბრწყინება**
- 35 ილია ჭავჭავაძე და არტურ ლანისტი**
- დასავლურ-ქართული კულტურის 37 ქებლები**
- გეგვიდრაუ-45 გეგვიდრაობის აღორძინება ერთ-ერთი მოგვიდრაობის სახე იქნება ჩვენი მოსახ-ლეობისთვის**



სვანა ლენინბერგის დიდი აკადემიური თეატრის  
სამხატვროჯგუფი „ხანუშა“. რუმინური გიორგი ბრუნოვი

# სარჩევი

საუბრაო ეპისტოლე

- **«ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!»** 4
  
- სტალინი - 134
- **«ოქროს ხანის მებრძოლა» ლუბოვ ორლოვა და სტალინი** 7
  
- **«სტალინი ოთხი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა აღტახებული და განსაკრებული»** 11
  
- ისტორია
- **ქართველები – მოსკოვის ბრძოლის გმირები** 14
  
- განათლება
- **გიორგი გოგოლაშვილი: მჯარა, უნივერსიტეტი ფეხზე დადგება. სხვანაირად არ შეიძლება. უნივერსიტეტში ის მაღლია, როგორც ივანე ჯავახიშვილმა ჩადო** 19
  
- სოფლის მეურნეობა
- **გადრი რაშივილი: საქართველო ორიენტირებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებაზე და ამის საკანონმდებლო ბაზისი სახელმწიფო უნდა შექმნას** 23
  
- ქართული ხელოვნების სამსახურში
- **გიორგი ტოვსტონოვოვი – ქართული თეატრის ოსტატი და შემოქმედი** 26
  
- პოეზია
- **უკვდავი მებრძოლის გამოგონება** 29
  
- ფოტოალბომი
- **სტუმრად ჯეიმს ლანანიქსთან** 31
  
- მეგობრობა გზად და ხიდად
- **ილია ქავჭავაძე და არტურ ლანსტი** 35
  
- არქიტექტურა
- **დასავლურ-ქართული კულტურის ქვეყნები** 37
  
- მეაბრეშუმეობა
- **მეაბრეშუმეობის აღორძინება ერთ-ერთი მოგზავნიანი და პარსეპტიული საქმე იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის** 45
  
- იცით თუ არა
- **თბილისის უბნების სახელების ისტორია** 49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ლარეჯან ანდრიასიძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

# «ნათელი ქრისტესი განგანათლებს ყოველთა!»

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების ტაძარში ქრისტეშობის სადღესასწაულო წირვაზე შეკრებილ მრევლს საშობაო ეპისტოლეთი მიმართა.

პატრიარქი მრევლს მოუწოდებს, გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა უფლის, სამშობლოს, სამსახურის, ოჯახისა და ახლობლების წინაშე.

პატრიარქი ასევე მიმართავს ახალგაზრდებს და მოუწოდებს მათ, გაუძღონ ინფორმაციულ შემოტევას, ნუ მოექცევიან «ცრუ ღირებულებების» გავლენის ქვეშ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლემ საზოგადოებაში დიდი და დადებითი გამოხმაურება გამოიწვია; ერთი ნაწილი კი გააღიზიანა იმ ადგილმა, სადაც სუროგატ დედებზე და ხელოვნურ განაყოფიერებაზეა საუბარი. ზოგიერთმა ისიც კი ჩათვალა, თითქოს ეკლესია ასეთი მეთოდით დაბადებულ ბავშვებს უპირისპირდება, რაც სრული აბსურდია. გათავაზობთ 2013 წლის საშობაო ეპისტოლეს უცვლელად.



„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის ხსნისა დასრულდა. აღსრულდა მრვალ თაობათა ნატვრა — იშვა იესო.

ოცი საუკუნის წინ აღმობრწყინებული ბეთლემის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ენით მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თვით ანგელოზთა დასიც.

თითქმის არ არის არც ერთი ქვეყანა, არც ერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დადგომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრისთვის უცნობია ასეთი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას ავალდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს.

უმრავლესობა ვერ გვიპასუხებს, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრი-

ვი ბუნება უფალმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე?

ამის გაგება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მხიარულების რაღაც მიზეზი აქვთ. დაე, იყოს ეს ქრისტეს შობა, არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელნიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან სარწმუნოებაში, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს:

ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამპარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად, დაეცა მინიერი სამყაროც, რომელიც მას ექვემდებარებოდა. ღვთის მაღლით აღვსილი ჰარმონია, წმ. მაქსიმე აღმსარებელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთდაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებ-

ში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაექვემდებარა პრინციპს — ბრძოლა არსებობისთვის.

ასე რომ, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა დაკარგეს სულიწმიდის მაღლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მაღლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუმზადეს.

ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა ხსნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელეწიფებოდა, სხვათა სიმძიმე ეტვირთა. ასეთი კი ამქვეყნად არ იპოვებოდა, რადგან პირველქმნილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებიც ემატებოდა.

ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნე-

ბა მიიღო და ჩვენი ხსნისთვის დავითის ქალაქში, ბეთლემში, იშვა.

აქ, ბაგაში, სიცივესა და სიმწირეში დაიბადა ახალი ადამი — იესო, რათა ამპარტავნებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოესყიდა, მართალთა სულები ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღედგინა. აი, ეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისა.

სხვა რა უნდა შევადაროთ ამ დღის სიდიადეს?! როგორ ხორციელდება პირველქმნილ ჰარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში ქრისტიანული ნათლისღებით. „ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!“ — ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მოძღვარი და შვიდჯერ სცხებს მირონს მას, ვინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმინდის მაღლი და ეძლევა განღმერთობისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა.

ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა მამები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებულნი კითხულობდნენ: „**რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?**“ (ფს. 8:4).

ჩვენი ხსნისთვის მაცხოვრის თავგანწირვა, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ ეპისტოლეში სწორედ აღნიშნულ გრძნობაზე მინდა განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება.

ეს თვისება ადამიანში ასაკთან ერთად ვითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პიროვნება, მით მეტად არის მასში ეს განცდა.

პავლე მოციქული ამბობს: „**როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის დროინდელს**“ (1 კორ. 13:11).

ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა, ანუ სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი პასუხისმგებ-

**ლობისა, უპირველეს ყოვლისა, შემომქმედის – უფლის, სამშობლოს და მოყვასის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან მიმართებაში, ასევე სამსახურებრივ პასუხისმგებლობას.**

ჩვენი წინაპრები თავიანთ შვილებს ბავშვობიდან უღვივებდნენ ამ გრძნობას, ამიტომაც იყო ჩვენი ერი ძლიერი. მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იგი იბრძოდა კიდეც და ამასთან, დაულალავად შრომობდა და ქმნიდა.

რწმენისა და მამულის დასაცავად საჭიროების შემთხვევაში ქუდზე კაცი გამოდიოდა. საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავადაზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეკლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერს, სამწყსოს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; ყველანი ერთად კი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყანას. რომელიმე მათგანის დაძაბუნება იწვევდა ყველას დასუსტებას, რადგან არც ერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო; თუმცა რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის განწირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი, მაგ. წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. ევდემოზ კათოლიკოსი, ზოგჯერ კი მთელი ერის, მაგ., 100000 მონამის.

**თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება.**

გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სა-

ქართველოში: მთელი ეს ჰარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა, ძალაუფლება უცხო ძალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავადაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწვავეთ გლეხკაცობაზე აისახა.

ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ძირფესვიანად შეცვალა. საქვეყნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა.

დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით „ბედნიერი ერი“ ნათლად დაგვანახა.

**ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათვისტური პარტია აირჩია. შემდეგ კი კიდევ უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის ნაწილი გახდა.**

უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს მოწყალეც, რომელიც არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისათვის გვწვრთნის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენის დატევნა შეგვიძლია. ამიტომაც რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უკეთესად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ და მრავალჭირგამოვლილი წმ. იოანე ოქროპირის მსგავსად მუდამ მაღლობას უნდა ვწირავდეთ ღმერთს ყველაფრისათვის. და თუ გვსურს მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენი თუ ვერაფერს გავხდებით. მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამლუპველი იყო და იქნება ყოველთვის.

სამწუხაროდ, თითოეულ ჩვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გულგრილი ქრისტიანები ვართ, ნელ-

თბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ვუშვებთ. ჩვენში მძლავრობს ეგოისტური ზრახვები და „მეს“ პრინციპი, რაც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამანგრეველია.

ჩვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს, ფაქტობრივად, მიწიერი გრძნობებით ვეგებებით და რეალური განცდა ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობისა, არ გვაქვს. რომ ჩვენს გარშემო ვამჩნევთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს ან გვძულს, სხვა უბრალო ადამიანები კი ყურადღების მიღმა გვრჩება. ღვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს. რომ ცოდვა აღარ გვანუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქვს. რომ თითქმის განყვეტილი გვაქვს კავშირი ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ვიჩინებთ და ჩვენი უპასუხისმგებლო ქცევით ვანადგურებთ მის სიკეთეს.

ჩვენი დანაშაულია ისიც, რომ რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას; არადა, მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრიც ნათლად გავაცნობიეროთ.

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ დღეს ინფორმაციული ომის ყამი დგას, კალმით, ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.

განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვთხოვო: გაუძელით ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიიდან და ცდილობს, ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდოკულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის

შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანის ერთგული მეციხოვნენი გახდეთ.

დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საკმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ ღვთის საუფლოში.

ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ მათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას და ამქვეყნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან.

ყოველი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, — ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აკისრია.

საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვრებელი ნიაღვარია, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვალებელი რწული და მოძღვრება, ყველა ეპოქაში მოწმობს ჭეშმარიტების შესახებ.

გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რომელთაც ეკლესია ოცი საუკუნის წინ ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, ძალმომრეობისა და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სახარება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისკენ.

ყოველი ქრისტიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. მრევლის თითოეული წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მოძღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პი-

რად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მომქმენდი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას ღვთის სათნო შვილად აქცევს; შედეგ კი უკვე იგი თვითონ ხდება გზის მაჩვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოიხვეჭე სულიწმინდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხოვნდებიანო.

თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, მოიპოვოს სულის სიღრმეში დამალული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვალდებულია, ააღორძინოს იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს.

შორეული ქვეყნებიდან ახლადშობილი იესო ქრისტეს თაყვანისსაცემად მიდიან აღმოსავლენი მოგვნი, მიდიან მწყემსნიც თავისი გულწრფელობით, ანგელოზთა გალობის მსმენნი. მაშ, წავიდეთ ჩვენც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწოლი იესოს დიდებულება და აღარასოდეს განვშორდეთ, რადგან საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მასა აქვს მხოლოდ. (ინ. 6:68).

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!“

ჩემო სულიერო შვილებო, ჩემო ნათლულებო, ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო და ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო... ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მადლი სულისა წმიდისა, რათა იხაროთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!“

**ილია II,**

**სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი.  
შობა ქრისტესი, თბილისი,  
2013 წელი**



# «ოქროს ხანის მეტაფორა» ლუბოვ ორლოვა და სტალინი

21 დეკემბერს იოსებ სტალინის დაბადების დღეა. ბუნებრივია, რომ ჩვენი ჟურნალი ამ თარიღს გვერდს ვერ აუვლიდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ანტიისტალინულ-ხრუსჩოვისტა მცდელობითა და მეთაურობით დაწყებული, სიცრუითა და მიკერძოებულობით დაღდასმული, ანტიმეცნიერული კამპანიის შედეგად დაშინებული ჩვენი ისტორია, ბოლოს და ბოლოს, ობიექტურობის ჩარჩოებში უნდა ჩაჯდეს; და მეორეც: დღეს სტალინის, მსოფლიო ისტორიის ამ ურთულეს ფენომენთან მიახლოებას ცდილობს ჩვენი მასმედია. ქვემოთ პუბლიკაცია მხოლოდ ერთი შტრიხია ამ ბუმბერაზი ფიგურის პორტრეტისთვის, მისი ადამიანურობის, მისი სუფთა და თბილი გრძნობების მეტ-ნაკლებად წარმოსაჩენად.



ცნობილია, რომ იოსებ სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი, უქმნიდა მათ შესანიშნავ პირობებს შემოქმედებითი მუშაობისთვის.

მაგრამ გამორჩეულად თბილი, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა იმ ეპოქის ლეგენდარულ მსახიობთან, „ოქროს ხანის მეტაფორასთან“ — ლუბოვ ორლოვასთან. თანამედროვენი იხსენებენ, რომ, უაღრესი დაკავებულობის მიუხედავად, სტალინი ზოგჯერ გამონახავდა დროს მასთან ტელეფონით სასაუბროდ. ასეთი სა-

უბარი შეიძლება ერთი საათიც კი გაგრძელებულიყო.

პირველი ცოლის — ეკატერინე სვანიძის გარდაცვალების შემდეგ, რაც იოსებ ჯულაშვილმა ძალიან განიცადა, მას უთქვამს, ამ სიკვდილმა ჩემში ყოველგვარი ადამიანური გრძნობა ჩაკლაო.

ეს განდევნობა მას კიდევ უფრო გაუძლიერდა მეორე ცოლის — ნადეჟდა ალილუევას თვითმკვლელობის შემდეგ.

და ამ დროს გრძნობათა უსასრულო სივრცის ჰორიზონტზე გამოჩნდება ლუბოვ ორლოვა. ეტყობა, მისმა განსაკუთრებულმა მომხიბვლელობამ, სიცოცხლის სიყვარულმა, სიხალისემ, რაც წყაროს წყალის სინმინდით გადმოსჩქეფდა მის მიერ განსახიერებული კინოროლებიდან („მხიარული ბიჭები“, „ვოლგა-ვოლა“), გაარღვია ბელადის მარტოსულობის ჯებირები.

ალბათ, სხვა მიზეზებიც იყო. არავინ იცის.

ასეა თუ ისე, მათ შორის ჩამოყალიბდა მართლაც სუფთა და უნიკალური მეგობრობა და, როგორც ყოველთვის, ავისმოსურნეები და საკუთარი ბინძური თვალით სხვათა შემფასებლები, ამ ურთიერთობის ნაბილწვასაც შეეცადნენ.

ნუ გავიმეორებთ. სამწუხაროდ, არც ჩვენი თანამედროვენი აკლებენ ხელს. მათი

„პრინციპული“ შემოქმედებითი ერთი-ორი ნაყოფის განხილვა კი ღირს, თუნდაც იმიტომ, მხოლოდ აღშფოთების ანაბარად რომ არ დავრჩეთ.

ერთი, ტელეეკრანს შეჩვეული კინომცოდნე ორლოვას სტალინთან სიახლოვის ყოვლისშემძლეობაზე ლაპარაკისას ასეთ „უნყინარ“ ამბავს უყვება ტელემყურებლებს: „სამხედრო თარჯიმანი ივან ლუკაშევი იხსენებს: „ლუბოვ ორლოვამ 1943 წელს გადაწყვიტა, მოეძებნა მეგობარი ლენინგრადში. მან ერთ-ერთ მარშალს სთხოვა, მისთვის პირადი თვითმფრინავი გამოეყო. მარშალი აღშფოთდა: „ომია! ლენინგრადი ბლოკადაშია!“ ორლოვა ცოტა ხნით დადუმდა, შემდეგ შემპარავი ხმით განაგრძო: „პირადად დავურეკო ამხანაგ სტალინს?“

ბლოკადაში მყოფ ლენინგრადში ჩასვლა, რომელიც განუწყვეტლივ იბომბებოდა, უკვე თავისთავად გმირობა იყო. ლენინგრადელები შიმშილით იხოცებოდნენ, პირდაპირ ქუჩაში ეცემოდნენ გამოფიტულები და უფალს სულს აბარებდნენ. ამ ქალაქიდან თუნდაც ერ-





თი ადამიანის გამოყვანა, მეგობარი ქალის პოვნა და გადარჩენა (ხაზს ვუსვამ, მეგობარი ქალის და არა „მეგობრის“, რომელიც ქვეტექსტითაა დატვირთული კინომცოდნის მინიშნებით) უმაღლესი კეთილშობილების გამოვლენაა და არა კაპრიზი ლამაზი ქალის, რომელიც მარშალს პირადად სტალინთან დარეკვით აშინებს.

სხვა გამოსავალი არ ჰქონდა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ხოლო რას ნიშნავს „პირადი თვითმფრინავის გამოყოფა“, ამის ასახსნელად იმ კინომცოდნეს მიმართეთ.

„დახვეწილი“ ქართულია. ახლა მეორე ფაქტი.

„...ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე სტალინმა კრემლში საზეიმო მიღება მოაწყო. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ გრიგორი ალექსანდროვი და ლუბოვ ორლოვა. საბჭოთა კინოს ვარსკვლავის დანახვისთანავე სტალინს უკითხავს: „როგორი პატარა, როგორი გამხდარი ყოფილა. რატომაა ასეთი გამხდარი? რატომაა ასეთი ფერმკრთალი?“ ლუბოვ ორლოვამ ყველაფერი მეუღლეს გადააბრალა: „აი, ესაა დამნაშავე, გამანამა თავისი გადაღებებით...“ სტალინს შუბ-



ფილმ „ვოლგა-ვოლგას“ ნახვის შემდეგ, ლუბოვ ორლოვა სტალინის საჰვარელი მსახიობი განდა

ლი შეუჭმუხნია და ალექსანდროვისთვის თითი დაუქნევია: „დამახსოვრეთ, ამხანაგო! ორლოვა ჩვენი ხალხის საკუთრებაა. ორლოვა ერთი გვყავს. მის წამებას თუ გააგრძელებთ, სასტიკად დაისჯებით. ჯერ ჩამოგვიდებთ, მერე კი ზარბაზნებით (!) დაგხვრეტთ და თქვენს ცხედარს ნაკუნებად ვაქცევთ“.

იუმორიც კი „შავია“ — კაცთმო-

ძულე დიქტატორის „შავი“ ხუმრობაა.

იყო კი ასე?

არა, მთლად ასე არ ყოფილა.

ერთ-ერთ საზეიმო მიღებაზე კრემლში, რომელზეც ორლოვა და მისი მეუღლე, კინორეჟისორი ალექსანდროვი იყვნენ, ისინი გადაღებიდან პირდაპირ მივიდნენ.

დაღლილი ლუბოვ ორლოვა ცუდად გამოიყურებოდა. სტალინმა ეს შენიშნა. „ლუბოჩკა, — თქვა მან, — თქვენ ცუდად გამოიყურებით... ამხანაგო ალექსანდროვ! თუ სამუშაოთი ასე გადატვირთავთ თქვენს ცოლს, დაგხვრეტთ“...

ესეც „შავით“, იუმორია, მაგრამ არა ისეთი გულგასახეთქი, როგორიც ზემოთ წაიკითხეთ.

ასეთი ფაქტები, როგორც წესი, ვრცელდება, ფოლკლორში გადადის სხვათა და სხვათა ფანტაზიით გამდიდრებული.

ნიკოლაი სტარიკოვის წიგნში „სტალინი. ერთად გავიხსენოთ“ ერთი კარი სტალინის იუმორს ეთმობა, ეს შემთხვევა ასეა წარმოდგენილი:

„სტალინს ძალიან მოსწონდა ლუბოვ ორლოვა... ერთხელ მიიწვია თავის ქმართან, რეჟისორ გრიგორი ალექსანდროვთან ერთად.“



ლუბოვ ორლოვა სტუმრად უნი და ჩარლი ჩაპლინთან. 1960 წ.





ორლოვაზა ამბობდნენ, რომ იგი ბრწყინვალე დიასახლისი იყო, მათ სანაღვე ვნუკოვოვი ლეგენდები დადიოდა. მაგრამ მას საერთაოდ არ ესაჩვენებოდა საჭმლის მომზადება. 1955 წ.

სხედან, საუბრობენ იქითურ-აქეთურ ამბებზე. უცებ სტალინი ეკითხება ორლოვას:  
 — თქვენი ქმარი ხშირად განუხებთ?  
 ისიც ხუმრობით უპასუხებს:  
 — არა, იშვიათად.  
 სტალინი — სერიოზულად:

— უთხარით მას (იგი კი გვერდით უზის), ჩვენ მას ჩამოვასრრობთ. ასევე იშვიათად. მხოლოდ ერთხელ.

ორლოვა შეშინებულია...  
 (ამის შემდეგ მოდის სიტყვათა ისეთი თამაში, რისი თარგმნაც შეუძლებელია. ამიტომ რუსული ორიგინალით დავამთავროთ ფოლკლორის ეს ნიმუში).

„სტალინი:  
 — Мы его повесим.  
 Орлова уже испуганно:  
 — За что, товарищ Сталин?  
 Сталин невозмутимо:  
 — За шею, — ответил и рассмеялся“.

ასე ხუმრობენ ერთმანეთთან დაახლოებული ადამიანები.

### მოწაფული გარდები სამგლოვნიარო თაიგულუ

აღზევებულ ლუბოვ ორლოვას მტერი და მოშურნე არ აკლდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი სტალინთან მისი სიახლოვეც იყო. ერთხელ მისი სიცოცხლის ხელყოფასაც შეეცადნენ.

ნონა გოლიკოვა იხსენებს:  
 „ლუბა ბევრს მოგზაურობდა ქვეყანაში. ხშირად დღეში ორ კონცერტსაც მართავდა. არადა,



ასეთი დატვირთვა მისთვის დაუშვებელი იყო: მას მენიერის დავადება ანუხებდა, რომელსაც თან სდევს თავბრუსხვევა, ღებინება... ვესტიბიულარული აპარატის ამ თანდაყოლილი დაავადების დროს ადამიანს სწორხაზოვნად გავლაც კი უჭირს. ჩვეულებრივ ასეთი მდგომარეობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება კამკაშა სინათლე ან ყვითელ-ნარინჯისფერი ფერიც იყოს.

თითქოს ჯიბრზე, იმ დროს უმეტეს რესპექტაბელურ სასტუმროებში ჟღალი ფერის ხავერდის ფარდები ეკიდა. ასეთ შემთხვევებში ორლოვას ადმინისტრატორი მათ შავი ფარდებით ცვლიდა, რომლებიც სპეციალურად თან დაჰქონდა. გასტროლების ორგანიზატორებისთვის ამის თხოვნა ლუბას ერიდებოდა. მახსოვს, ამბობდა: „როგორ შემიძლია ვუკარნახო სასტუმროს ფარდების ფერი? იტყვიან, რომ ეს ჩემი გადარეული ჭირვეულობაა!“

თაყვანისმცემელი უთვალავი ჰყავდა. ლუბას ღლიდა თავს მოხვეული ყურადღება, მაგრამ მაინც ცდილობდა, გაეღიმა, მირთმეულ თაიგულებს თვითონ ართმევდა, მაღლობას ეუბნებოდა! და აი, ერთხელ, გასტროლებზე ყოფნისას, ეს მას ნამდვილ უბედურებად შემოუბრუნდა.

1952 წელს ლუბოვ პეტრეს ას-



პატარა ლუბოვ ორლოვა, 1916 წ.



ულს დაგეგმილი თავდასხმა მოუნყეს. ეს მოხდა დასავლეთ უკრაინის ერთ-ერთ საზღვრისპირა ქალაქში. მაშინ იქ ანტისაბჭოთა განწყობილება სუფევდა. **ორლოვას ალიქვამდნენ, როგორც საბჭოთა კინოს სიმბოლოს, არც ის იყო საიდუმლო, რომ იგი ბელადის საყვარელი მსახიობი გახლდათ. მისთვის ზიანის მიყენება პირადად სტალინის ბრძოლაში გამოწვევას ნიშნავდა...**

კონცერტის დამთავრების შემდეგ ლუბოვ პეტრეს ასული ხალხისთვის თავის დასაკრავად გავიდა სცენაზე. სხვა თაიგულებს შორის მას ერთი უჩვეულოც მიაჩნდა. შემდეგ ლუბა გვიყვებოდა: „იგი სხვებს შორის გამოირჩეოდა, ძირითადად თეთრი ვარდებისგან შედგებოდა, შუაგულში კი აბსოლუტურად შავი ვარდები იყო! ასეთი არსად მენახა და გამიკვირდა. მხოლოდ შემდეგ გავიგე — ეს სამგლოვიარო თაიგული ყოფილა. უცნაურ ყვავილებს ერთ მხარეს ჩახეული ქალაღდი ჰქონდა შემოხვეული. და ლუბამ თაიგული რომ გამოართვა ეკლები შეესო. იმავე საღამოს დაენყო სისხლის მონამლვა — გაირკვა, რომ ვარდების ეკლები შხამით იყო გაჟღენთილი. სტალინმა, როგორც კი შეიტყო, რაც მოხდა, გასცა გან-



**ქვეყნის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც კი იცოდა, თუ რა ხდებოდა „რკინის ფარდის“ ვიღბა, ხოლო ორლოვას და ალექსანდროვს მუდმივად ჰქონდათ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტები. ვენეციაში მოგზაურობის დროს**

კარგულება, ორლოვა გრანოვსკის ქუჩაზე მდებარე კრემლის საავადმყოფოში მიეყვანათ, და თავისი პირადი თვითმფრინავი ინგლისელი პროფესორის ჩამოსაყვანად ლონდონში გააგზავნა. ლუბოვ პეტრეს ასული ძლივს გადაარჩინეს...

რა თქმა უნდა, ბოროტმოქმედებს ეძებდნენ. იმ ქალაქში ბევრ-

იც დააპატიმრეს, მაგრამ, როგორც ვიცი, ადამიანი, რომელმაც ორლოვას მონამლული ყვავილები უძღვნა, ვერა და ვერ იპოვეს. მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ლუბას უცხო ადამიანებისგან საჩუქრების მიღების ეშინოდა. ხოლო მაშინ, როცა მისი მანქანა თავშეყრილ ხალხში გადიოდა, იატაკზე წვებოდა! ყოველი შემთხვევისთვის...”

ლუბოვ ორლოვას სტალინთან მეგობრობა, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავის მსხვერპლად შენიღვას ჰგავდა.

ორლოვას შვილი არ ჰყოლია, ხოლო გერმა, რომელიც ალექსანდროვს მოჰყვა, მთელი მათი ქონება ერთ ბოთლ კონიაკში გაცვალა.

დღეს ალექსანდროვისა და ორლოვას უზარმაზარი მემკვიდრეობიდან არაფერი დარჩა: არც ბინა ქალაქში, არც აგარაკები ვნუკოვოში — ყველაფერი გაიყიდა და განიავდა.

დარჩა მათი შესანიშნავი ფილმები, რომლებშიც ჰოლივუდის ვარსკვლავების დარი ლუბოვ ორლოვა ბრწყინავს.

**არამაზ სანებლიძე**



**ლუბოვ ორლოვა საბჭოთა მსახიობების დელეგაციასთან ერთად პაბლო პიკასოსთან შეხვედრისას. 1954 წ.**



ნოკო ხურცია:

# «სტალინი ოთხი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა აღტაცებული და გასარბული»

1937 წლის იანვარში ქალაქ მოსკოვში საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდები გაემგზავრნენ და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობა მიიღეს.

მოსკოვში გამართულმა ქართული ხელოვნების დეკადამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

დღევანდელ წერილში გვსურს, ბატონი ნოკო ხურციას მოგონებები წარმოგიდგინოთ. ბატონი ნოკო ცნობილი ქართველი მომღერალი და ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი გახლდათ. მოსკოვში ჩატარებულ ქართული ხელოვნების დღეებში ისიც მონაწილეობდა და საკუთარი შთაბეჭდილებები მოგვიანებით ფურცელზე გადაიტანა.

ამ მასალის მოწოდებისთვის ბატონი ნოკოს ქალიშვილებს, მაია და დალი ხურციებს, დიდ მადლობას მოვასხენებთ.

„მთავრობის უშუალო მონაწილეობით და დახმარებით მომზადდა და იანვრის პირველ რიცხვებში საქართველოს ოპერისა და ბალეტის თეატრი, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ მომღერალთა გუნდები საბჭოთა კავშირის ცენტრში — ქალაქ მოსკოვში გაემგზავრა, ხელოვნების დეკადის ჩასატარებლად. მიზანი დეკადის იყო მეტად დიდი. პირველ ყოვლისა, მას უნდა ეჩვენებინა კავშირის საუკეთესო ადამიანებისთვის ის განძი და ხალხური ფოლკლორი, რომელიც საუკუნეებით იქმნებოდა და ინახებოდა ქართველ ხალხში.

ჩვენს დეკადას მოსკოვში უნდა დაემტკიცებინა ჩვენი ერის ისტორიული სიდიადე და მისი ბრძოლისუნარიანობა. და ყველაზე მთავარი: მას უნდა დაემტკიცებინა რომ დიად სტალინს ღირსეული დიდი შემოქმედების მქონე სამშობლო აქვს, რომ ასეთი ადამიანები იშობიან მხოლოდ ისეთი ძველი კულტურის ქვეყანაში, როგორც საქართველოა. თუ ხელით დაინერა დიდი ისტორია დიდი ბრძოლების დიდი სტალინის

გარშემო, იმავე ამხ. ბერიამ მოსკოვის დიდი ადამიანების მახსოვრობაში ოქროს ასოებით ჩაბეჭდა ქართველი ერის დიადი ხელოვნება და მისი, როგორც ახალი, ისე ძველი საუნჯე, ძველი კულტურის სიდიადე, ოპერის, ბალეტისა და სიმღერა-ცეკვების სახით. ეს დეკადა იგივე ისტორიის გადაფურცვლაა, იგივე ახალ სხივზე გამომზეურებაა, რომლის საშუალება საქართველოს მიეცა ლენინ-სტალინის სწორი პოლიტიკის შედეგად, რომ ხელოვნება შეიძლება იყოს ფორმით ნაციონალური, შინაარსით — სოციალისტური.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდების პირველი გამოსვლა შედგა მოსკოვის დიდ თეატრში, 8 იანვარს. ჩვენ, მონაწილენი, ფარდის ახდას დიდი გულის ფანცქალით და მოუთმენლად ველოდით, ვნერვიულობდით, ვჩქარობდით, რაც შეიძლება მალე გვენახა მთავრობის ლოჟა, სადაც ვიცოდით, რომ მარჯვენა ლოჟაში იჯდა დიდი ბელადი — დიდი სტალინი, რომელიც არასდროს არ გვენახა.

ფარდის ახდის წინ თავი ყველას მარჯვნივ აქვს მიბრუნებული, თითქოს სამხედრო ბრძანებას: „თავი მარჯვნივ“ ასრულებდნენ. ჩვენი ხელმძღვანელი კი გვეჩხუბება, პირდაპირ იყურეთო. მართალია, ცოტა ხნით გავსწორდით, მაგრამ, აიხადა თუ არა ფარდა, ყველას ისევ მარჯვნივ მოედრიცა ყელი და ხარბად უცქერდა თანამებრძოლებს შორის ჩამჯდარ დიდ სტალინს. მე პირადად ძალიან ვნერვიულობდი, სანამ ფარდა აიხდებოდა, რადგან ხალხურ საკრავებზე სტვირის, ქნარის, ჩანგისა და ჩონგურების გაერთიანებული აკომპანიმენტის თანხლებით უნდა მემღერა.

ფარდა აიხადა, შიში აღტაცებად შეიცვალა და მე არაჩვეულებრივი გრძნობით, რაც შემეძლო ტკბილად და მონდომებით დავინწყე სიმღერა. ჩემს სიმღერას მოჰყვა მთელი გუნდის გრიალი. ამხ. სტალინს ეტყობოდა დიდი აღტაცება. ჩვენ შევასრულეთ მთელი რიგი სიმღერებისა, მათ შორის ყველაზე საინტერესო იყო „სულიკო“ და „სიმღერა სტალინზე“ („სულიკო“ ამხ. სტალინის



საყვარელი სიმღერა ყოფილა მისი პატიმრად ყოფნის დროს). მთელი დარბაზი ფეხზე დგომით და მქუხარე „ურას“ ძახილით შეეგება „ჩვენს სტალინს“.

სალამოს პროგრამაში არ გვქონდა მეგრული „ჩელა“. ის შეცვლილი იყო მეორე თანამედროვე სიმღერით „მეურმე“. ეს ამხ. სტალინმა შეამჩნია და ითხოვა, დამატებით შეგვესრულებინა „ჩელა“. „ჩელას“ მაყურებელი დიდი ალტაცებით შეხვდა. ჩვენმა მოცეკვავეებმა აჩვენეს ხალხური ქორეოგრაფიის საუკეთესო ნიმუშები: „აფხაზური“, „სვანური“, „ცერული“, „ლეკური“, „მთიულური“ და „ფერხული“. სალამო არაჩვეულებრივი გამოვიდა. შემდეგ დარბაზში მყოფმა დამსწრე საზოგადოებამ, სცენიდან კი გუნდმა დიდი ოვაცია გაუმართა ამხ. სტალინს, ორჯონიკიძეს, მოლოტოვს, ვოროშილოვს, კალინინს, მიქოიანს, ბერიასა და სხვებს“.

14 იანვარი.

საკავშირო მთავრობამ მთელი ოპერის თეატრი და მომღერალთა გუნდი მიგვიღო კრემლში, სადაც გაიმართა ბანკეტი. ბანკეტზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა საკავშირო ხელოვნების უფროსმა ამხ. კრეჟენცევმა, რომელმაც აღნიშნა ქართული დეკადის დიდი მრავალფეროვნება, მისი იდეური სიმძლავრე და არაჩვეულებრივი სიმდიდრე, რომლის ბადალი ჯერ მოსკოვში არავის უნახავს. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქართველოს ხელოვნების კომიტეტის

თავმჯდომარე თათარაშვილი, შემდეგ — გვარამაძე.

ბელადმა არაჩვეულებრივად მოილხინა. ის ალავერდს გადადიოდა ამხანაგებთან. მისი ასეთი მოქცევით ჩვენს ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ჩვენს პატივსაცემად ესტრადაზე გამოვიდა იაბლოჩკინა, რეიზენი, მიხაილოვი, აგრეთვე, ჩვენი სოლისტები. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ორდენოსან ალექსანდროვის ნითელი არმიის გუნდმა. ალექსანდროვის გამოსვლის შემდეგ მეორეჯერ მათმა წევრებმა მოითხოვეს დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდის გამოსვლა, თითქოს ამკარა შეჯიბრება იყო ალექსანდროვთან. ჩვენც ესტრადაზე არაჩვეულებრივი ცეცხლი დავანთეთ. ჩვენმა მოცეკვავეებმა დიდი ვირტუოზობა გამოიჩინეს.

ბანკეტი დამთავრდა ლამის პირველ საათზე. შემდეგ მოლხენა გაგრძელდა სხვა დარბაზში ამხ. სტალინთან. **ამხ. სტალინმა შემოგვიკრიბა მის ირგვლივ ყველა ამხანაგები. გაიხსენა ძველებური გურული სიმღერები, რაჭული, მეგრული, ქართლ-კახური და სხვ. ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვისმენდით ბელადის პირიდან საამო ჰანგებს. ის ჩვენ გვისწორებდა. მაგალითად, მან გაიხსენა ყველასგან მივიწყებული კახური სიმღერა „ის რა კაცია, ჩოხა არ აცვია“, „სიმღერა მკის დროს“ და ძველებური გურული „ალიფაშა“.**

**„ამხანაგებო, ჩვენი საქართველო მდიდარია ხალხური შემოქ-**

**მედებით, რომ შეისწავლო ის, ამისთვის უფრო უნდა დაუახლოვდეთ მასო“, — გვითხრა დიდმა ბელადმა.**

**სტალინი ოთხი საათის განმავლობაში ფეხზე იდგა ალტაცებული და გახარებული. საბოლოოდ დიდი მაღლობა უძღვნა ამხ. ბერიას ასეთი დიდი საჩუქრის, დიდი ღონისძიების ორგანიზატორის და მოსკოვში წარმოდგენისთვის. ამხ. სტალინმა მოიგონა მთელი მისი წარსული. გაიხსენა ყველა ის სიმღერა, რომლებიც მას ბათუმისა და ქუთაისის ციხეებში შეუსწავლია. სალამო დამთავრდა სრულ დილის ხუთ საათზე. ჩვენ ალტაცებულნი დავბრუნდით სასტუმროში.**

15 იანვარი.


გამოცხადდა დაჯილდოებულნი. მათ შორის ვიყავი მეც, თუმცა შეცდომით მე გამოცხადებული ვიყავი აღმოსავლეთ გუნდის წევრად და მასთან სახელშეცვლით. შეცდომა მეორე დღესვე გასწორდა.

ამგვარად, **20 იანვარს სხვა ამხანაგებთან ერთად ამხ. კალინინსგან მივიღე უდიდესი ჯილდო — საკავშირო საპატიო ნიშნის ორდენი.** აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გუნდებიდან, როგორც სოლისტმა, რაც უფრო ფხიზელს მხდის, ვიდრე საბჭოთა ქვეყნის კულტურის სადარაჯოზე, რომ უფრო მედგრად ავნიო მისი ღირსება, როგორც საბჭოთა ქვეყნის ნამდვილმა შვილმა.

16 იანვარი.

მე განსაკუთრებული ბედნიერება მხვდა წილად — როგორც სტუმარი, ვწვეოდი ამხ. მოლოტოვს სახლში სადილად, ხოლო ვახშმად — ამხ. სტალინს საზაფხულო აგარაკზე.

ჩვენ ამხ. ბერიასთან ერთად გავემგზავრეთ მოსკოვიდან 40 კმ-ის მოშორებით. ამხ. მოლოტოვთან ბინაზე იყვნენ მთავრობის წევრები, ოპერიდან იყო 20 ამხანაგამდე, დასავლეთ საქართველოს გუნდიდან — სამი, აღმოსავლეთ საქართველოს გუნდიდან —



**ჩვენს განსვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვისმენდით ბელადის პირიდან საამო ჰანგებს. ის ჩვენ გვისწორებდა. მაგალითად, მან გაიხსენა ყველასგან მივიწყებული კახური სიმღერა «ის რა კაცია, ჩოხა არ აცვია», «სიმღერა მკის დროს» და ძველებური გურული «ალიფაშა».**



ორი. მოლოტოვმა მეტად გულთბილად მიგვიღო. მოლოტოვსა და სტალინს თან ახლდათ ბავშვები. მოლოტოვი აღტაცებული იყო ჩვენი სტუმრობით. ის სადად, უბრალოდ იქცეოდა ჩვენთან.

იქიდან ვენვით ამხ. სტალინს. ამხ. სტალინი მოლოტოვის ბინიდან ჩვენზე ადრე წავიდა, რომ თავის ბინაზე დაგვხვდებოდა, როგორც მასპინძელი. ამხ. სტალინი კართან დაგვხვდა. ის მხიარულობდა, შესვლისთანავე ბუხარში თავისი ხელით შეშა შეყარა და ცეცხლი გაგვიჩალა. მისი ბუხარი ჩვენებურია. „აბა, ამხანაგებო, არ გაცივდეთ, ახლოს მოდით ბუხართანო“, — მიგვიპატიჟა სტალინმა, მიუხედავად იმისა, რომ ბინაში საკმაოდ თბილოდა. ცოტა ხნის შემდეგ ვიყავით სასადილო დარბაზში, სადაც გამართული იყო ქართული პურ-ღვინო, ჩვენებური საცივით. აქ კი ამხ. სტალინი განსაკუთრებით გამხიარულდა. ის ჩვენს საპატივცემულოდ პატივფონზე უკრავდა სხვადასხვა ფირფიტებს. ამხ. სტალინს ძალიან ჰყვარებია შელეგიას გუნდის შესრულებული „კუჩხა ბედნიერი“ (რომელსაც გუნდში მე ვინყებ), მეგრელიძის „ჩონგური“, „საკოლმეურნეო“ და თარხნიშვილის „ურმული“. პირველ რიგში, ამხ. სტალინმა ეს ფირფიტები დაუკრა.

**ენით უთქმელი და კალმით აუწარელია იმ საღამოს ამხ. სტალინის ჩვენდამი პატივისცემა, მისი უბრალოება. ის ქართულად გვისაუბრებოდა, მღეროდა, იცინოდა. ჩვენ მასთან ხელგადახვეული**

**ვმხიარულობდით.** ამგვარად დამთავრდა ეს არაჩვეულებრივი აღტაცების საღამო დიდ ადამიანთან, მსოფლიოს ბუმბერაზ კაცთან — ამხანაგ სტალინთან.

**21 იანვარი.**

ამხ. ჟდანოვის მიწვევით ჩვენ გავემგზავრეთ ლენინის ქალაქში, სადაც სადგურზე დიდის ამბით შეგვხვდნენ. დიდი წარმატება გვხვდა ლენინგრადში. ლენინგრადის ოლქკომმა გაგვიმართა გრანდიოზული ამხანაგური შეხვედრა (ბანკეტი).

ნ თებერვალს დავტოვეთ ლენინის ქალაქი და გამოვემგზავრეთ სპეციალური მატარებლით საქართველოში“.

\*\*\*

**ამ მოგონებების გამოქვეყნების შემდეგ მკითხველებს ბატონი ნოკოს ბიოგრაფიას გავაცნობთ.**


ნოკო ალექსანდრეს ძე ხურცია გახლდათ მომღერალი, ლოტბარი. დაიბადა 1905 წელს სოფელ მენჯში (სენაკის რაიონი), მომღერალთა ოჯახში. მღეროდა ბაბუა, დედ-მამა, მამიდეები და პატარა ნოკოც. მისი მუსიკის პირველი მასწავლებელი ვალერიან გეგეჭკორი იყო. 16 წლის ნოკო მღეროდა სენაკის გუნდში, რომელსაც სახელგანთქმული ლოტბარი რემა შელეგია ხელმძღვანელობდა. სწორედ აქ ჩამოუყალიბდა მას ხმის ძლიერი და ლამაზი ტემბრი. 1923 წელს ნოკო ხურციამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა, მესამე კურსიდან კი

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადავიდა. სწავლის წლებში მღეროდა პროფკავშირებთან არსებულ მომღერალთა გუნდში კორნელი მალრაძის ხელმძღვანელობით. აქ ნოკო ხურციამ მრავალი ძველი ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელი შეისწავლა.

1925 წლიდან ნოკო ხურცია ცნობილ ლოტბარ კირილე პაჭკორიასთან დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდში მღერის. 1932 წელს იგი ბრუნდება სენაკში, მღერის რემა შელეგიას გუნდში, გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ხდება — რემა შელეგიას კონცერტების ორგანიზებაში ეხმარება. 1936 წლიდან ნოკო ხურცია თბილისში კვლავ დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მღერის. 1937 წელს მონაწილეობს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში და ჯილდოვდება საპატიო ნიშნის ორდენით.

1937 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად გაერთიანდა (ხელმძღვანელები — გრიგოლ კოკელაძე და სანდრო კავსაძე). ფაქტობრივად, სანდროს ავადმყოფობის გამო, მას უფროსი ვაჟი — დათაშკა კავსაძე ცვლიდა. ნოკო ხურცია კვლავაც ამ ანსამბლის წამყვანი სოლისტია. 1945-1949 წლებში ნოკო ხურცია ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს. მასი აღზრდილი არიან ცნობილი მომღერლები და ლოტბარები: ჯოკია მეშველიანი, ოთარ ქოქოსაძე და სხვები. ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავმა მცოდნემ, ნოკო ხურციამ, მრავალი სიმღერა აღადგინა და ააჟღერა: „უტუს ლაშქრული“, „ოდოია“, „ჰარირა“... ნოკო ხურცია გარდაიცვალა 1949 წელს. დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

**ვიორბი განიჩილაქა**



# ქართველები – მოსკოვის ბრძოლის გმირები

...ომის დაწყების დღიდან მეხუთე თვე მიდიოდა. „ბლიც-კრიგის“ (ელვისებური ომი) ჩავარდნით გაცოფებული გერმანელი და, ვთქვათ სიმართლე, ევროპის სხვა ქვეყნების ფაშისტები, ებრაული დივიზიის მებრძოლების ჩათვლით, გააფთრებით მოინვედნენ მოსკოვისკენ. მის ქუჩებში კანტი-კუნტად ჩანდნენ გამვლელ-გამომვლელნი. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის ოთხმილიონიანი მოსახლეობა განახევრდა, მაგრამ მისი ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები თავდადებით შრომობდნენ. მოსკოვი, მოსკოვის სამხედრო ოლქთან ერთად, ომის პირველი დღეებიდანვე გადავიდა საომარ მდგომარეობაზე, ჰიტლერელების ავიაცია ინტენსიურად ბომბავდა საბჭოთა დედაქალაქს... ჩვენი გაზეთის სტუმარია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ქართული გენერალიტიეტის მემბრანი, ორდენოსანი **ლევან დოლიძე**.



ლევან დოლიძე

— ბატონო ლევან, როდის დაიწყო ბრძოლა მოსკოვისთვის?

— 1941 წლის სექტემბრის ბოლოს. ქალაქის საბრძოლო ოპერაცია მოიცავს ორ პერიოდს: პირველი — თავდაცვითი, 30 სექტემბრიდან 5 დეკემბრამდე, ხოლო მეორე — შეტევითი, 1941 წლის 5 დეკემბრიდან 1942 წლის 20 აპრილის ჩათვლით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ოქტომბრის შუა რიცხვებში. 19 ოქტომბერს, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დადგენილებით, მოსკოვსა და მასთან ახლოს მდებარე რაიონებში გამოცხადდა საალყო წესები...

სადაზვერვო თვითმფრინავის — „უ-2“-ის ცნობა: მოსკოვისკენ მიმავალი გზატკეცილის 30-კილომეტრიან მონაკვეთზე არც ერთი ჩვენი სამხედრო ნაწილი არ დგას და მოსკოვისკენ გზა თავისუფალია, თავზარდამცემი აღმოჩნდა მოსკოვის ზონის თავდაცვის სარდლის — **პავლე არტიმიევისთვის**. აი, ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში განგაშით ფეხზე დააყენეს პოდოლსკის ფეხოსანთა სასწავლებლის კურსანტები და გადაისროლეს თავდაცვის ამ 30-კილომეტრიანი ზოლის დასაცავად...

მქონდა ბედნიერება, არათუ გავცნობოდი ამ საოცარი მოვლენის მონაწილეს, არამედ მრავალი წლის განმავლობაში მემუშავა მასთან საქართველოს პარტიულ ორგანოებში. ეს პიროვნება გახლდათ **მიხეილ ალექსანდრეს ძე გოგიჩაიშვილი**. მისი დახმარებით მე მოვძებნე მაგ მრისხანე დღეების მონაწილე სხვა პოდოლსკელი კურსანტებიც. იმ დროს პოდოლსკის ფეხოსანთა სასწავლებელში ბევრი ჩვენი თანამემამულე სწავლობდა: **ჯონდო ჯლამაძე, დიმიტრი აბაშიძე, გიორგი ცხვირავაშვილი, სურენ გასპარიანი, შალვა (ბუტა) ჩიქვინიძე, თენგიზ ზაალიშვილი, ოთარ ახვლედიანი** და სხვები. მათ, სასწავლებლის სხვა კურსანტებთან ერთად, თავდაცვის პირველი ეშელონი დაიკავეს. პირველ დღესვე სასწავლო ოცეულმა, რომლის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, ლეიტენანტ **ლიტვინოვის** მეთაურობით, შეუტია მტრის ფეხოსნებსა და ტანკებს. ეს იყო 16 ოქტომბერს, როდესაც გენერალ-პოლკოვნიკ **ერის გიოპნერის** სატანკო ჯგუფის მონინავე ნაწილებმა მიაღწიეს ქალაქ მალიაროსლავეცს. მის შემოგარენში გაჩაღდა ბრძოლა. იმ დღეს კურსანტებმა ორჯერ უკუ-

აგდეს მტერი. საღამოს, ბრძოლის შემდეგ, სასწავლებლის კომისარმა შეკრიბა კურსანტები და გამოჩენილი გმირობისთვის მათ მხურვალე მადლობა გადაუხადა. კურსანტების პატრიოტიზმის გრძნობა იმდენად მაღალი იყო, რომ არც ერთ მათგანს ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაუხევია. ცალკე შეიქმნა გერმანული ტანკების გამანადგურებელი ჯგუფი, რომელშიც ნებაყოფლობით შევიდნენ **შალვა ჩიქვინიძე, ჯონდო ჯლამაძე, ერთი კახელი ბიჭი**, რომლის გვარი ბატონმა მიხეილმა ვერ გაიხსენა, და სხვები. ჯგუფში 12 კურსანტი შეარჩიეს, ხოლო მეთაურის მოადგილედ დანიშნეს **შალვა ჩიქვინიძე**. ამ ჯგუფს სასწავლებლის შტაბი ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე აგზავნიდა.

კურსანტებს ორი დღე და ღამე არ უძინიათ. ფაშისტები აძლიერებდნენ ზენოლას. მათ სულ ახალ-ახალი ძალები შეჰყავდათ ბრძოლაში. როდესაც გერმანელები დარწმუნდნენ, რომ კურსანტების თავდაცვის ხაზს ვერ გაარღვევდნენ, მალიაროსლავეცში შეღწევა მცირე ჯგუფებით გადაწყვიტეს. მესამე დღეს, არტმომზადების შემდეგ, კურსანტებმა დაიწყეს სოფელ ბერიოზოვ-



კასთან მდებარე სიმაღლის შტურმი. მტერმა მათ ძლიერი ცეცხლი გაუხსნა. ყოველი ბუჩქი, ყოველი ქვა იფარებოდა ჭურვის ნამსხვრევებით და ტყვიით. კურსანტები მიწაზე დანვნენ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ასეულის ზემდეგი **კოსტია კიტაევი** ადგა და დაიყვირა: „წითელო კურსანტებო, სამშობლოსთვის! სტალინისთვის! წინ!“. მან სულ რამდენიმე მეტრი გაირბინა და განიგმირა მტრის ტყვიით. კოსტიას ფეხდაფეხ მიჰყვნენ კურსანტები და ელვისებური შეტევით დაიკავეს სიმაღლე.

## მიხეილ ბობიჩაიშვილის მოგონებებიდან

„კურსანტების ჯგუფი მტრის გააფთრებულ შეტევებს იგერიებდა, მაგრამ „სს“-ის დივიზიის ფეხოსანთა პოლკმა, ტანკების მხარდაჭერით, მიუხედავად დიდი დანაკლისისა, მაინც მოახერხა გარღვევა სოფელ სოვინოვოსთან. ნორჩმა პოდოლსკელებმა მოახერხეს და გამაგრდნენ სოფლის ერთ-ერთ სახლში. ამაო გამოდგა გერმანელი ფაშისტების ყველა მცდელობა, ისინი ტყვედ აყვანათ. მაშინ „ესესელებმა“ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლსა და კვამლში გახვეულმა გმირებმა

ტყვეობას სიკვდილი ამჯობინეს და „უმაღლესი არიული რასის“ ასიოდე წარმომადგენლის სული ჯოჯოხეთში გააგზავნეს!

მეორე დღეს მტრის ოცმა ტანკმა შეაღწია მალოაროსლავეცში, ხოლო მე-12 საარმიო კორპუსის ნაწილებმა მალოაროსლავეცის აღმოსავლეთით მიაღწიეს მდინარე პროტვას. კურსანტების რაზმს უბრძანეს უკან დახევა, რათა დაეკავებინათ დაცვის ახალი მიჯნა. ადგილზე მისვლა მათ მოუწიათ წვიმისგან ატალახიანებული ტყის გზით. უეცრად კურსანტებს გზა გადაუღობეს გერმანელმა ფაშისტებმა, მაგრამ ბიჭები არ დაიბნენ, მტერს მძლავრად შეუტყეს და უკუაქციეს.

გაუთავებელი ბრძოლებით და უძილობით დაოსებული პოდოლსკელი კურსანტები შეუერთდნენ 43-ე არმიის ნაწილებს და მდინარე ნარა გადალახეს. უძვირფასესი დრო მოგებული იყო. საბჭოთა ქვეყანა ძალას იკრებდა!..

1941 წლის ნოემბრის დასაწყისში, პოდოლსკის ფეხოსანთა სასწავლებლის უფროსმა, გენერალ-მა **ვ. სმირნოვმა** მიიღო ტელეფონოგრამა მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლისგან, გენერალ-ლეიტენანტ **პავლე არტემიევისგან: „წარადგინეთ სიები სამთავრობო ჯილდოების მისაღებად. სასწავლებლის სანიმუშო მოქმედებაზე პირადად მე მოვახსენებ**

**უმაღლეს მთავარსარდალს“.**

ისტორიამ შემოგვინახა 57-ე მექანიზირებული კორპუსის მეთაურის, გენერალ **ბლიუმენტრიტის** პატაკი მე-3 სატანკო ჯგუფის სარდლისადმი, **გენერალ-პოლკოვნიკ ერის გიოპნერისადმი**, რომელშიც ბლიუმენტრიტი პოდოლსკის კურსანტებს მოიხსენიებს, როგორც „**შემლილ წითელ იუნკერებს**“!

სამი ათასი პოდოლსკელი კურსანტიდან ორ ათასზე მეტი დაიღუპა იუხნოვთან, მედინთან, მალოაროსლავეცთან, ილინსკისთან, დეტჩინოსთან...“

— **ბატონო ლევან, მოსკოვისთვის ბრძოლაში მონაწილე კიდევ რომელ ქართველს გაიხსენებთ?**

— ფრონტის მეორე ხაზზე გმირულად იბრძოდა 524-ე მსროლელთა პოლკის მეთაური, პოდ-პოლკოვნიკი **ვალენტინ აფაქიძე**. იგი დაიბადა ახლანდელი წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში, მეფის არმიის ოფიცრის ოჯახში. **ვორონეჟის კადეტთა კორპუსის კურსანტი, ვალენტინ აფაქიძე**, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნებაყოფლობით შევიდა წითელ არმიაში. მაშინ იგი მხოლოდ 14 წლის იყო.

22 არმიის შემადგენლობაში მყოფი მისი პოლკი იღებდა მონაწილეობას მოსკოვისთვის ბრძოლაში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს სისხლისგან დაცლილი აფაქიძე განაგრძობდა ბრძოლის ხელმძღვანელობას, სანამ არ მიიღო უკან დახევის ბრძანება. მამაცი ოფიცერი ამჯერად მესამედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ, 1942 წლის ივლისში პოდოლსკის (1945 წლიდან გენერალ-მაიორი) ვალენტინ აფაქიძე დაინიშნა პოდოლსკის ფეხოსანთა სასწავლებლის უფროსად, იმ სასწავლებლისა, რომელშიც სწავლობდნენ მისი თანამემამულეები და რომლებმაც, სხვა კურსანტებთან ერთად, უკვდავყვეს თავისი სახელები მოსკოვისთვის ბრძოლის უმძიმეს დღეებში. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა ვალენტინ აფაქიძის ორი ძმა...

1941 წლის 7 ნოემბერს კი წით-





ელ მოედანზე, გერმანელების ცხვირწინ, ჩატარდა სამხედრო პარადი, რომელმაც გერმანელი ფაშისტების დემორალიზაცია გამოიწვია. ბევრი გერმანელი სამხედრო მიხვდა, ომი წაგებულა!..

ვერმახტის მთავარსარდლობა, რომელმაც შეიმუშავა მოსკოვის აღების ოპერაცია კოდური სახელწოდებით „ტაიფუნი“, ვერაფრით ხვდებოდა, საიდან იღებენ ძალებს „ეს რუსები“. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტებს ჰქონდათ დიდი უპირატესობა ცოცხალ ძალასა და შეიარაღებაში, ყოველი მომდევნო საათით გერმანელთა გენერლების შეტყობინებები სულ უფრო ნაკლებად ოპტიმისტური იყო. შემდგომში ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებდა ვერმახტის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ **ფრანც გალდერი**ს აკურატულად შევსებული დღიურები. სხვათა შორის, ჰიტლერმა არ აპატიო თავის ერთგულ გენერალს ოპერაცია „ტაიფუნის“ ჩავარდნა და რამდენიმე თვის შემდეგ გალდერი მოხსნა მაღალი თანამდებობიდან.

უზარმაზარმა დანაკარგმა ჰიტლერს მოსკოვის აღებაზე ხელი არ ააღებინა და, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გადაწყვიტა, საბჭოთა დედაქალაქის დაკავება ზამთრის დაწყებამდე. მან მოიშველია დამხმარე ძალები და საჯარისო ნაწილების გადაჯგუფება განახორციელა. მოსკოვზე მიმართული იყო 51 დივიზია, მათ შორის — 13 სატანკო. გერმანელთა უპირატესობა შენარჩუნებულ იქნა ცოცხალ ძალაში და არტილერიაში, სამაგიეროდ, ისინი უკვე ჩამორჩებოდნენ ტანკების რაოდენობით. ავიაციაში კი ძალთა თანაფარდობა იყო; და, რაც უფრო გაცილებით მნიშვნელოვანია, 1941 წლის დეკემბერში სტალინის განკარგულებაში იყო მსხვილი სტრატეგიული რეზერვები. ჰიტლერს კი რეზერვები საბჭოთა გერმანულ ფრონტზე აღარ ჰყავდა, რითაც სტალინმა გონივრულად ისარგებლა. უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა კონტრ-



შეტევა 1941 წლის 5-6 დეკემბრისთვის დაგეგმა. ავიაციის დარტყმების და არტმომზადების შემდეგ, 5 დეკემბერს კალინინის ფრონტის ჯარებმა დაიწყეს კონტრშეტევის გეგმის განხორციელება, ხოლო 6 დეკემბერს ბრძოლაში ჩაებნენ დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების დამრტყმელი დაჯგუფებები.

პირად არქივში შენახული მაქვს **ვარლამ ჯანჯღავას** ზოგიერთი მოგონება. ერთ დროს ბატონი ვარლამი ასრულებდა ამიერკავკასიის ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსის მოვალეობას. მოსკოვისთვის ბრძოლის დროს იგი იმყოფებოდა ამ მოვლენების ეპიცენტრში. შემტევეთი ოპერაციის მთელი პერიოდი — 1941 წლის 5 დეკემბრიდან 1942 წლის 29 აპრილამდე, პოლკის კომისარმა ჯანჯღავამ წინა ხაზზე გაატარა!

### ვარლამ ჯანჯღავას მოგონებებიდან

„ჩვენი პოლკი შედიოდა კურსანტთა 34-ე მსროლელ ბრიგადაში, პოლკოვნიკ **აკიმოჩკინის** მეთაურობით. ძალიან ციოდა. იყო ქარბუქი. ჩვენ დაგვისახეს ამოცანა — ალყა შემოგვერტყა და გაგვენადგურებინა ფაშისტები ქა-

ლაქ კალინინის რაიონში. მაშინ ჩვენს ფრონტს სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი **ი. ს. კონევი**, მომავალი მარშალი.

ჩვენ ფრონტს წინ აღუდგა გერმანულ-ფაშისტური ჯარების დაჯგუფება — „ცენტრში“ შემავალი მე-9 არმია. შეტევის დაწყებიდან მეხუთე დღეს ჩვენმა პოლკმა გაარღვია გერმანელთა დაცვის ხაზი და გადაჭრა კალინინ-ტურგინოვოს შოსე. არასდროს დამავინყდება ის სიხარული, რომლითაც ჩვენი ჯარები შედიოდნენ ტურგინოვოში. ეს დასახლებული პუნქტი გახდა ჩემთვის გერმანელთა განადგურების აშკარა მოწმე. ტურგინოვო გაჭედილი იყო გერმანული სამხედრო ტექნიკით — ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებით... სატვირთო თუ მსუბუქი საშტაბო მანქანები და ავტობუსები ყველა ეზოში იდგა მიტოვებული. ათობით და ასობით მოტოციკლეტი და ველოსიპედი მიწაზე ეყარა. ტურგინოვოს გარშემო მინდორში ათობით საარტილერიო და საზენიტო ქვემეხი თოვლში იყო ჩაფლული. ბევრი სახლი დაინვა და დაინგრა დაბომბვისას. საბჭოთა სარდლობის გეგმა წარმატებული აღმოჩნდა. ჩვენმა ნაწილებმა ორივე მხრიდან შემოუარეს ტურგინოვოს და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ქალაქი აიღეს. ძლიერი ყინვების გამო ფაშისტებმა ვერ მოასწრეს ტექნიკის მთლიანად გაყვანა. როგორც კი შეწყდა უკანასკნელი ზალპები, გამოჩნდნენ ადგილობრივი მცხოვრებნიც. მათ მიაბმეს, როგორც დილობდნენ პანიკაში ჩავარდნილი გერმანელი ჯარისკაცები, მანქანებში თავისუფალი ადგილი მოეძებნათ, რათა იქაურობას გაცლოდნენ. გერმანელებს მართლაც ჰქონდათ პანიკის მიზეზი.

ჩვენ ვხედავდით გადაბუგულ, მიწასთან გასწორებულ სოფლებს, სახრჩობელებს, რომლებიდანაც ჩვენი ჯარისკაცები ხსნიდნენ ფაშისტების მიერ ჩამოხრჩობილ ადამიანებს და სამხედრო ტყვეებს. სიძულვილი მტრის მიმართ ლამის გვახრჩობდა! პოლკში გვყავდა მეზობლები, რომელ-





თა სოფლები და ქალაქები ჯერ კიდევ ფაშისტების ხელში იყო! ამ ჯარისკაცთა აგიტაცია საჭირო აღარ იყო. ვფიქრობ, საბრძოლო ყიჟინი „სამშობლოსთვის! სტალინისთვის!“ გაჩნდა ჩვენი მოსკოვთან კონტრშეტევის დროს...

კალინინის ფრონტზე დივიზიონის მეთაურად მამაცურად ებრძოდა მტერს მოსკოვის საარტილერიო სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული, ლეიტენანტი **ირაკლი ჯორჯაძე**. პირველივე ბრძოლაში მან გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა მეთაურმა. ქალაქ კალინინის მისადგომებთან ქართველი ოფიცერი მძიმედ დაიჭრა. სხვათა შორის, აკადემიაში იგი სწავლობდა ი. ბ. სტალინის უფროს ვაჟთან — **იაკობთან** და მეგობრობდა კიდევ მასთან. მოსკოვი-სტალინგრადი-კურსკის რკალი — ოპერაცია „ბაგრატიონი“ — ვისლა-ოდერის ოპერაცია, აღმოსავლეთ პომერანია, ბერლინის ოპერაცია ვაჟკაცურად, ბრძოლით განვლო ჩვენმა თანამემამულემ.

ომის შემდეგ ბატონი ირაკლი 30 წლის განმავლობაში ასწავლიდა მშობლიურ საარტილერიო აკადემიაში; მოგვიანებით სათავეში ჩაუდგა ომების ისტორიის და სამხედრო ხელოვნების კათედრას საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემიაში. გამოჩენილი მეცნიერი (მას ეკუთვნის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნამუშევარი) 1979 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ



მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად! გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე გახლდათ ერთადერთი საბჭოთა ქართველი მხედართმთავარი, რომელსაც ეს მაღალი ნოდება მიანიჭეს.

ერთ-ერთი ძალზე აქტიური მონაწილე მოსკოვის ბრძოლისა იყო გვარდიის გენერალ-მაიორი **მიხეილ კიკნაძე**. იმ უმძიმეს და უმძაფრეს დღეებში იგი მეთაურობდა საზენიტო პოლკს, შემდეგ კი — გვარდიის 1-ლ საზენიტო საარტილერიო დივიზიას, რომელიც განლაგდა მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით. აი, რას წერდა მიხეილ გერონტის ძე კიკნაძეზე მისი თანაპოლკელი, გეოგრაფიული მეცნიერებათა დოქტორი, **ივანე დოლგინი**: „მოსკოვის ბრძოლის დროს — 1941-42 წლებში, მე არაერთხელ დავრწმუნდი ქართველი

მეთაურის განსაკუთრებულ ნიჭიერებაში...

არტილერიისტა იმ ჯგუფს, რომელსაც თავის შემადგენლობაში 100 ქვემეხი ჰქონდა და რომელსაც პატივი ხვდა წილად, განეხორციელებინა სალუტი გამარჯვების დღეს, 1945 წლის 9 მაისს, მეთაურობდა გვარდიის გენერალ-მაიორი მ. გ. კიკნაძე, მე კი, მისი მოადგილე ვიყავი...“

მოსკოვისთვის ბრძოლაში გაითქვა სახელი **პანტელეიმონ შიოშვილმა**, რომელიც საგარეჯოს რაიონის სოფელ წინონმინდაში დაიბადა, ღარიბი კახელი გლეხის ოჯახში. 1941 წლის მაისში პ. შიოშვილმა დაამთავრა მოსკოვში საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის აკადემია. ქართველ ოფიცერს ომმა მოუსწრო 27-ე არმიის ოპერატიული განყოფილების უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობაზე ყოფნისას. 1941 წლის სექტემბერში ქალაქ დემიანსკის რაიონში იგი დაიჭრა და კონტუზია მიიღო. გამოჯანმრთელების შემდეგ პანტელეიმონ შიოშვილი დაინიშნა 16-ე არმიის ჯარების ჯგუფის დაზვერვის უფროსად. ამ ჯარს სარდლობდა თვით **კონსტანტინე როკოსოვსკი** და ის ახორციელებდა სისხლისმღვრელ ბრძოლებს ვოლოკოლამსკის მმართველობით.

1941 წლის დეკემბერში, მოსკოვთან წითელი არმიის შეტევის



დანეების წინ, მამაცი ქართველი ოფიცერი სათავეში ჩაუდგა დასავლეთის ფრონტის შემადგენლობაში მყოფ 43-ე არმიის დაზვერვას. ამ დროისთვის პ. შიოშვილის ზურგს უკან იყო ორი სამხედრო აკადემია და 17-წლიანი საკადრო სამსახური. მან დიდი შრომა გასწია, გამოიყენა ცოდნა და სამხედრო ხრიკი, რითაც უზრუნველყო საბჭოთა ჯარების წარმატებული კონტრშეტევა მოსკოვის მისადგომებთან. მეორე მსოფლიო ომი ჩვენი გმირი თანამემამულისთვის დასრულდა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც მეთაურობდა პირველი წითელდროშოვანი არმიის დაზვერვას. ამ არმიას კი სათავეში ედგა მისი ყოფილი უფროსი და ფრონტელი მეგობარი, გენერალი **ა. პ. ბელობოდოროვი**. 1953 წლის 19 თებერვალს პანტელეიმონ შიოშვილს მიანიჭეს გენერალ-მაიორის წოდება. იგი გახდა მოსკოვის ოლქისა და ბელარუსის რამდენიმე ქალაქის საპატიო მოქალაქე, იმ ქალაქებისა, რომელთა განთავისუფლებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. სახელგანთქმული გენერალი ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა 95 წლის ასაკში, 2001 წელს...

ზუსტად რომ მოსკოვისთვის ბრძოლაში გაიწვრთნა მომავალი მხედართმთავრული გენია ორი საუკეთესო ქართველი გენერლის — კონსტანტინე **ლესელიძისა** და **პორფილე ჩანჩიბაძის**. მაშინ, 1941 წელს, როდესაც ფაშისტური არმია მიუახლოვდა მოსკოვის გა-



რეუბნებს, პოლკოვნიკი ლესელიძე სამხრეთიდან იცავდა დედაქალაქს. იმ დროს კონსტანტინე ლესელიძე მეთაურობდა 50-ე არმიის არტილერიას და მისმა ბრწყინვალე მოქმედებებმა არ მისცა მტერს ქალაქ ტულას აღების საშუალება. სწორედ მაშინ მომავალმა მარშალმა **ალექსანდრე ვასილევსკიმ** სტალინს მოახსენა: **„...ლესელიძე ისე მეთაურობს არტილერიას, როგორც დირიჟორი ორკესტრს“**. მომავალში ეს ფრაზა ცნობილი გახდა.

მოსკოვის ბრძოლაში უზარმაზარი წვლილის შეტანისთვის 1942 წლის 22 იანვარს კ. ლესელიძეს მიენიჭა არტილერიის გენერალ-მაიორის წოდება, ხოლო ვაჟკაცი მეთაურის მკერდი დაამშვენა წითელი დროშის ორდენმა. მომდევნო პერიოდში არანაკლებ გააფთრე-

ბული ბრძოლები წარიმართა კავკასიაში, როდესაც კონსტანტინე ლესელიძის 18-ე არმიამ შორს, დასავლეთისკენ უკუაგდო მტერი და ტამანის ნახევარკუნძული გაათავისუფლა. ეს მოხდა 1943 წლის 9 ოქტომბერს. იმავე დღეს კ. ლესელიძეს მიანიჭეს გენერალ-პოლკოვნიკის წოდება და დააჯილდოვეს სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით. იმ დროისთვის იგი მე-13 არმიის მეთაურთან — **ნ. პ. პუხოვთან** ერთად გახდა საბჭოთა კავშირში პირველი, ხოლო საქართველოში ერთადერთი მხედართმთავარი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა პირველი ხარისხის სამი სასარდლო ორდენი — სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის.

მეორე გამოჩენილმა ქართველმა გენერალმა — პორფილე ჩანჩიბაძემ დიდი სამამულო ომი დაასრულა აღმოსავლეთი პრუსიის დედაქალაქში, კენიგსბერგში, სადაც, როგორც მე-2 დამკვრელი არმიის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა წაიკითხა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის აქტი. ეს ორი გამოჩენილი მხედართმთავარი წარმოშობით გურიის პატარა სოფლიდან — ხვარბეთიდან იყვნენ. ორივე გახდა საბჭოთა კავშირის გმირი და ორივე სამუდამოდ შევიდა საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვების ისტორიაში.

საუბარი ჩაიწერა  
**ბიორბი კორაკაძემ**





გიორგი გოგოლაშვილი:

# მჯერა, უნივერსიტეტი ფუნჯე დადგება. სხვანაირად არ შეიძლება. უნივერსიტეტში ის მაღლია, როგორც ივანე ჯავახიშვილია ჩადო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალარჩეული რექტორი ჰყავს. საზოგადოება დაინტერესებულია, თუ როგორ განვითარდება მოვლენები უნივერსიტეტში და დაიბრუნებს თუ არა ცოდნის ეს ტაძარი ძველ დიდებას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ 100-დღიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა.

მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამ 100 დღის განმავლობაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო, თუმცა გარკვეული ინიციატივები და ტენდენციები უკვე გამოიკვეთა. გასული 100 დღის განმავლობაში ახალი შემადგენლობით მუშაობა განაახლა რექტორის მრჩეველთა საბჭომ.

კიდევ რა შეიცვალა უნივერსიტეტში? რა ახალი და სასიკეთო ნაბიჯების გადადგმა იგეგმება? რას შეცვლიან? —

ამ მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ უნივერსიტეტის რექტორის — ლადო პაპავას მრჩეველს, პროფესორ ბიორბი ბობოლაშვილს ვენვით.



— საკითხი ასე დავსვით: რა გაფუჭდა და რის გამოსწორებას შეეძლებო? ცხრა წლის მანძილზე, 2003 წლიდან მოყოლებული, უნივერსიტეტი მხოლოდ ინგრეოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი ხან მოვლენების შუაგულში ვიყავი, ხან გარედან ვუყურებდი პროცესებს.

ჩვენ, რამდენიმე პროფესორმა, უნივერსიტეტი პროტესტის ნიშნად დავტოვეთ. ყველა მოვლენა, ყველა ფაქტი ჩემ თვალწინ ხდებოდა. **მერ გავისხანებ სუბუ-ასა და კვიტაშვილის მმართველობის პერიოდში ისეთ ქმედებას, რომელსაც უნივერსიტეტის წინსვლა რამეოდია. ყოველი მათი ნაბიჯი**

**მიმართული იყო არსებულის წახდენისა და განადგურებისკენ.** ცხრა წლის მანძილზე დანგრეული კი რამდენ ხანში შეიძლება აშენდეს?

2005 წელს მინისტრ ლომაიას ერთი ბრძანებით მთელი სამეცნიერო სექტორი, ყველა ლაბორატორია და კაბინეტი გაუქმდა. დღეს ამ ლაბორატორიების, ცენტრებისა და კაბინეტების აღდგენა საჭირო; სამსახურიდან 1500 ადამიანი გაუშვეს, რომელთა დაბრუნებაც ძალიან გაჭირდება, რადგან მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც იმდენად გაუბედურებული და წამხდარია, რომ აღდგენა თითქმის შეუძლებელია და, ცხადია, ბიუჯეტის პრობლემაცაა...

პირველი პრობლემა, რომელიც რექტორის წინაშე მრჩეველებმა წამოვჭერთ, იყო ის, რომ ეტაპობრივად ლაბორატორიების აღდგენა დაგვეწყოს, რადგან ერთბაშად ამის გაკეთება წარმოუდგენელია. რექტორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დასაწყისისთვის აღდგეს სამი კაბინეტი: ივანე ჯავახიშვილის, ვაჟა-ფშაველასა და შოთა რუსთაველის კაბინეტები. ამას კი სამი წელიწადი დასჭირდება...

საერთოდ, დიდი ბოროტება ჩაიდინეს კაბინეტებისა და ლაბორატორიების დახურვით. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა თავის დროზე უზარმაზარი საქმე გააკეთა ვაჟას მემკვიდრეობის



შესასწავლად. პოეტის შემოქმედებიდან ამონერილი იყო სიმფონია-ლექსიკონის მასალები, გაკეთდა მცირე და დიდი ლექსიკონები, გამოიცა ვაჟას „ხუთი პოემა“, ცალკე გამოიცა „ბახტრიონი“. რაც გამოიცა, ღვთის მადლით, იმის გარდა ყველაფერი დანარჩენი ყუთებში ჩადეს და სადღაც შეინახეს. იქ, სადაც კაბინეტები იყო განთავსებული, რემონტი წამოიწყეს. აღარ არსებობს: ილიას, აკაკის, გალაკტიონის, კონსტანტინეს კაბინეტები. აღარ არიან თანამშრომლებიც. ყველაფრის აღდგენას საშტატო განრიგი, ფინანსები და, ყველაფერს თავი რომ დაანებო, ოთახები სჭირდება.

რექტორმა ლადო პაპავამ პირველი ნაბიჯები კი გადადგა, სამი კაბინეტის აღდგენის გრაფიკაც შედგენილია, მაგრამ ეს ერთი პრობლემაა, მაგრამ არის სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც გასატარებელი. უნივერსიტეტში ფაკულტეტები შეერთდა, ექვსი ფაკულტეტის ბაზაზე ერთი — საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი შეიქმნა, ასევე მოხდა ჰუმანიტარულ ფაკულტეტზეც. რა სარგებელი მოიტანა ამ ფაკულტეტების შეერთებამ თავად დარგებისთვის ან სტუდენტებისთვის, წარმოდგენა არ მაქვს. სამაგიეროდ, ვიცი, რა წახდა ასეთი ქმედებით — სწავლის ხარისხი დაეცა. რექტორთან ამაზე ვისაუბრეთ. ასევე შეხვედრები გვქონდა ფაკულტეტების წარმომადგენლებთან, ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ აუცილებლად უნდა დაიშალოს ეს მონსტრი ფაკულტეტები, მაგრამ აქაც პრობლემას წავანყდით —

ვფიქრობთ, თუ რამდენ ფაკულტეტად შეიძლება დაიშალოს ეს ფაკულტეტები.

ყველაფერი, რასაც მივადევით, მტკივნეული აღმოჩნდა. არ დგას საკითხი ისე, რომ დილით რექტორი ბრძანებას გამოსცემს და საქმე უცბადვე გაკეთდება. სირთულის წინაშე ვდგავართ, რადგან საქმე სასწავლო პროცესთან გვაქვს, ამგვარმა რეორგანიზაციებმა სტუდენტები არ უნდა დააზარალოს. „ნაციონალები“ ამას არად დაგიდევდნენ, მაგრამ ახლა, ასე ვერ მოვიქცევით. ამ სასწავლო წელს ჰუმანიტარულია და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების დაშლა მაინც რომ მოხერხდეს, ძალიან კარგი იქნება. პროცესი უმტკივნეულოდ უნდა წარიმართოს და, რაც მთავარია, ეს სასარგებლო უნდა იყოს უნივერსიტეტისთვის, სტუდენტისთვის და თითოეული დარგისთვის.

**ძალიან დიდი პრობლემის წინაშე დგას რექტორი უნივერსიტეტიდან წასული თუ გაშვებული პროფესორების უკანდაბრუნებასთან დაკავშირებითაც.** წინა ხელისუფლება გადანყვებილებს დაუფიქრებლად იღებდა. როდესაც ხუბუამ 2006 წელს კანონდარღვევით კონკურსი ჩაატარა, აკადემიურ სექტორში 3 500-მდე საშტატო ერთეული იყო, კონკურსი კი 700 ადგილზე გამოაცხადა. მაშინ 2800 ადამიანი ქუჩაში აღმოჩნდა, ეს კატასტროფა იყო. ბევრი მათგანი ამ ამბავს ფიზიკურად შეეწირა კიდეც. ბევრი მათგანი სხვაგან წავიდა, ხოლო ნაწილი უმუშევარი დარჩა. სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებ-

ებში გამოცდილება და ცოდნა წლებს მოაქვს. წინა ხელმძღვანელებმა ასეთი ხალხი მოიშორეს, ისინი 100-150 ლარიანი პენსიისთვის გაინირნენ.

დღეს იმის მზაობა არის, რომ, თუ ამ ადამიანების უკან დაბრუნება არ მოხერხდა, რაიმე ფორმით სოციალური დახმარების საკითხი მაინც მოგვარდეს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ისეთი კანონმდებლობა აღმოჩნდა, ძალიანაც რომ უნდოდეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, დახმარებას ვერაფრით შეძლებს.

ამჟამად განათლების ახალ კანონზე მუშაობა მიმდინარეობს, თავად ვარ იმის მოწმე, კომისიის ერთ-ერთ წევრს როგორ თხოვდა რექტორი, რომ იქნებ კანონში ჩაიდოს ისეთი რამ, შევძლო იმ ადამიანების დახმარება, რომლებმაც უნივერსიტეტისთვის ძალიან ბევრი გააკეთესო.

ბევრი ისაუბრეს უკანონო კონკურსებთან დაკავშირებითაც, ძალიან ბევრი ჩივის კიდეც. ხუბუამ აღნიშნული კონკურსი ორჯერ (2006, 20009 წ.), ხოლო კვიტამვილმა ერთხელ (2012წ.) ჩაატარა, სადაც ბევრი კანონდარღვევა მოხდა, როდესაც რომელიმე ამ კონკურსით განაწყენებული ადამიანი სიმართლის დადგენას ცდილობს, ეუბნებიან, სასამართლოს მიმართეო, იქ კი, ეს პროცესები ძალიან ჭიანჭურდება და გვიანდება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სასამართლო, ხშირ შემთხვევაში, იმ მხარეს ამართლებს, რომელიც მართალი არ არის...

უნივერსიტეტი ახლახან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გადაკეთდა, ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ, როდესაც ეს ბრძანება გამოიცა, ხელახლა მოხდებოდა უნივერსიტეტის დაფუძნება, გამოცხადდებოდა გარდამავალი პერიოდი, კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლეოდა, შეიქმნებოდა დროებითი მმართველობა, რაც ბევრი რამის სასიკეთოდ შეცვლის საშუალებას მოგვცემდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პრემიერმა გამოსცა ბრძანება უნივერსიტეტის სსიპ-ად გადაკე-

**წინა ხელისუფლება გადაწყვეტილებას დაუფიქრებლად იღებდა. როდესაც ხუბუამ 2006 წელს კანონდარღვევით კონკურსი ჩაატარა, აკადემიურ სექტორში 3 500-მდე საშტატო ერთეული იყო, კონკურსი კი 700 ადგილზე გამოაცხადა. მაშინ 2800 ადამიანი ქუჩაში აღმოჩნდა, ეს კატასტროფა იყო.**



თების თაობაზე, მაგრამ ბრძანებაში ჩაინერა, რომ ჩატარებულ კონკურსებში უსამართლოდ გამარჯვებული თანამშრომელი უნივერსიტეტში კონკურსის ვადის გასვლამდე დარჩება... ფაქტობრივად, 5-6 წლის თავზე გამოცხადდება შემდეგი კონკურსი... **ძალიან ბევრს რომ ვსაუბრობთ სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენაზე, ამიხსნას ვინმემ, როგორ აღდგება ეს კანონიერება და სამართლიანობა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე... დიახ, ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელია, რომ სამართლიანობა აღდგეს.**



ვიდრე პირში სული მიდგას, სულ ვიყვირებ, რომ, რაც ხდება, უსამართლობაა, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონმდებლობამაც ხელი უნდა შეგვიწყოს. ვერ იმას ვიტყვი, რომ ამ სფეროში პარლამენტი სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენაზე ფიქრობს და ზრუნავს. ჩვენს სფეროში ეს არ ხდება, რადგან პარლამენტს აქამდე უნდა მოემზადებინა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა და იმ დამსახურებული ადამიანებზე, რომლებიც უკანონოდ ქუჩაში აღმოჩნდნენ, ეზრუნა.

მე რექტორის გვერდით აღმოვჩნდი, როგორც მრჩეველი, მე ვიყავი ერთ-ერთი, ვინც უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა. ახლა აქ ვარ და ისეთი საკანონმდებლო ბარიერებია ჩემ წინ, რომ, გულითაც რომ მინდოდეს, ვერაფერს გავაკეთებ, კანონი ამის საშუალებას არ იძლევა...

ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ... როდესაც რექტორს ვეუბნებით, რა არის გასაკეთებელი, ის ისმენს და თავადაც კარგად იცის, თუ რა არის გასაკეთებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონმდებლობა ამის საშუალებას არ იძლევა...

სიტუაცია არეულია... მოუწესრიგებელია ფინანსური საკითხებიც.

რექტორის ინიციატივით, საგანგებო კომისია შეიქმნა, რომელიც აკადემიური და მატერიალური მოდერნიზაციის საკითხებზე

**ძალიან ბევრს რომ ვსაუბრობთ სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენაზე, ამიხსნას ვინმემ, როგორ აღდგება ეს კანონიერება და სამართლიანობა არსებული კანონმდებლობის საფუძველზე... დიახ, ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელია, რომ სამართლიანობა აღდგეს.**

იმუშავენ, რას ნიშნავს ეს? — ეს ნიშნავს, რომ არსებული ვითარება ოპტიმალურს მიუახლოვდეს. წინა რექტორს შეეძლო, ერთ წელიწადში 28 თვის ხელფასი აეღო... რას ნიშნავს? განვმარტავ: ყოველთვიურად დაინიშნა 90%-იანი დანამატი, ანუ გაიორმაგა (ეს 24 ხელფასია) და 4-ჯერ პრემია აიღო... ადმინისტრაციის თანამშრომელს პროფესორზე 2-3-ჯერ მეტი ხელფასი აქვს. ადმინისტრაციული შტატები ძალიან გაიბერა და მაღალ ხელფასებზე დასვეს; ეს გათვლილი იყო იმაზე, რომ მათ ადმინისტრაციის თანადგომა სჭირდებოდათ; პროფესორები შიშში უნდა ჰყოლოდათ...

არ შემიძლია, გვერდი ავუარო პარლამენტის სხდომაზე ივანე

კილურაძის გამოსვლას. ის ძალიან გაბრაზებული იყო, მან თქვა, რომ ხელისუფლება დღესაც შამკინისა და ლომიას გზას ადგასო. ეს სიტყვები სამეცნიერო სექტორს ეხებოდა. **სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მეცნიერმუშაკზე დაჩაგრული ფენა არ არსებობს. მისი საშუალო ხელფასი 150-დან 200 ლარამდეა.** ივანე კილურაძემ საკითხი დასვა, რომ გაზრდილიყო სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლების ხელფასი, ის ამისთვის 2 მილიონს ითხოვდა, მას არა თუ ამაზე თანხმობა განუცხადეს, უფრო მეტიც, რუსთაველის სამეცნიერო ფონდს დაფინანსება შეუმცირეს. არადა, ერთი მინისტრი 20-ჯერ მეტ ხელფასს იღებს თვეში, ვიდ-



რე მთელ წელიწადში ერთი მეცნიერი მუშაკი... ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ ამ ხელისუფლებასაც მეცნიერება არ აინტერესებს.

**სამეცნიერო დაწესებულებებში ცოტა ხანში კაციშვილი აღარ მოვა, არც ერთ ახალგაზრდას სურვილი არ ექნება, მეცნიერებას დაეუფლოს, რადგან მისი შრომა წლების შემდეგაც მხოლოდ 150 ლარით შეფასდება... თავს შიმშილისთვის არავინ განირავს. ნებისმიერი ნიჭიერი კაცი მდიდარ ფირმაში წავა სამუშაოდ და თავს გადაირჩენს...**

უნდა აღინიშნოს ერთი სასიხარულო ფაქტი, დღეს რექტორის საქმიანობაში მთავრობა აღარ ერევა, რადგან რექტორი დანიშნული კი არა, არჩეულია. მას იოლად ვერ შეეხებიან, მაგრამ არის საკითხები, რომლებშიც სამინისტროს ჩარევა აუცილებელია. დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი რექტორი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას შეძლებს, ჯერ მხოლოდ 100 დღე გავიდა. 100 დღე კი ცხრა წლის ნანგრევებზე არაფერი არ არის. უნივერსიტეტში ადამიანები გაუცხოვებულები არიან ერთმანეთთან, ურთიერთობა გაცივებულია, უნდობლობაა. ერთხელ ბატონმა ლადომ ისიც კი თქვა: — ვერაფრით წარმოვიდგენდი, ადამიანებს ასე თუ სძულდათ ერთმანეთით. „ნაციონალებმა“ ამ სიძულვილის დათესვა მოახერხეს. თუ ვინმეს სურდა ადგილის შენარჩუნება, ვიღაც უნდა შეზიზღებოდა, რადგან სხვაგვარად ადგილის შენარჩუნებას ვერ

შეძლებდა. ლადო პაპავა გაკვირვებულია უნივერსიტეტში არსებული ვითარებით, გარედან ასე არ ჩანდაო.

მჯერა, უნივერსიტეტი ფეხზე დადგება. სხვანაირად არც შეიძლება. უნივერსიტეტში ის მადლია, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა ჩადო. უნივერსიტეტი უდიდესი ადამიანების ღვანლზე დგას. მას ვერანაირი ბოროტი ძალა ვერ წააქცევს. საქართველოში არსებობს ტაძრები, რომელთაც ეპოქასთან ვაიგივებთ — მე-11 საუკუნესთან — სვეტიცხოველი, მე-12 საუკუნესთან — გელათი, ასევე მე-20 საუკუნესთან — უნივერსიტეტი. ეს ტაძრები ისტორიის ბედუკუღმართობის გამო ზოგჯერ ინგრეოდა, მოდიოდა კეთილი დრო და კვლავ აღდგებოდა ხოლმე, ასე გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე.

უნივერსიტეტზე დარტყმა პირველად 1926 წელს მიიტანეს — ივანე ჯავახიშვილი რექტორობიდან მოხსნეს და ვინმე თედო ლლონტი მოიყვანეს, რომლის შესახებაც მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა, რომ 1921 წელს თედო ლლონტი სტუდენტადაც არ მიიღესო... 1930 წელს უნივერსიტეტი საერთოდ დახურეს, სამი წლის შემდეგ კვლავ აღდგა. ასეთი ეტაპები ამ ტაძარმა გაიარა. **ეს დღეს დაუნივერსიტეტია, სწორედ მასზე უნდა იყოს სწორება, ამ სწორებაში კი წინა ხელისუფლების აბრკილია გამოიწვია. მისი ავტორიტეტის და-**


**ცემით საზოგადოებაზე ზემოქმედების სადავებების ხელში ჩაგდება უნდოდათ, ეს თითქოს შექმნის კიდეც, მაგრამ ნელ-ნელა უნივერსიტეტი ქალას იკრებს.**

დიდი იმედი მაქვს, რომ ლადო პაპავას რექტორობის პერიოდში სასიკეთო საქმეებს საფუძველი მაინც ჩაეყრება, აღარ მოხდება შერჩევითი და უსამართლო კონკურსების ჩატარება.

საქართველოში განათლების სისტემის ნგრევას საფუძველი 90-იან წლებში ჩაეყარა, „ვარდების რევოლუციის“ დროს კი გამოჩნდნენ „კმარელები“, ანტიკორუფციული სამსახურის წევრები (გიგი თევზაძე, გივი თარგამაძე...), ადამიანები, რომლებმაც უნივერსიტეტი დახატეს, როგორც ყველაზე უწმინდური დაწესებულება. თავის დროზე ლომიამ დაიქაძნა, უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვიძირკვავთ და შევექმნით ამბიციურ უნივერსიტეტს „ილიას“ უნივერსიტეტის სახით. არ ვიცი, რას ნიშნავს ამბიციური, მაგრამ ილიას უნივერსიტეტს ძალიან დიდი ბიუჯეტი აქვს, რომლითაც პროფესორის გადაქაჩვა მოახერხეს. ქართული ენის ცენტრში იქ 50 თანამშრომელი ჰყავთ, როცა იმავე ქართული ენის კათედრა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, ფაქტობრივად, მოსპეს (სამი თანამშრომელი დატოვეს, აქედან მხოლოდ ერთია ქართული გრამატიკის სპეციალისტი. აკაკი შანიძის კათედრა, ფაქტობრივად, გაუქმდა). ახალმა ადმინისტრაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ უპირველესი კათედრა — ქართული ენისა, აღდგეს.

თუ ქვეყანაში განათლება არ დაფასდა, თუ ღვანლმოსილი ადამიანების შრომა არ დაფასდა, არაფერი გვეშველება. მე-19 საუკუნეში აკაკი წერეთელმა თქვა: „ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედისწერა განათლებაზედ არის დამოკიდებულიო?“. ამ დებულებას ვერავინ უარყოფს.

ესაუბრა მკა ნასყიდაშვილი





**ბადრი რამიშვილი:**

# საქართველო ორიენტირებული უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებაზე და ამის საკანონმდებლო გაზისი სახელმწიფო უნდა შექმნას

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ მთავარ დაპირებად იმთავითვე სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა დასახელდა. კოალიციის ლიდერები ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ამ დარგს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ. მილიარდიანი დახმარება, რომელიც მაშინ აგრარულ სექტორს აღუთქვეს, საზოგადოებამ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია, თუმცა რა მოიტანა ამან და რა მიიღო რეალურად სოფელმა, დღემდე საკითხავია; ფაქტი ისაა, რომ საპარლამენტო არჩევნებიდან წელიწადზე მეტი გავიდა და გლეხი ისევ იმ პრობლემების წინაშე დგას, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ჰქონდა — აგრარული ნაწარმი კვლავინდებურად გასაღების ბაზარს ელოდება, „ჩანოლილი“ პროდუქტი კი ქვეყნის ეკონომიკას მძიმე ტვირთად აწვება.

რა პროგრესი განიცადა სოფლის მეურნეობამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში და რას უნდა ველოდოთ მომავალში, გვესაუბრება ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ბადრი რამიშვილი.



— ბატონო ბადრი, ერთი წელი, ალბათ, საკმარისია იმისთვის, რომ ხელისუფლების მოქმედება ამა თუ იმ კონკრეტული მიმართულებით შევაფასოთ... როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტიანი იყო კოალიციის მიერ სოფლის მეურნეობის კუთხით წარმოებული პოლიტიკა და რა მდგომარეობაშია დღეს ეს სფერო?

— უწინარესად, დავინწყოთ იმით, რომ ერთი მილიარდი არარის ისეთი გრანდიოზული თანხა, რომლითაც სოფლის მეურნეობა შეიძლება ბოლომდე წაღობოთ. ჯერ კიდევ ათი წლის წინ ნავიკითხე ერთგან, რომ სადღაც 5 მილიარდ-ნახევარი დოლარი სჭირდებოდა ამ დარგს სრული რეაბილიტაციისთვის. რაც შეეხება შე-

კითხვას, რა გაკეთდა ბოლო ერთ წელიწადში, დღესდღეობით ზოგ დილეტანტს ჰგონია, რომ შესაძლებელია, სოფლის მეურნეობა იქცეს ნებისმიერი ქვეყნის ძირითად დარგად, რაც არარეალურია, მაგრამ დაბალგანვითარებულმა ქვეყანამ, პირველი, რითაც უნდა დაიწყოს, თუ ამის რესურსი აქვს, ესაა აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნა. აქ მარტო სოფლის მეურნეობა არ იგულისხმება, ამიტომ არ შეიძლება ამ საკითხზე ასე ამოგლეჯილად ისაუბრო. ზოგადად, მაკროდონეზე უნდა ხედებოდეს სწორი პოლიტიკის გატარება და ამის მერე შეგვეძლება ჩვენ საუბარი დანარჩენ ფაქტორებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სერიოზული პროგრესისთვის.

— უფრო დეტალურად განვუმარტოთ მკითხველს: რას გულისხმობს ეს ნაბიჯები?

— ლაპარაკია იმაზე, რომ სოფლის მეურნეობაში, როგორც კონკრეტულ დარგში, მიმდინარე ცვლილებები უნდა ჯდებოდეს მაკროეკონომიკურ კონტექსტში და ამის შემდეგ შემუშავდეს სისტემური ხედვა. თუ ეს არ იქნება, უბრალოდ, ვერანაირი ფინანსური „შეშხაპუნებები“ შედეგს ვერ მოიტანს; მიმართულება ვერ განვითარდება და მუდმივად ვივლით ერთსა და იმავე მოჯადოებულ წრეზე...

— გინდათ თქვათ, რომ დღესდღეობით არ არსებობს ეს სისტემური ხედვა?

— ყოველ შემთხვევაში, ეს არ ჩანს, ჩვენ ამას ვერ ვხედავთ და



ამიტომაც იყო, რომ თითქოს რაღაც თანხა „შეაშხაპუნეს“ კონკრეტული მიმართულებით. **ლავარაკია 250-300 მილიონ ლარამდე თანხაზე, რომელიც ჩაიდო გაზაფხულის პროგრამაში და ეს თანხა, თუ არ ვცდები, პირადად ზიკინა ივანიშვილმა გაიღო. ახლა უკვე თვითონაც არ მალავენ, რომ ამ თანხის 30-40 პროცენტი დაიკარგა, ანუ სოფელში კი არ წავიდა, არამედ შუამავალ ფირმაზე. ამასთან დაკავშირებით მე ტელევიზიითაც ვინაუბრე და ვთქვი, რომ, როცა ვინმე ფულს იხდის, ცუდი არაა მიძივით სოციალური მდგომარეობის დროს, მაგრამ ჯამში ეს მაინც უფრო სოციალური დახმარებაა, რომელიც, მინიმუმ, იმის ნახევარ შედეგს არ მოიტანს, რისი აწივირებაც სდევალდა.**

— რაც შეეხება ისევ იმ მილიარდიან დახმარებას, რომელიც ივანიშვილმა აღუთქვა სოფლის მეურნეობას, არის საუბარი იმაზე, რომ ეს თანხაც არამიზნობრივად იხარჯება, რომ კონკრეტულ პროგრამებზე არაკომპეტენტური პირები მუშაობენ და ა.შ. თქვენი აზრით, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებას სისტემური ხედვა არ გააჩნია, რა შეცდომებს უშვებს ის ამ მიმართულებით?

— არ მინდა, ჩვენი საუბარი რაღაც პოლიტიკურ შეფასებას დაემსგავსოს, ეს არაა ჩემი სფერო, მაგრამ ერთი რამის თქმა ნამდვილად საჭიროა: არ შეიძლება მარტო ეკონომიკური მიზნები დავუსახოთ სოფლის მეურნეობას, იმიტომ, რომ სოფელი საქართველოსთვის სულ სხვა რამეა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ესაა გენეტიკური აღწარმოების ძირითადი არეალი. ასე რომ, თუ ეს მოიშლება, ძალიან მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდებით. გარდა ამისა, კულტურული ტრადიციების დიდი ნაწილი, რომელიც ასევე იქაა თავმოყრილი, დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს სრულ კატასტროფამდე.



— წინა ხელისუფლებაზეც გკითხავთ: თქვენ თქვით, რომ დღევანდელ მთავრობას სისტემური ხედვა არ აქვს, „ნაციონალური მოძრაობა“ რა პოლიტიკას ატარებდა ამ თვალსაზრისით?

— სხვათა შორის, წინა ხელისუფლებას ჰქონდა თავისი სისტემური ხედვა. ეს იყო ძალიან ჭკვიანურად ორბანო-ზეზულის სტრატეგია, მაგრამ პრობლემა რაში მდგომარეობდა, იცით? ის არ იყო ძართული პროექტი, ანუ რისი თქმა მინდა: ისინი არაქართული დემოგრაფიული თუ ფინანსური რესურსების საფუძველზე ცდილობდნენ აქ წარმატებული ბაზრის ფორმირებას და აღწევდნენ კიდევ. შედეგად, ეკონომიკა იზრდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ დაახლოებით 10 წელიწადში მივიღებდით კატასტროფულად შეცვლილ დემოგრაფიულ ვითარებას...

— შეცვლილს ვის სასარგებლოდ და ვის საზიანოდ?

— ეს უკვე ნათელია: **საქართველო, რომორც ტერიტორია, ეკონომიკური თვალსაზრისით, იქნებოდა წარმატებული, მაგრამ ის არ იქნებოდა საქართველო.**

— აბა, რა იქნებოდა?

— უბრალოდ, აქ გაკეთდებოდა რაღაც შპს-ის მაგვარი სახელმწიფო, სააკაშვილის ფირმა და ბენდუქიძის მსგავსი წარმატებული ბიზნესმენების კაპიტალის ზრდით მიაღწევდნენ გარკვეულ წინსვლას.

— წინა ხელისუფლება ამაცობდა იმით, რომ თურმე მათი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში ინვესტიციების ბუმი იყო. ვინ იყვნენ რეალურად ეს ინვესტორები და რა საქმიანობას ეწეოდნენ საქართველოში? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში აქ, ფაქტობრივად, არც ერთი დასავლური ინვესტიცია არ შემოსულა. რაც შემოვიდა და შემოდის, ძირითადად, არის ახლოაღმოსავლეთის არაბული ქვეყნებიდან.

— დასავლეთიდან იმიტომ არ შემოდოდა ინვესტიციები, რომ მათი ხედვა ბიზნესისადმი სულ სხვანაირია. სააკაშვილის ხელისუფლების ხედვა კი სრულ უნისონში მოდიოდა იმ ქვეყნებთან, რომლებშიც არის ტრილიონობით დოლარი თავისუფალი ფული და ეს თანხა ეძებს დასაბანდებელ ადგილს. კიდევ ვიმეორებ: **ამ კუთხით წინა ხელისუფლე-**





**ბის დროს ეკონომიკა წინ მიდის, მაგრამ როგორც ბითხარით, საბოლოო ჯამში ეს მიგვიყვანდა სრულ დემოგრაფიულ კატასტროფამდე.**

— და რას აკეთებდა „ნაცმოდრაობა“ იმისთვის, რომ ეს საფრთხე აგვეცილებინა?

— ისინი ამას არ აღიქვამდნენ საფრთხედ და შესაბამისად, ეს არც იყო განხილული, როგორც პრობლემა, რომლის მოგვარებაზეც არ რალაცნაირ დაბალანსებაზე უნდა ეზრუნა ხელისუფლებას.

— როგორ ფიქრობთ, ამ გეგმის ნაწილი ხომ არ იყო საფიზო-საიმიგრაციო პოლიტიკის ე. წ. ლიბერალიზაცია და 118 სახელმწიფოსთან თავისუფალი მიმოსვლის შემოღება?

— ამაზე პირველმა მე ამოვიღე ხმა და ყველგან, სადაც საშუალება მექნებოდა, ღიად ვსაუბრობდი მოსალოდნელ საფრთხეებზე. რა თქმა უნდა, ეს ამ გეგმის ნაწილი იყო და მეტიც, ამით ორ კურდღელს კლავდნენ: **ჯერ ერთი, ძირითადი მოსახლეობის წილს ამცირებდნენ, ვინაიდან უკვე შიში ჰქონდათ ამ მოსახლეობის; და მეორე, შემოქყავდათ ეკონომიკურად აქტიური დემოგრაფიული ნაკადი, უზარმაზარი ფინანსები, რომელთა უკანაც იდგა სახელმწიფო რესურსი.**

— ვისი სახელმწიფო რესურსი?

— იმ უცხოელი მოქალაქეების, რომლებიც შემოჰყავდათ. ზოგადად, დღეს, ვთქვათ, არსებობს ორი სახელმწიფო და ერთი არის ზესახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც უზარმაზარი ფული აქვს და მსოფლიოს მასშტაბით აქტიურობს. ეს აქტიურობა გამოიხატება, ერთის მხრივ, პირდაპირ დემოგრაფიულ ექსპანსიაში და მეორე მხრივ — მიწების შესყიდვაში, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ამ სქემით ეკონომიკური ზრდა გრძელდება მანამ, სანამ კაპიტალის შემოდინება და ქვეყნის სრული ათვისება მოხდება, საბოლოო ჯამში კი ნაგებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც ისლა რჩება, რომ მომ-

სახურე პერსონალის ფუნქცია იტვირთოს.

— თავის დროზე, როცა საუბარი იყო თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრებაზე სოფლის მეურნეობაში, უცხოური ფერმერების ჩამოყვანისა და მათთვის აქ მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხიც დადგა. თქვენი აზრით, ეს რა შედეგს მოიტანდა რეალურად?

— შედეგზე ასე ზოგადად გამიჭირდება ლაპარაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, **დღესაც აქტიურად საშურობენ იმაზე, რომ უცხოელები უნდა ჩამოვიდნენ.**

ეს რას ნიშნავს? — თურმე ქართველმა, რომელიც შიშვეულია მოცემულ ბიოკლიმატურ პირობებს, არ იცის, რა სჭირდება სოფელს; **სოლო ვიღაც ჩამოსული, რომელიც დათისავე ბრინჯს, უფრო წარმატებული იქნება. ის არარეალურია და ამას უკვე ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხედავს, თუმცა პოლიტიკა არა თუ არ იცვლება, ხელი-სუფლება სრულ უმოქმედობასა და უუნარობას იჩენს.**

— როგორც ვიცი, მალე მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით გამოცხადებული მორატორიუმი უნდა მოიხსნას. როგორ ფიქრობთ, შეიცვლება ამით რამე?

— ეს არაფერს შეცვლის. ვიმეორებ, დროებით, სანამ მიწის გაძვირება მოხდება და ავა იმ დონემდე, რა დონეც არის, ვთქვათ, ევროპაში, ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად იქნება, მაგრამ შემდეგ შეჩერდება და ბოლოს მივიღებთ ისეთ სიტუაციას, როგორიცაა იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეს კაპიტალი უკვე მძიმე მდგომარეობაშია.

— ზოგადად, წინა ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეობა არარენტაბელურია და ეს არ შეიძლება იყოს პრიორიტეტი. მაგალითად, კახა ბენდუქიძე ამას ღიად აცხადებდა და წერდა სოციალურ ქსელში. იზიარებთ თუ არა თქვენ, თუნდაც ნაწილობრივ, ამ პოზიციას?

— მთავარია, კრეატიულად შე-

ხედო სიტუაციას და, თუ არსებობს მიზანი, მაშინ მისი მიღწევის საშუალებაც უნდა გამოიხატოს. რაც შეეხება ბენდუქიძის ნათქვამს რენტაბელურობასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, ის არ იყო მხოლოდ მისი პოზიცია, არამედ ამით მან გამოხატა ის ხედვა და მიმართულება, რაც ჰქონდა წინა ხელისუფლებას.

— დასაწყისში თქვენ სისტემური ხედვის არარსებობაზე საუბრობდით, მაშინ იმისთვის, რომ ეს ხედვა შემუშავდეს, ჯერ, ალბათ, მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო. როგორ ფიქრობთ, რა არის ის მთავარი ცვლილება, რომელსაც, პირველ რიგში, მოითხოვს სახელმწიფო?

— ამასთან დაკავშირებით ახლა, უბრალოდ, არ ვისაუბრებ იმიტომ, რომ ეს არის რთული საკითხი და მოკლედ შეუძლებელია, შემოვიფარგლო. ისე, მინიშნების სახით შემიძლია გითხრა, რომ ჩვენ ორიენტაცია უნდა გვექონდეს ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაზე არამარტო სოფლის მეურნეობაში. სხვათა შორის, იმის საკანონმდებლო ბაზისი უნდა შექმნას, პირველ რიგში, სახელმწიფომ, დანარჩენი კი უკვე დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულად რა ნაბიჯები გადაიდგმება და რა სისტემით იხელმძღვანელებს ქვეყანა.

— არიან დღეს ხელისუფლებაში შესაბამისი სპეციალისტები, რომ ეს ყველაფერი შეძლონ?

— სპეციალისტებზე და ვინმეს კომპეტენტურობაზე გამიჭირდება საუბარი, უბრალოდ, აქ უნდა შეიქმნას გარკვეული პოლიტიკური ერთობა, რომლის დოქტრინაც იქნება ქვეყანაზე ორიენტირებული და ეს პოლიტიკური ერთიანობა ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს სრულად. აი, ამის შემდეგაა შესაძლებელი, პერსპექტივებზე საუბარი, თუ არა და პოლიტიკისგან ცალკე, რალაც კონტექსტიდან ამოგლეჯილად ეკონომიკური განვითარების რეცეპტები არ არსებობს.

ესაუბრა ჯაბა ჭვანია

# გიორგი ტოვსტონოგოვი – ქართული თეატრის ოსტატი და უემოქაედი

გიორგი ტოვსტონოგოვი მე-20 საუკუნის უდიდესი მოვლენაა. სწორედ მის მსგავს პიროვნებებს ძალუძთ, შეცვალონ მსოფლიო და მის ყოველდღიურ ჩარჩოში მოქცეული ყოველდღიურობა. მას — გრძნობებით შეიარაღებულს, მთელი სამყაროს აღქმა შეეძლო. სილამაზე, უფლისგან ბოძებული დიდი გონიერება და მაღალი პროფესიონალიზმი მისი შემოქმედების თითოეულ დეტალში იგრძნობა. სწორედ ამიტომ ის მთელი გულით მიიღო და აიტაცა ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც მის შემოქმედებას გულდასმით შეითვისებდა ხოლმე. შემოქმედება შემოქმედის სულის ანარეკლად შეგვიძლია სამართლიანად ჩავთვალოთ და სწორედაც, რომ გიორგი ტოვსტონოგოვის შემოქმედება მისი მდიდარი შინაგანი სამყაროს უტყუარი დასტურია. ეს კი მთლიანობაში მაღლიან და ყოველმხრივ დახვეწილ ხელოვნებას ქმნის, რომელიც არასოდეს ქრება და არასოდეს იკარგება...

ტოვსტონოგოვის თითოეული თეატრალური წარმოდგენა ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით, ჟანრობრივი მრავალფეროვნებითა და ემოციურობით გამოირჩეოდა. სწორედ ამიტომ მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები მაყურებელში დიდ აღტაცებას იწვევდა ხოლმე.

ნაწარმოებზე მუშაობისას მისი ამოსავალი წერტილი და მთავარი მიზანი იყო, ისე დაედგა წარმოდგენა, რომ ყოველივე ლამაზსა და ყურებადში ყველაზე პრობლემატური საკითხები აესახა. თავისი საქმის უბადლო ოსტატისთვის ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენ-

და, მაგრამ ყოველ დადგმაზე მუშაობისას ის ბოლომდე იხარჯებოდა, მთელ თავის ემოციას, სულსა და პროფესიონალიზმს იყენებდა იმისთვის, რომ სპექტაკლი უდავოდ შთამბეჭდავი გამოსულიყო და საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ განსახილველ საკითხად ქცეულიყო. მისი თითოეული სპექტაკლი თითქოს საზოგადოების სულის ამოძახილი იყო და ამდენად, მის გულსა და სულს მაღამოდ ედებოდა. მისი ყოველი პიესა პრობლემათა ასახვით ყოველთვის სინამდვილესთან იყო დამოკიდებული.

დიდი რეჟისორი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ, როდესაც სცენაზე საინტერესო მსახიობებსა და ჭეშმარიტ ტალანტებს ხედავდა, გული უთრთოდა ხოლმე. მისი ოცნება იყო პატარა თეატრი დიდი მსახიობებით. უდავო გენიალობა და საზოგადოების, როგორც პრიორიტეტის, არსებობა კი მის მიერ რეპერტუარის შერჩევის დროსაც იკვეთება. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან საზოგადოების უდიდესი მოწონება იმ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე დადგმულმა წარმოდგენებმა დაიმსახურა, როგორცაა ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ა. ვოლოდინის „ჩემი უფროსი და“, გ. ფიგერეიდუს „მელა და ყურძენი“, დოსტოევსკის „იდიოტი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“ და ლ. ტოლსტოის „ცხენის ისტორია“.

გიორგი ტოვსტონოგოვის უდიდესი როლი და მნიშვნელობა ქართული თეატრის განვითარებაში კარგად ჩანს ასევე კლასიკური ნაწარმოებების დადგმასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, იყო პერიოდი, როდესაც თეატრში კლასიკურ ნაწარმოებებზე არ დგამდნენ წარმოდგენებს. ეს სწორედ





ტოვსტონოგოვის მოღვაწეობის პერიოდს ემთხვეოდა და ის ძალიან წუხდა ამაზე. არაერთ გამოსვლასა თუ მსახიობებთან უშუალო კონტაქტისას, ყოველთვის უსვამდა ხაზს ამ პრობლემას და აღნიშნავდა, რომ კლასიკურ რეპერტუართა შეუსრულებლობა ქართულ თეატრს სასიკეთოდ ნამდვილად არ წაადგებოდა. სამუშაო პროცესში კი ყოველთვის ცდილობდა ამ საკითხის გამოსწორებას, მაგრამ ამავდროს მიაჩნდა, რომ ჯერ საჭირო იყო მსახიობთა გუნდის იმ დონეზე გაზრდა, რომ ისინი კლასიკურ ნაწარმოებებზე შექმნილ ნარმოდგენებს ღირსეულად შექიდეოდნენ და მისი ღირსება არაფრით არ დაეკნინებინათ. მას მიაჩნდა, რომ თეატრში მუშაობის პირველი ეტაპი, შედარებით ახლოებული და აუცილებელი საკითხებიდან უნდა დაწყებულიყო, რომლებიც ხელს შეუწყობდა მისი და მაცურებლების ურთიერთობას. ტოვსტონოგოვი მაცურებელთან დაკავშირებით ყოველთვის ფრთხილი იყო და რეპერტუარის შერჩევის სამი პრინციპი ჰქონდა:

- I. პრობლემის მხატვრული ღირებულება და მისი აქტუალობა;
- II. თეატრის სპეციფიკის გათვალისწინებით, მაცურებლისთვის რუსული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გაცნობა;
- III. ახალი ადამიანის აღზრდა, ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა.

გიორგი ალექსანდრეს ძე ტოვსტონოგოვის ცხოვრება და მოღვაწეობა უდავოდ მრავალფეროვანია. ის 1915 წლის 28 სექტემბერს თბილისში დაიბადა და 1938-1946 წლებში ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი იყო. შემოქმედებითი მოღვაწეობა 1931 წელს თბილისის მოზარდ მაცურებელთა რუსულ თეატრში დაიწყო. ასევე მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, მოსკოვის ცენტრალურ საბავშვო თეატრში და 1950-1956 წლებში ლენინგრადის ლენინური კომკავშირის თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე, 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა ლენინგრადის დიდ აკადემიურ დრამატულ თეატრს, ხოლო 1962 წლიდან ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სარეჟისორო კათედრის გამგედ მუშაობდა. ტოვსტონოგოვს თაჰვი-სი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში მრავალი წოდება მიენიჭა, ის იყო სსრკ-ის სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი და სსრკ VII-VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ასევე დაჯილდოებული იყო ლენინის ვოროდენითა და მედლებით. 1983 წელს კი თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.



დის ლენინური კომკავშირის თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე, 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა ლენინგრადის დიდ აკადემიურ დრამატულ თეატრს, ხოლო 1962 წლიდან ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სარეჟისორო კათედრის გამგედ მუშაობდა. ტოვსტონოგოვს თაჰვი-სი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში მრავალი წოდება მიენიჭა, ის იყო სსრკ-ის სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი და სსრკ VII-VIII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ასევე დაჯილდოებული იყო ლენინის ვოროდენითა და მედლებით. 1983 წელს კი თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

დიდმა რეჟისორმა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სა-

**ტოვსტონოგოვს მიაჩნდა, რომ თეატრისთვის ზურგის შექცევა საზოგადოების მხრიდან კალიან ადვილი იყო, თეატრის წინ წაწევა კი მხოლოდ მაღალ პროფესიონალიზმს შეეძლო. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა, რომ კალიან ბავარი იყო დამოკიდებული თეატრის თითოეულ ნარმოდგენაზე, მათ ბულისსემიერაზე, არ ჩაეჩრთა მსმენელში ინტერესი თეატრის მიმართ.**



რეჟისორი ფაკულტეტი ცნობილი რეჟისორისა და პედაგოგის, ალექსეი პოპოვის ხელმძღვანელობით დაამთავრა, რის შემდეგაც თბილისის ინსტიტუტში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მან რეჟისორებისა და მსახიობების მრავალი თაობა აღზარდა, რომლებმაც შემდეგ ქართული თეატრალური სკოლა პროფესიონალიზმის უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს. უმაღლესი რანგის ოსტატი საფუძვლიანად იყო ნაზირები ქართულ თეატრს, მარჯანიშვილისა და ახმეტელის ხელოვნებას.

გარდა იმისა, რომ ტოვსტონოგოვი სხვებისგან მაღალი ნიჭიერებითა და დიდი ოსტატობით გამოირჩეოდა, საზოგადოებაში მისი პირადი ცხოვრებაც დიდ ინტერესს იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ მას მთელი ცხოვრების მანძილზე არ აკლდა გართობა, რომანები და მის ირგვლივ ქალებიც ბლომად იყვნენ, მას მთელი ცხოვრება მხოლოდ ერთი ქალი უყვარდა, რომელიც მისი ერთადერთი ცოლის სტატუსს სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა.

ტოვსტონოგოვის ერთადერთი სიყვარული მისივე მოსწავლე — სალომე ყანჩელი იყო. მათ ერთმანეთი თავდავინყებით შეუყვარდათ, შემდეგ შეუღლდნენ და გიორგი მისი ორი შვილის მამაც გახდა. სამწუხაროდ, ისინი რამდენიმე წელში ერთმანეთს დაშორდნენ და სასამართლომ შვილებზე მეურვეობა ტოვსტონოგოვს დააკისრა. ცოტახანში ის ლენინგრადში გადაიყვანეს და შვილებიც თან წაიყვანა. სასამართლომ შვილები, სალომეს მატერიალური სიდუხჭირის გამო, მამას მიაკუთვნა.

ტოვსტონოგოვი მისი მოღვაწეობის მანძილზე ხშირად დადიოდა საზღვარგარეთ და თავის გუნდთან ერთად წარმოდგენებს მართავდა. ისინი სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლის დიდ მონონებას იმსახურებდნენ და წარმატებაც აუცილებლად ხვდებოდათ წილად. გამომდინარე იქიდან, რომ მისი მოღვაწეობა და შემოქმედება საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწ-



სალომე ყანჩელი

ვევდა, ხშირად უწევდა სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ის ყოველთვის აღნიშნავდა, რომ წარმატება მისთვის ხშირ შემთხვევაში მოულოდნელად მოდიოდა და არასოდეს სჯეროდა დაგეგმილი წარმატების. ყოველ წარუმატებლობას კი, არა მაყურებელს, არამედ საკუთარ თავს მიანერდა ხოლმე. რეჟისორი ინტერვიუებში ყოველთვის თეატრის სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე, მათი გადაჭრის გზებსა

და მომავალ პერსპექტივებზე საუბრობდა, მაგრამ წინასწარ არასოდეს აღნიშნავდა რაიმეს მომავალი წარმოდგენების შესახებ. ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, უთამაშია თუ არა მას ოდესმე თეატრში და დათანხმდებოდა თუ არა რეჟისორის როლს კინოში ან ტელეფილმში, მისი პასუხი ასეთი იყო: „ყოველი რეჟისორი სულით მსახიობია. რეპეტიციების დროს იმდენი როლის თამაში მიხდება, რომ სცენაზე გამოსასვლელად ძალა არ მეყოფოდა. ამას გარდა, დატვირთვა არ მძლევს საშუალებას, დავეკარგავ პროფესიულ ჩვევებს. როლები კინოსა და ტელევიზიაში გეგმაში არ მაქვს“.

მას მიაჩნდა, რომ თეატრისთვის ზურგის შექცევა საზოგადოების მხრიდან ძალიან ადვილი იყო, თეატრის წინ წაწევა კი მხოლოდ მაღალ პროფესიონალიზმს შეეძლო. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა, რომ ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული თეატრის თითოეულ წარმომადგენელზე, მათ გულისხმიერებაზე, რათა არ ჩაექროთ მსმენელში ინტერესი თეატრის მიმართ. ტოვსტონოგოვს სჯეროდა მაყურებლის და მასთან ყოველთვის შემოქმედებით ურთიერთობას ამყარებდა.

**უოპენა ღვაწლიანი**



კადრი სპექტაკლიდან „ხანუმა“



# უკვდავი მეგობრობის გამოგრძელება

## ტიციან და ნიტა ტაბიძეების ხსოვნის საღამო ლიტერატურის მუზეუმში



**„ერთხელ სიკვდილი რას მიზამს, ერთხელ სიკვდილის არ მჯერა“, — განაცხადა ტიციანმა და მართლაც ვერაფერი დააკლო ერთხელ სიკვდილმა პოეტს, დიდმა პოეტურმა გენიამ უკვდავყო იგი თაობების ხსოვნაში. ამის ერთ-ერთ დადასტურებას ზამთრის ცივ, სუსხიან დღეს ლიტერატურის მუზეუმში ტიციან და ნიტა ტაბიძეების ხსოვნის საღამო წარმოადგენდა.**

საღამოს ჩატარების იდეა რუს მწერალსა და მთარგმნელს — **ნატალია სოკოლოვსკაიას** ეკუთვნის. „ტიციან და ნიტა ტაბიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარების იდეა კავკასიის საზღვრებს მიღმა დაიბადა, — განაცხადა მან საღამოზე. — მე ვმეგობრობდი ნიტასთან და მრავალი წელი ვცხოვრობდი მის სახლში. ნიტა იყო საოცარი ადამიანი, პიროვნება, რომელიც ორ ქვეყანას — რუსეთსა და საქართველოს, ორ კულტურას აერთიანებს. უნდა აღვნიშნო, რომ, როდესაც ნატალია გუდმანმა გაიგო აღნიშნული საღამოს ჩატარების თაობაზე, აიღო თავისი უზარმაზარი ინსტ-

რუმენტი და ისიც ჩვენთან ერთად წამოვიდა საქართველოში. საღამოში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდნენ ასევე ანა და ირა კანდინსკაიები. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ლიტერატურის მუზეუმსა და ყველა ჩემს მეგობარს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს აღნიშნული საღამოს ჩატარებაში, ვინაიდან ერთია იდეა და მეორე — მისი განხორციელება. ყველაზე კარგი, რაც ჩვენ ახლა შეგვიძლია გავაკეთოთ, ისაა, რომ გავიხსენოთ ეს ღირსეული ადამიანები — ნიტა და ტიციან ტაბიძეები“. ხსოვნის საღამო პოეზიისა და მუსიკის საღამოდ იქცა. **ნატალია**

მე არ ვწერ ლექსებს...  
ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე  
ამ ლექსს თან ახლავს.  
ლექსს მე ვუწოდებ  
მოვარდნილ მენყერს,  
რომ გაგიტანს და  
ცოცხლად  
დაგმარხავს...

**სოკოლოვსკაიამ** რუსულ ენაზე მისივე თარგმნილი ტიციანის ლექსები წაიკითხა. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად რუსეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ ასევე ლენა პასტერნაკი (ბორის პასტერნაკის შვილიშვილი), მწერალი და მთარგმნელი ნატალია სოკოლოვსკაია, ირინა ერისანოვა, მარიამ ფილინა.

ლიტერატურის მუზეუმის დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა. ბევრმა მათგანს მთელი საღამოს განმავლობაში ფეხზე დგომა მოუწია, რადგან მუზეუმში არსებული ყველა სკამი უკვე დარბაზში იდგა და დაკავებული იყო.

ტიციანის ლექსები წაიკითხეს და პოეტი გაიხსენეს ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, მსახიობებმა, პოეტებმა: მურმან ჯინორიამ, ლაშა თაბუკაშვილმა, კოტე ყუბანეიშვილმა, ზაზა აბზიანიძემ, ნინო ხოფერიამ, ზაალ ჩიქობავამ, სოფიო გელოვანმა, ეთერ კაკულიამ და სხვებმა. მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს ანა და ირინა კანდინსკაიებმა, ნატალია გუტმანმა, რომელიც საღამოზე დასასწრებად ვენიდან სპეციალურად ჩამოვიდა.

ხსოვნის საღამოზე სტუმრებს ტიციანის შვილიშვილი, პოეტის ერთადერთი ქალიშვილის — ნიტა ტაბიძის ვაჟი, **გივი ანდრიაძე** მასპინძლობდა. „ვფიქრობ, ძალიან თბილი და კარგი საღამო იყო. ბევ-



რი ხალხი ესწრებოდა და ყველა კმაყოფილი დარჩა. — განაცხადა მან ჩვენთან საუბარში სალამოს დასასრულს, — ამას გარდა, მინდა აღვნიშნო, რომ ეს სალამო რუსეთ-საქართველოს მეგობრობისა და სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურებაა. ცნობილი პიროვნებები მოსკოვიდან სპეციალურად ნიტა და ტიციან ტაბიძეების სალამოზე დასასწრებად ჩამოვიდნენ. მეტიც, სწორედ რუსების ინიციატივით ჩატარდა ეს სალამო, რომელსაც შემდეგ საქართველოს კულტურის სამინისტრომ და ლიტერატურის მუზეუმმაც აუბეს მხარი.

2015 წელს რუსეთში ტიციან ტაბიძის 120 წლისთავის აღნიშვნას აპირებენ. მანამდე, 2014 წელს ტიციანის სალამო გაიმართება მოსკოვში. როგორც ვიცი, მათ გრანდიოზული გეგმები აქვთ.

ვფიქრობ, დღევანდელი დღე ნამდვილი დღესასწაული იყო“.

„ტიციანი ცისფერყანწელებშიც გამორჩეულია, რადგან თავის ემოციას, გრძნობებს ყველაზე ნინ აყენებს. ქართულ ემოციაზე აგებული მისი პოეზია. მისი ლექსებიდან ჩემს პროგრამაში სამი ლექსი მაქვს. შევეცდები, ჩემი დამოკიდებულება ტიციანის მიმართ ამ ლექსებით გამოვხატო“, — განაცხადა მსახიობმა **მურმან ჯინორიამ** და პოეტის ლექსები მისთვის ჩვეული ოსტატობით წაიკითხა, რასაც დამსწრე საზოგადოების მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა.

„ჩვენ, ფაქტობრივად, მეგობრე-

**ნიტა ტაბიძე შვილთან — გივი ანდრიაძესთან ერთად**



ბის მშობლების სახლებში ვიზრდებოდით. საერთოდ, მაშინ ადამიანებს უფრო მეტად ეცალათ ერთმანეთისთვის, — ბავშვობის წლები გაიხსენა **მწერალმა და დრამატურგმა ლაშა თაბუკაშვილმა**. — მარტო თავის შვილებს კი არა, შვილების მეგობრებსაც ზრდიდნენ და ეს არ იყო ერთეული შემთხვევები. ვმეგობრობდით იმ ეპოქის უდიდეს ადამიანებთან. მე ყოველთვის ამაყი ვიყავი, რომ ვცხოვრობდი გივი ანდრიაძის (მსოფლიო ჩემპიონის) პატარა ოთახში და რომ ნიტა მიკითხავდა სხვადასხვა პოეტის ლექსებს.

ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო ნიტასთან მეგობრობა. ნიტა ტაბიძეს თუ იცნობდი, მიხვდებოდი, როგორი იყო ტიციანი.

რთული იყო ჩვენთვის ნიტას დაკარგვა... შეშინებული, ბავშვებივით დავზრდით, იმდენად წარმოუდგენელი იყო ჩვენთვის მისი სიკვდილი“.

დამსწრე საზოგადოებამ 1976 წელს მოსკოვში ტიციანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამოს ვიდეოფრაგმენტებიც იხილა, რომელსაც მაშინ პოეტი ბელა ახმადუღინა, მწერალი ირაკლი ანდრონიკოვი, პოეტი და მთარგმნელი პავლე ანტოკოვსკი ესწრებოდნენ.

იმ დღეს ლიტერატურის მუზეუმის ერთი დარბაზი ტიციანის ფოტოგამოფენას დაეთმო. მონვეულ სტუმრებს ალაფურშეტიტ უმასპინძლეს.

ეს არ იყო უბრალოდ გახსენების სალამო, ეს იყო იმ უკვდავი მეგობრობის კიდევ ერთი გამოხრწყინება, რომელსაც ვერც სიკვდილი და ვერც დრო ვერ ანადგურებს, რომლის ფესვებიც ისე ღრმაა, რომ თაობებში გადადის, როგორც მარადიული ნათელი, სიკეთე და თუმცა თავად ტიციანს ია-ვარდით მოფენილი გზით არ უვლია, თუმცა „ბედნიერებას მას უმაღლავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა“... ბედნიერება მის ლექსებს ხვდა წილად, მაგრამ მისი უკვდავი სახელი დღესაც აგრძელებს სიცოცხლეს.

**ზორენა ციხარაშვილი**

**ირინა და ანა კანდინსკაიები**





# სტუმრად ჯემალ ღალანიძესთან



ჯემალ ღალანიძე, კახი კახსაძე, რამაზ ჩხიკვაძე, ოთარ კობერიძე, ჯამალტ სუსნაშვილი

## ჯემალ ღალანიძე:

**თეატრი ის ადგილია, რას უნდა ბოროტი ადაშიანი მოვიდეს, იმ ორ საათში  
 ხუდი ახრი არ მოუვა თავში და უსსაქლოა, დაფიქრდეს კიდევ,  
 – ღირს თუ არა ბოროტების ჩადენა. ეკლესია და თეატრი განუანებულია,  
 მაგრამ სულ ვფიქრობ, რომ მისია ერთი აქვთ – ხალხს უნდა ასწავლონ,  
 რომ კეთილი ბოროტს აუხილავლად სძლავს**

ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ საახალწლო ნომრის „ფოტოალბომის“ სტუმრად ჯემალ ღალანიძე ავირჩიეთ. ის ერთ-ერთია იმ უხუცეს მსახიობთაგან, ქართული კულტურისა და ხელოვნების დიდებულ ეპოქას რომ გვახსენებენ; დროს, როდესაც ადამიანები თეატრის ბილეთების რიგში იდგნენ და დიდი სიხარულით ელოდნენ ბუმბერაზი მსახიობების ხილვას; დროს, როდესაც ხალხი პოლიტიკაზე კი არ საუბრობდა, დიდ ხელოვნებას ეზიარებოდა.

ბევრი ახალგაზრდისთვის, ალბათ, წარმოუდგენელია, გადამყიდველებისგან შექენილი, ძლივს ნაშიფნი ბილეთები, კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი ან თუნდაც ფეხზე მდგარი მაცურებელი როგორი ალტაცებით საუბრობდა ამ თუ იმ სპექტაკლის



გმირებზე, დიდი მსახიობების მიერ შესრულებულ როლებზე.

ალბათ, ყველას ახსოვს ჯემალ ლალანიძის როლები: ბატონი სიმონი („ფილოსოფიის დოქტორი“), ნინოლა („ბახტრიონი“), ელგუჯა („ზღვის შვილები“), მამუკა („ერთხელ დახოცილები“), ჩივერი („სეილემის პროცესი“), როზენკრანცი („ჰამლეტი“), კაკული („პეპო“), ბ-ნი გიორგი („მზიანი ღამე“), არჩილ ფორია („გვადი ბიგვა“), ფირუზა („მეტეხის ჩრდილში“), ვაჭარი ტყუილკოტრიანცი („ხანუმა“), ლავრენტი და მამამთილი („კავკასიური ცარცის წრე“), ტირელი („რიჩარდ III“), კახელი, ქმარი („დიალოგები ორმოქმედებიანი პიესისათვის“), ღმერთი („სეჩუანელი კეთილი ადამიანი“), ალქაჯი („მაკბეტი“), შალვა („მოხუცი ჯამბაზები“), ბენვოლიო („გონზაგოს მკვლელობა“), გეურქა („მზის დაბნელება საქართველოში“).

ჩვენ ბატონ ჯემალს ყველაზე მნიშვნელოვანი და ბედნიერი დღეების გახსენება ვთხოვეთ...

— ჩემი ცხოვრების რომელი



ჯემალ ლალანიძე მეუღლესთან — ელენე ლალანიძესთან ერთად

ნლები გინდათ, რომ გავიხსენო? სიხარული ბევრი მქონდა. პირველი ის იყო, რომ ბავშვობის ოცნება ამისრულდა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე. ჩემს თანაკლასელებს რომ ვხვდები-ხოლ-

მე, მეუბნებიან, უბედნიერესი კაცი ხარო. თავადაც წარმატებული ცხოვრებით იცხოვრეს, მაგრამ მაინც აღნიშნავენ, რომ მე მეტზე ბედნიერი ვარ.

სკოლა, რომელიც დავამთავრე,

საქმტაკლ  
„მოსუცი  
ჯამბაზების“  
სრული  
შემადგენლობა







კახი კავსაძის საღამო რუსთაველის თეატრში: ოთარ მელვინიძე, თეატრის დირექტორი, კახი კავსაძე, გურანდა გაბუნია, სოსო ლალიძე, ნანუკა ხუსკივაძე და ჯემალ ლალანიძე

მათემატიკური იყო. ვინც ის სკოლა წარმატებით დაასრულა, ყველამ კარგი გზა გაიარა. მე და ჩემი ძმა ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ჩვენი სკოლის დირექტორი ამბობდა: — ნოდარი ნამდვილად ჩემი მოსწავლეა, მაგრამ ეს ვინ არის, არ ვიციო... ჯემალს ფანდური, აკორდეონი უნდა დააკავენინო, აცეკვო და ამღეროო.

სკოლაში კლასის დამრიგებელი მყავდა ძალიან კარგი ქალი, გვარად აბაშიძე, ქართულს მასწავლიდა. ერთხელ ვიცვლქე და გაკვეთილიდან გამომავლო. მე გავბრაზდი, კლასში შევბრუნდი და ვუთხარი: „პატ. მასწ! აი, ნახავთ, მე მსახიობი გავხდები და ჩემი სპექტაკლების ბილეთების რიგში მგდომს დაგინახავთ-მეთქი“. ასე აგინდეთ ყველაფერი კარგი.

რუსთაველის თეატრში „ხანუმა“ დავდგით. ისეთი ამბავი იყო, ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, ბილეთებიც ძალიან ძნელად იშოვებოდა. ჩემი ქართულის მასწავლებლისთვის თავის შვილს უთქვამს: „ჯემალი მთავრ როლს თამაშობს და იქნებ ორი ბილეთი რო-

გორმე გვიშოვოსო“. გაგიჟებულა ჩემი მასწავლებელი: „მაგასთან არაფრით არ მივალ, ზუსტად ეგრე დამემუქრაო“.

ეს ამბავი იმიტომ მოგიყევით, რომ მსახიობობა ძალიან პატარა ასაკიდან მქონდა გადანყვეტილი და ეს სურვილი ამიხდა. მერე უკ-



ჯემალ ლალანიძე და მელა ჩახავა



**გაბრიელ ნამთალაშვილი, ჯემალ ლალანიძე, ჯავახიშვილი სუსუაშვილი, ოთარ კობახიძე**

ვე უდიდესი სიხარული ის იყო, რომ რუსთაველის თეატრში მოვხვდი. მსახიობისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება დებიუტია. ჩემი დებიუტი „ფილოსოფიის დოქტორში“ შედგა. მიშა თუმანიშვილის სპექტაკლი იყო. როლებზე მე და ზინა კვერენჩილაძე სრულიად მოულოდნელად დაგვამტკიცეს. პირველი რეპეტიციის დღეს უდიდესი სიხარული განვიცადეთ — თეატრში დაგვხვდნენ: ეროსი მანჯგალაძე, მედიკო ჩახავა, გოგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე, ბადრი კობახიძე.

ნარმატებულ როლს, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ბევრი იყო, ყოველთვის დიდი სიხარული მოჰყვებოდა, მაგრამ მთელი ამ ეპოქიდან „კავკასიურ ცარცის წრეს“ გამოვარჩევდი. სპექტაკლმა სტალინური პრემია მიიღო. ეს მნიშვნელოვანი ჯილდო იყო, რომლითაც ნარტიტი დაგვაჯილდოვეს, ჩვენთან ერთად კი, რა თქმა უნდა, რეჟისორი რობერტ სტურუა და დამდგმელი მხატვარი მესხიშვილი. ეს დღე ჩემთვის იმით არის დაუვინყარი, რომ ჯილდო მოსკოვში, კრემლში გადმოგვცეს. წარმოიდგინეთ, რამხელა სიხარული იქნებოდა ჩემთვის, ჩემი გვარი და სახელი რომ გამოაცხადეს.

შემდეგ ოჯახი შევქმენი და აქაც ბედნიერი დღეები გავატარე. დღეს ჩემი შვილიშვილი მსახიობია და ერთადაც ვთამაშობთ. ჩემს ცხოვრებას არ ვემდური. მარტო

„კავკასიური ცარცის წრით“ 30 ქვეყანა მოვიარე. 650-ჯერ ვითამაშე, მე ერთადერთი ვარ, რომელსაც არც ერთი სპექტაკლი არ გაუცდენია — 650-ივე ვითამაშე.

ახლა, როდესაც ჩემს განვლილ ცხოვრებას გადავხედავ-ხოლმე, ვფიქრობ, ბევრ რამეს ისე არ ვაკეთებდი, როგორც ვაკეთებდი, მაგრამ ამას მხოლოდ გამოცდილება მალაპარაკებს, განა ვნანობ... ალბათ, ასეთი გრძნობა ყველას უჩნდება წლების მერე. გული არასოდეს დამწყვეტია, მსახიობის ბედი კარგად ვიცოდი. დილას მიდიხარ და გაკრულია განცხადება „დამტკიცებულია ამა და ამ როლზე“, არავინ გეკითხება — შეგიძლია თუ არა, მოგნონს თუ არა. რეჟისორს არჩევანი აქვს, მსახიობს — არა.

რომ გითხარო, რაიმე როლის თამაში ოცნებად მქონდა გადაქცეული-თქო, არ ვიქნები მართალი. უბრალოდ, ბავშვობიდან გამხდარი და მაღალი ვიყავი და, როდესაც „დონ კიხოტი“ წავიკითხე, ვიფიქრე, აღნაგობით მას ძალიან ვუახლოვდები-მეთქი, მაგრამ, სანამ ქუჩაში ჩავდექი, ფორმა დავკარგე, გავსუქდი და ამ აზრმაც გადაიარა. აი, ცოტა ამაზე მეფიქრება-ხოლმე, კახიმ მაჯობა და მან ითამაშა.

თქვენი ჟურნალის ეს ნომერი, ალბათ, ახალ წელს გამოვა. მინდა გითხარო, რომ პოლიტიკაში არასოდეს გავრეულვარ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი ქვეყნის ბედი არ მანუხებს. ახლა ძალიან მინდა, ჩემს ქვეყანას გაერთიანება და გამთლიანება ვუსურვო, შესაძლებელია, ეს ტრაფარეტული სიტყვებია, მაგრამ მე მანუხებს.

მინდა, ახალ, 2014 წელს სწორ გზაზე დავდგეთ. მე თუ ვერ მოვესწრები ჩემი შვილები და შვილიშვილები მაინც მოესწრონ. მინდა, თეატრმა იარსებობს. თეატრი ის ადგილია, რაც უნდა ბოროტი ადამიანი მოვიდეს, იმ ორ საათში ცუდი აზრი არ მოუვა თავში და შესაძლოა, დაფიქრდეს კიდეც, — ღირს თუ არა ბოროტების ჩადენა. ეკლესია და თეატრი განყენებულია, მაგრამ სულ ვფიქრობ, რომ მისია ერთი აქვთ — ხალხს უნდა ასწავლონ, რომ კეთილი ბოროტს აუცილებლად სძლევს.

**მოამზადა  
იკა ნასყილაშვილმა**



**ჯემალ ლალანიძე, ჯემალ ბალაშვილი და გოგი გეგეჭკორი**



# ილია ჭავჭავაძე და არტურ ლაისტი

1922 წელს „ბახტრიონის“ ფურცლებზე დაახასიათეს და დააფასეს პატივცემული არტურ ლაისტი, როგორც ლიტერატორი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპელთა ცნობდა ქართულ მწერლობას. მკითხველთა გააცნეს, თუ რა ამაგი დაგვდო ბატონმა ლაისტმა ამ მხრივ ქართველობას. აღსანიშნავია ამ ადამიანის კერძო ცხოვრებაც. როგორც ვიცით, ბ-ნი ლაისტი მეტად დაახლოებული იყო ჩვენი საზოგადოების ყველა თვალსაჩინო პირთან და, მათ შორის, ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც ძნელად თუ ვისმე უმეგობრდებოდა. აშკარა იყო, რომ საბუთი ჰქონდა ი. ჭავჭავაძეს, თუ რად დაიხსლოვა და დაუახლოვდა არტურ ლაისტს, ქართველთა ამ გულწრფელსა და უანგარო მეგობარს, რომელიც ჭირსა თუ ლხინში გვერდით გვედგა, სიტყვით თუ საქმით ეხმარებოდა ჩვენს ქვეყანას და რომელმაც საქართველო მეორე სამშობლოდ გაიხადა და თავის ნამდვილ სამშობლოზე არა ნაკლებ შეიგუა და შეიყვარა. თედო სახოკია ამ ორი ბუმბერაზი ადამიანის ურთიერთობაზე საინტერესო პუბლიკაციას გვთავაზობს:



ბატონ არტურ ლაისტს, მიუხედავად ავადმყოფობისა, ერთთავად საქმეში გართულსა ვხედავთ, ერთთავად ფაციფუცშია, ცდილობს უფრო მჭიდროდ დაგვაახლოვოს გერმანელ ხალხთან, მათ ინტელიგენციასთან, მათი გული ჩვენ მოგვაგებინოს და ჩვენი — მათ; **ეხმარება ყველა ქართველ ახალგაზრდას, ვინც კი გერმანიაში მიდის სასწავლებლად, რჩევა-დარიგებას აძლევს, სარეკომენდაციო წერილებს ატანს გერმანიაში პროფესორებთან, გზას ულოცავს. ლაისტი ცდილობს საქართველოდან გერმანიაში გაამგზავროს მთელი რიგი ქართველი ხელოსნებისა ხელობის უკეთესად შესასწავლად; გერმანიის მთავრობასთან შუამდგომლობს — გამოაგზავნოს გერმანიიდან ხელოსნები-ინსტრუქტორები ქართველთა შორის სხვადასხვა ხელობის გასავრცელებლად, თვალსაჩინოდ, პრაქტიკულად... აარსებს გერმანულ-ქართველთა მეგობრობის საზოგადოებას, გერმანული ენის კურსებს... ერთი სიტყვით, ბატონი არტ. ლაისტი უაღრესად მონდომებულია გერმანული კულტურა გააცნოს**

პატარა საქართველოს, ამ კულტურას აზიაროს ჩვენი ქვეყანა. არაჩვეულებრივი კიდეც ის არის, რომ ბ-ნი არტ. ლაისტი უანგაროდ და მეგობრულად უწვდიდა ხელს ყოველ ქართველს. არტ. ლაისტი ჩვენს სამშობლოში პირველად მოვიდა 1884 წელს, ივ. მაჩაბლის „დროების“ იმ წლის 118 და 119 ნომრებში აღწერილია, თუ როგორ დაუხვდა მას თბილისში ქართველი საზოგადოება. საინტერესოდ მიგვაჩნია, 40 წლის შემდეგ მოვიგონოთ ეს დახვედრა. წერილს სათაურად აქვს **„ჩვენი სტუმარი არტურ ლაისტი თბილისში“**: „ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს ქალაქს ბ-ნი არტურ ლაისტი. ეს ის ლაისტია, რომელმაც რამდენიმე წერილი დაბეჭდა ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაზე, და რომელიც, ეს სამი წელიწადი იქნება, რაც დიდი ხალისითა და სიყვარულით სწავლობს ქართულ ენას, ისტორიას, ლიტერატურას, თვალყურს ადევნებს ქართველთა ცხოვრებასა და წარმატებას და თავის შესწავლისა და ცოდნის ნაყოფს უზიარებს ევროპის მკითხ-

ველ საზოგადოებას. პირველი მისი წერილი სახელად „მივიწყებული ლიტერატურა“ იყო დაბეჭდილი ერთს გერმანულ ჟურნალში „ჟურნალი ჩვენი ქვეყნისა და უცხო ლიტერატურისა“ და ქართულად იქმნა გადმობეჭდილი შარშან ჟურნალ „ივერიის“ თებერვლის ნიგნში. მეორე წერილი, რომელიც, აგრეთვე, ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას შეეხებოდა, იმავე ჟურნალში იყო მოქცეული და ჩვენს გაზეთში გადმობეჭდილი. ამ ორ წერილს გარდა ერთი დიდი და ვრცელი წერილი ამას წინათ არტურ ლაისტმა დაბეჭდა პოლონურ ჟურნალ „ატენეუმში“. ჩვენ წავიკითხეთ ხელნაწერში თარგმანი ამ წერილისა, რომელიც „ივერიის“ უკანასკნელ ნიგნში იბეჭდებოდა, და თუმცა თითო-ოროლა შეცდომა ეპოვება, მაინც თამამად შეგვიძლია ვთქვ-



ათ, რომ წერილი დიდად საინტერესოდ არის დაწერილი და წარმოადგენს ბევრად მართალს და უტყუარს მსჯელობას არა თუ ჩვენს ეხლანდელ ლიტერატურასა და მდგომარეობაზე, არამედ ჩვენს წარსულს ისტორიულ ცხოვრებაზე, ზრდასა და განვითარებაზე, სარწმუნოებაზე, მხატვრობასა და არქიტექტურაზე და სხვ. და სხვ.

პარასკევს, ივნისის 1, ბატონბაი. ჭავჭავაძემ მიიწვია სადილად არტურ ლაისტი და დაუპატიჟა ჩვენი მწერლები, ჟურნალისტები და ლიტერატორები. სამის ნახევრამდე მასპინძლის სახლი გაივსო მოწვეულებით, რომელთაც იგი სათითაოდ აცნობდა საპატიო სტუმარს. სადილზე ილია ჭავჭავაძემ დალია სადღეგრძელო ლაისტისა და მიმართა მას მოკლე, მაგრამ კობტა და გრძობით სავსე სიტყვითა, რომელიც მან ქართულად წარმოსთქვა და გერმანულად გადაუთარგმნეს.

ამ სიტყვას ჩვენ შემდეგ მოვიყვანთ; ეხლა კი ვიტყვით, რომ ბ-ნი არტურ ლაისტი სასიამოვნო და გონივრული სახის პატრონია და დარბაისლობა ნამდვილი გერმანული აქვს. ცოტა გამზდარი და ასე 35 წლის კაცი იქნება.

აი, ის მოკლე სიტყვა, რომელიც მიჰმართა პოეტმა-მასპინძელმა პატივსაცემს და სასურველ სტუმარს მისი სადღეგრძელოს დაღევის დროს:

**„დღეს ჩვენ შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი, უცხო და სტუმარი მარტო იმითი, რომ სხვიდამ მოსულია, ხოლო სულითა და გულით ჩვენი მახლობელია, ჩვენი თავისიანია. ამიტომ ორნაირად სასიხარულოა მისი ჩვენ შორის ყოფნა. ქართველმა იცის პატივისცემა უცხოსი და სტუმრისა და უფრო დიდი პატივისცემა თავისი სულით და გულის მახლობლისა და თავისიანისა, მაგრამ ჩვენ სხვა სიამოვნებაც უნდა მიგვიძლოდეს ამ შემთხვევაში! ბ-ნი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც ჩვენდა სასახელოდ კისრად იდო, შუაკაცობა გაგვიწიოს ჩვენსა და ევროპას**

**შორის, რომელმაც იტვირთა — ჩვენ გულში ამონანები სიტყვა, ჩვენი ჭკუისა და გონების საუნჯე, ჩვენი სულიერი ძალ-ღონე აცნობოს იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმატების გზაზედ მეთაურნი და მესვეურნი არიან. თუ აქამომდე შორიდან ვუყურებდით ბ-ნი ლაისტს, დღეს აქ მობრძანებულა, რომ ახლო გაგვიცნოს. იმედია, რომ ახლოს გაცნობილი ქართველი უფრო მეტად შეაყვარებს თავის თავსა. იმედია, რომ ამ სიყვარულით ჩაგონებულ პირუთვნელი სიტყვა ბ-ნი ლაისტისა მოჰყვანს მთელს განათლებულ ქვეყანას იმ ამბავს, რომ შორს სადღაც არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია, და იმ პატარა სამოთხეში, ჰსცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის. ღმერთმა აცოცხლოს ბ-ნი ლაისტი!“**

სალამოს ათი საათი გახლდათ, როცა საპატიო მასპინძელმა და რამდენიმე მოწვეულმა ძვირფასი სტუმარი ნაიყვანეს მტკვრის ნაპირას მდებარე „ვაზის ბაღში“, სადაც გულგაშლილად ილხინეს და ტკბილ მასლაათს შეექცნენ ხეების ქვეშ, საუცხოო აუზის ნაპირზედ გაშლილ ქართულ სუფრაზე. ქართულს, გერმანულს და პოლონურს ისტორიაზე და ლიტერატურაზე საუბარი ერთიმეორეს ზედ მიჰყვებოდა, ერთიმეორეს ავსებდა...

ვახშმის დროს გულითად სადღეგრძელოებს ბანს აძღვედნენ თავისი გრძობიერის ხმით დაფაზურნა, დუდუკი და სალამური...

— ჩინებულად შეთვისებულია ეს მუსიკა, რამდენადაც მე მესმის, თქვენს ნაციონალურს, ისტორიულ ცხოვრებასა და თავგადასავალთანაო, — სთქვა შორით მოსულმა სტუმარმა... ილ. ჭავჭავაძის სადღეგრძელოს დროს პატივცემულმა სტუმარმა, სხვათა შორის, უთხრა მას:

— როცა მე თქვენს ლექსს „მტკვრის პირზე“ ნემეცურად

ვსთარგმნიდი, მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, თუ იმავე მტკვრის პირზე მე თქვენთან ერთად ნადიმად ჯდომა მომიხდებოდაო!..

ვახშმის შემდეგ, ღამის 12 საათზე, სტუმარი მიაცილეს თავის ბინაზე.

მეორე დღეს არტურ ლაისტი იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სამწერლოში. ნახა სურათები რუსთაველისა და თამარისა, გულმოდგინედ დაათვალიერა „საზოგადოების“ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა და სათითაოდ გასინჯა ეტრატზე ნაწერი წიგნები მინიატურული მხატვრობით. გასინჯა, აგრეთვე, „წესდება“ და რამდენიმე ქართულად ნაიკითხა“.

თითქმის 40 წელმა განვლო მას აქეთ, რაც ილია ჭავჭავაძემ არტურ ლაისტს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობით მოსვლა მიულოცა და იმედი გამოსთქვა, რომ არტურ ლაისტი ჩვენსა და გერმანელთ შორის შემაერთებელ ხიდად შეიქმნებო. და დღეს, როცა მადლიერი ქართველი საზოგადოება ზეიმობს არტურ ლაისტის წარსულს მოღვაწეობას, თამამად შეუძლია სთქვას, რომ ჩვენი ცხოვრება შეისწავლა, შიგ გულში ჩახედა ამ ცხოვრებას და კალმით გააცნო ყველას ეს ცხოვრება.

არტურ ლაისტმა დაგვიტოვა მეტად საინტერესო წიგნი „**საქართველოს გული**“, რომელშიაც ავტორმა ჩააქსოვა თავისი საკუთარი და გულწრფელი სიყვარულის გრძობა. ეს არის კრებული მისთა მოგონებათა საქართველოსა და ქართველების, ქართველთა მწერლებისა და მწერლობის შესახებ. განსაკუთრებით რელიეფურადაა გაშუქებული ქართველთა სიამაყის — ილია ჭავჭავაძის პიროვნება და ცხოვრება.

მთელი წიგნი მკითხველზე სტოვებს შთაბეჭდილებას შეყვარებულთა მინერ-მონერისას, ვაჟი — არტურ ლაისტია, ხოლო ქალი საქართველოა.

**თედო სასოკია,**  
„ჩემი საუკუნის ადამიანები“,  
თბილისი, 1984



# დასავლურ-ქართული კულტურის ქვები

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოში იქმნებოდა ადგილობრივი კულტურის შესანიშნავი ძეგლები (საჩხერეში, რაჭაში და სხვ.). ამ კულტურის განვითარებამ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ახალ, მაღალ საფეხურს მიაღწია.

ძირითადი ცვლილება განიცადა იარაღმა. ყუამალიანი ცულების ადგილი დაიკავა ბრინჯაოს ახალი ტიპის ცულმა. მას კოლხურ ცულს უწოდებენ იმიტომ, რომ უმთავრესად გავრცელებულია კოლხი ტომების ძველ და ახალ საცხოვრისში, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაპირებზე, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიიდან დაწყებული, ვიდრე ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებამდე. პირველად ასეთი ცულები იპოვეს ჩრდილოეთ ოსეთში, სოფ. **ყოზანში**. ამიტომ მას დიდი ხნის განმავლობაში უწოდებდნენ „ყოზანურ ცულს“. მერე და მერე ეს იარაღი დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მთელს დასავლეთ საქართველოში: სვანეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, აფხაზეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში და იმერეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თემში: შიდა ქართლში და თრიალეთში. საქართველოშივეა ნაპოვნი ამგვარი ცულის ჩამოსასხმელი ყალიბებიც. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ადვილად მტკიცდება ამ ცულის ქართული წარმომავლობა. ამიტომაც, რომ მას კოლხურ ცულს უწოდებენ, ხოლო იმ კულტურას, რომლის გარემოცვაშიც იგი გვხვდება — კოლხურ კულტურას“. კოლხური ცულის უძველესი ნიმუშები დიდი ზომისაა და თანაც სადა. ისინი ნამდვილ სამეურნეო, ხის საჭრელ-საპობ იარაღს წარმოადგენს. ეს ცული შემდეგ და შემდეგ უფრო პატარავდება და ლამაზდება, ამასთან, მას ნაირნაირი ორნამენტით ამკობენ. გარდა ლამაზი გეომეტრიული სა-

ხეებისა, კოლხურ ცულს ამკობს აგრეთვე გველისა და რომელიღაც მტაცებელი ცხოველის სტილიზებული სურათები. ყოზანში აღმოჩენილ ერთ ცულზე გამოსახულია ადამიანის მსგავსი არსება, ალბათ, ღვთაება, რომელიც შვილდისრით ნადირობს გველებზე. ზოგ შემთხვევაში ცულის ყუას ამშვენებს ამა თუ იმ ცხოველის ქანდაკება. ჩანს, რომ ყუამილიანმა ცულებმა შემკობის ასეთი ნესი ტრადიციის ძალით გადმოსცა გვიან ბრინჯაოს ხანის იარაღს.



**სხვადასხვა გამოსახულებით შემკული ცულები წარმოადგენს საბრძოლო და სარიტუალო იარაღს. ამათ გვერდით გვხვდება ბრტყელი ცულები, რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლურ-ქართული კულტურისთვისაც.**

ზოგიერთ კომპლექსში დამონმებულია ბრინჯაოს წალდიც. იგი საოცრად ჰგავს თანამედროვე წალდს. სხვა კულტურებში მის მსგავსს ვერაფერს ვხვდებით. ეს ძლიერ მტკიცე საბუთია მოგვიანო ქართული კულტურის ადგილობრივ, ძველ ფესვებზე ამოზრდილობის სამტკიცებლად. ხის დასამუშავებელი იარაღებიდან აღსანიშნავია აგრეთვე **სატეხი და ხელეჩო, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული საგნებიდან კი — ბრინჯაოს თოხი და ნამგალი.** ამ იარაღების საფუძველზე მტკიცდება, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში საქართველოში დაწყებულია ინტენსიური მუშაობა ახლების ასაღებად და მიწის ახალი ნაკვეთების გამოსაყენებლად. განვითარებული ყოფილა ხის დამუშავებაც. კოლხური მატერიალური კულტურის სხვა შემადგენელი ნაწილების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს, როგორც შემთხვევით მოპოვებული, ისე, უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო ექსპედიციების მიერ დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ძეგლები. აფხაზეთში ამ დროის სამარხები, ხშირად, ქვევრების სახით გვევლინება. არის ჩვეულებრივი ორმოსამარხებიც. სამარხის ინვენტარში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცულებს, რომელთაგან ზოგიერთს ბრინჯაო-



ოსავე ტარი აქვს.


არის შუბისწვერებიც. აღმოსავლურ-ქართული სათანადო საგნებიდან მათ განასხვავებს მეტად გრძელი სატარე მასრები. იქაური სატევრებიც გრძელია და, იბერიული მახვილების მსგავსად, აქვთ ძლიერ მკაფიოდ გამოსახული შუა ქედი. კოლხური ბრინჯაოს სარტყლები შედარებით ვიწროა და ბოლოვდება ბალთით, რომელზედაც კაკვის მოვალეობას ასრულებს ცხოველის თავის ქანდაკება. **სამკაულებიდან ყურადღებას იქცევს ფართო სამაჯურები, შვილდის მსგავსი საკინძები, საკისრე რგოლები ანუ კირკლები სხვადასხვანაირი საკიდები, რომლებიც ცხოველებსა და ფრინველებს გამოსახავს, ქინძისთავები, მძივები და სხვა მისთ.** ბრწყინვალე აღმოჩენები მოგვცა ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ გუდაუთის რაიონში, არქეოლოგ მ.ტრაპშის ხელმძღვანელობით. სოფ. ყულანურხვაში, ექსპედიციამ მიაკვლია სამაროვანს, რომელიც შეიცავს კოლხური კულტურის მრავალრიცხოვან ინვენტარს. აქ არის მომხიბვლელი სილამაზის ბრინჯაოს ცულები (ზოგჯერ ბრინჯაოსავე ტარით), ერთ შემთხვევაში ცხოველის ქანდაკებით შემკული, აგრეთვე სატევრები, სამაჯურები, მძივები და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ ნივთთა შორის იპყრობს მწოლარე ნადირის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება. ამ კულტურის ძეგლები ბრილის სამაროვანზეც საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ისინი მდებარეობს უშუალოდ შუა ბრინჯაოს ხანის სამარხთა თავზე (ქვემოდან II ფენა) და, მაშასადამე, იმავე ხალხს ეკუთვნის, რომელმაც ანტიმონიანი ბრინჯაო დაგვიტოვა. ამ მეორე ფენაში აღმოჩენილ ნივთთა შორის დავასახელებთ მეტად ლამაზ ბრინჯაოს სატევარს, რომელსაც ერთ მხარეზე გველის, ხოლო მეორეზე გველისა და „ზენური“ ხვიების გამოსახულებანი ამკობს. იქიდანვეა რქადახვეული ვერძისთავის ქანდაკება, შვილდის მსგავსი სა-



კინძი (ფიბულა), სარტყლის სწორკუთხოვანი აბზინდა და თავხვია სამაჯური, რომლებიც ზედმინევენით ჰგავს ყობანიდან ცნობილ სათანადო ნივთებს.

**ქვ. ნ. I ათასწლეულის დამდების კოლხური კულტურის ელემენტები დიდი რაოდენობით შემონახა, აბრეთვე, ბრილის სამაროვანის III ფენაშიც, რომელიც ქვ.ნ.ალ-ის VII-IV სს. ეკუთვნის. იგი ხასიათდება არა მარტო ბრინჯაოს, არამედ რკინისა და მინის ან მინისაბური პასტის ნივთების სიჭარბითაც.** (1951 წ. გათხრებმა ცხადყო, რომ რკინის იარაღი ბრილში ფართოდ ყოფილა ხმარებაში უკვე ქვ.ნ I ათასწლეულის დამდეგს). ძლიერ დიდი

რაოდენობითაა აღმოჩენილი რკინის სატევრები და ცულები. არქეოლოგები მათ უწოდებენ სკვითურ აკინაკებს და საომარ ცულებს. ისინი თარიღდებიან ქვ.ნ. VII და მომდევნო საუკუნეებით. ბრილში, ამ დროს ერთ სამარხთაგანში, რომელშიც დაკრძალული იყო რამდენიმე მიცვალებულის დამწვარი გვამი, ექსპედიციამ აღმოაჩინა თორმეტი რკინის აკინაკი, 15 საომარი ცული, ორი მოხრილი დანა, ერთი ლაგამი, ბრინჯაოს საყბური რგოლები, ზარები, ეფვანი, ორი ჭურჭელი, ელექტრუმის საყურე, ძვლის მხატვრულად დამუშავებული ნივთები, სალესი ქვები და სხვა მრავალი. ყველაფერი ეს ახლო ნათესაობას ამჟღავნებს სკვითების ყორღანებიდან ცნობილ ინვენტართან. განსაკუთრებით ყურადღებას, ამ მხრივ იპყრობს ძვლის პანია სამკაულები, რომლებითაც მოკაზმული ყოფილა ცხენის უნაგირი. ერთი მათგანი ზედმინევენით იმეორებს სამთავროს ორმოსამარხებში დამონმებულ იმ ორმაგ ბლოკისებური ბრინჯაოს ბალთებს, რომლებიც, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო მახვილის ჩამოსაკიდებელი თასმის შესაკრავად; ერთი მათგანი ზედმინევენით იმეორებს სამთავროს ორმოსამარხებში დამონმებულ იმ ორმაგ ბლოკისებური ბრინჯაოს ბალთებს, რომლებიც, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო მახვილის ჩამოსაკიდებელი თასმის შესაკრავად; მეორე





ნივთი ცხენის ფეხის მინიატურულ მოდელს წარმოადგენს; მესამეზე ვხედავთ პირდაღებული ადამიანის სქემატურ გამოსახულებას, ხოლო მეოთხეზე — ასევე პირობით (სტილიზებულიად) გამომოცემულ ცხოველის თავს. ვინ იცის, მხატვრულად დამუშავებული ძვლის კიდევ რამდენი ნივთი იყო ამ სამარხში, მაგრამ ისინი ცეცხლს ვერ გადარჩენია. სკვითურ ყორღანებში ძვლის ნივთები საერთოდ ცნობილია, მაგრამ ასე კარგი ხელობის თითქმის არაფერი გვევლევება. როგორც დავინახეთ, ბრილის სამარხებში მასობრივად ჩნდება საგნები, რომელთაც სკვითურად მიიჩნევენ.

ესენია, პირველ ყოვლისა, რკინის სატევრები, ანუ აკინაკები და საომარი ცულები. ამგვარი იარაღი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სამთავროში, დვანში, თრიალეთში და კავკასიის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. მასალის შესწავლილობის დღევანდელ დონეზე უკვე გადაუდებლად დგება კითხვა: მართლა სკვითური წარმოშობისაა ეს იარაღი, თუ ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზე ამოზრდილი? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ორიოდ სიტყვით გავიცნოთ, თუ ვინ იყვნენ სკვითები ან რა ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ტომებთან? დიდი ხანია სკვითების ისტორია მეცნიერების თავსატეხ საკითხად



იქცა, მაგრამ სავსებით ამომწურავად დღესაც არაა გაშუქებული. პირველი ვრცელი ცნობები სკვითების შესახებ ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ (ძვ.წ. V ს.) დაგვიტოვა, უფრო გვიან (I ს.) სტრაბონიც ბევრ ცნობას გვანვდის. ირკვევა, რომ ძვ.წ. VII საუკუნიდან დაწყებული სკვითებს ეკავათ ვრცელი ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე. ისინი წარმოადგენდნენ მრავალი სხვადასხვა ტომის გაერთიანებას. მართალია, ძველ წყაროებში მათ მეთაურებს „მეფეები“ თუ „მეფუკები“ ეწოდებათ, მაგრამ ადრეულ ეპოქაში ისინი სახელმწიფოებრივად გაერთიანებული არ ყოფილან. არამედ გვაროვნული წყობილე-

ბის უკანასკნელ საფეხურზე მდგარან. მათ შექმნეს ძლიერ განვითარებული კულტურა. სკვითურ ყორღანებში მოპოვებული ოქროსა და ვერცხლის ნატიფი ნივთები, კერძოდ, მახვილთა ტარები და ქარქამის გარსაკრაჯვები, კაპარჭები. გორიტები (მშვილდის ბუდე), ჭურჭელი, ყელსაბამები, სამაჯურები, საყურეები და სხვა მისთ. წარმოადგენს ბევრი მუზეუმის მშვენებას. სკვითები სხვადასხვა ეთნიკური გაერთიანებისგან შედგებოდნენ.

დიდი ხანია წარმოიშვა მოსაზრება, რომ სკვითები აღმოსავლეთ ევროპის სლავური ხალხების წინაპრები იყვნენ. ეს მოსაზრება ჯერჯერობით ჰიპოთეტური ხასიათისა ჩანს, რადგანაც განვითარების თანამედროვე საფეხურზე მეცნიერებას არ გააჩნია სათანადო, მყარი საბუთები. სკვითებთან ურთიერთობის გაძლიერებაზე მიუთითებს ბრილისა და სამთავროს VII–IV საუკუნეთა ორმოსამარხები. საიდან მოვიდნენ სკვითები? წყაროებზე დაყრდნობით განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, ე.ი. დაახლოებით ამ 3500 წლის წინათ, წინა აზიიდან მომავალმა რომელიღაც სკვითურმა ტომმა გადმოლახა მდინარე არაქსი და ნელნელა წაინია წინ ჩრდილოეთისაკენ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ. 1950, გვ. 58). უთუოდ კავკასიაშიც დატოვეს მათ თავიანთი კვალი, მაგრამ მათი ძირითადი მასა მტკიცედ დამკვიდრდა სამხრეთ რუსეთის ველებზე და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე. VIII საუკუნის დასასრულისთვის ისინი უკვე გაბატონებული ჩანან და იმ ადგილებიდან აძევებენ კიმერიელებს. სკვითების ერთი ტალღა კვალდაკვალ მისდევს კიმერიელებს და წინა აზიის სახელმწიფოებში იჭრება. მათ დიდი როლი ითამაშეს ძველი აღმოსავლური





ტიპის მონათმფლობელური სახელმწიფოების შერყევამ. სკვითების ლაშქრობის გზებს არქეოლოგები და ისტორიკოსები ახლა არკვევენ მატერიალური კულტურის იმ ნაშთების მიხედვით, რომელიც მათ ამა თუ იმ ქვეყანაში დაუტოვებიათ. დიდი დამსახურება ამ მხრივ ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ნიჭიერ არქეოლოგს ბ.პიოტროვსკის. ის ფიქრობს, რომ ურარტუს სახელმწიფოს დანგრევაში (ძვ.წ.VII ს.) სკვითებს მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებიათ. ბ.პიოტროვსკი ხელმძღვანელობს კარმირ-ბლურის (ნითელი ბორცვი) გათხრებს ქ. ერევნის ახლო. ამ ბორცვზე ყოფილა ურარტუს მეფის ნაცვლის რეზიდენცია - გამაგრებული ქალაქი თეიშებაინი (ღვთაება თეიშების ქალაქი). მეტად მდიდარ არქეოლოგიურ მასალათა შორის ბ.პიოტროვსკიმ შენიშნა რომ ქალაქის კედლის ირგვლივ ბლომად ეყარა ურარტუსისგან განსხვავებული, სკვითური ისრის წვერები, რომელთა შორის ბევრს მოტეხილი ან მოღუნული წვერი ჰქონდა: ერთი ისრის წვერიც შერჭობილი იყო თიხით შელესილ კედელში.

ამ და ზოგიერთი სხვა აღმოჩენის საფუძველზე ბ.პიოტროვსკიმ დაასკვნა, რომ თეიშებაინი სკვითთა რაზმებმა აიღეს და გადაწვეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯერ კიდევ საკვლევი, ეს უშუალოდ სკვითებმა შეძლეს, თუ კავკასიის იმ ხალხებმა, რომლის ლაშქარში სკვითები შედიოდნენ, როგორც დაქირავებული ჯარი. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ადგია ისტორიკოსი გ.მელიქიშვილი (გ.მელიქიშვილი, ურარტუ, თბ., 1951, გვ.133). მაგრამ მანამდე ახლო კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონიათ სკვითებს და ურარტუელებს. ეს კარგად მტკიცდება გათხრებით. ამ საერთო ფონზე, თითქოს, სრულებით ბუნებრივად გამოიყურება და გასაგები ხდება სკვითური ტიპის ინვენტარის მოჭარბება VII-IV სს. კავკასიის სამარხებში. ისტორიული წყაროებითაც მტკიცდება ქართველი და სკვითი ტომების



მჭიდრო ურთიერთობა. სტრაბონმა, მაგალითად, დაგვიტოვა ასეთი ცნობა: „იბერიელთაგან დაბლობზე მოსახლეობენ ისინი, რომელნიც უმთავრესად მისდევენ მინათმოქმედებას და აქვთ მშვიდობიანი ცხოვრებისადმი მიდრეკილება... ხოლო მთიან ნაწილს ფლობს მეომარი უმრავლესობა, ყოფა-ცხოვრების მხრივ მსგავსი სკვითებისა და სარმატებისა, რომლებსაც კიდევაც ემეზობლებიან და ენათესავებიან კიდევც“. მართალია, ეს ცნობა I საუკუნის ავტორს ეკუთვნის. მაგრამ, საბ-

ჭოთა არქეოლოგიის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით, იგი უფრო ადრინდელი ვითარების ამსახველი დოკუმენტის მნიშვნელობასაც ღებულობს. სკვითების ქართველებთან მონათესაობა, რასაკვირველია, განსაზღვრულ აზრით უნდა გავიგოთ. მრავალტომიან სკვითთაგან ქართველ ტომებს მხოლოდ ისინი ემეზობლებოდნენ და ენათესავებოდნენ, რომელნიც კავკასიის მთების ჩრდილო კალთებზე მოსახლეობდნენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ სკვითების ძირითადი მასა საკვლევ ეპოქაში დნებრსა და დონს შორისაა საგულვეტელი, უფრო გვიან კი — ყუბანშიც. ორივე ამ ვრცელ რაიონში აღმოჩენილია ცულებიც და აკინაკებიც, მაგრამ ყუბანსა და ჩრდილო კავკასიის სხვა რაიონებში უფრო ბევრი, ვიდრე სამხრეთ რუსეთში.

საქართველოში კი, სადაც არქეოლოგიურ გათხრებს დიდი ხნის ისტორია არ აქვს, გაცილებით უფრო მეტი ცული და აკინაკი ჩნდება, ვიდრე ზემოხსენებულ რაიონებში ერთად. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ ბრილში თითო სამარხში 20-30 რკინის ცული და სატევარია დამონმებული, ამასთან ისინი თარიღდება დროით, როდესაც სკვითური კულტურა ტრამალებში, ის-ის იყო, ახლად








იდგამდა ფეხს. ამიტომ ბუნებრივია, თუ ჩვენთვის საინტერესო იარაღებს საქართველოდან გავრცელებას მივანეროთ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ჩვენში, კერძოდ, სვანეთში მიკვლეულია რკინის ძველი წარმოების უამრავი ნაშთი და, ალბათ, იქვე დამზადებული რკინის იარაღი. ძვ.წ. VI-IV სს. ბრილის სამარხებში მრავლდება საფეთქელთა შესამკობი ვერცხლის რგოლები, ელექტრუმის საყურეები, ბრინჯაოს კირკლები, ყელსაბამები, ცხოველთა ქანდაკებები და სხვ. ყურადღებას იპყრობს ორი ქანდაკება: ერთი მათგანი მწოლარე ჯიხვს გამოსახავს, ხოლო მეორე — მხედარს, რომელიც ფაფარ და კუდდანულ ცხენზე ზის. არაჩვეულებრივად მრავლდება ქარვის, ფერადი მინის და ფერადი პასტისნაირი მძივები. თითოეულ სამარხში ზოგჯერ რამდენიმე ასეული და კიდევ მეტი მძივი გვხვდება. ზოგიერთი მძივი უჩვეულო სიდიდისაა, სხვა მძივები კი გვაოცებს თავისი სილამაზით — ნაირნაირ ფერთა შესაბამით და მოკაზმულობით. ამავე პერიოდში შიგადაშიგ თავს იჩენს უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი სამკაული და თილისმებიც ასეთებია, მაგალითად ზოგიერთი სახის მძივები და ცისფერი პასტის ე. წ. სკარაბეი. სკარაბეი წარმოადგენს ფუნაგორიის, ანუ ფუნის ხოჭოს გამოსახულებას. ამ თილისმის სამშობლო ეგვიპტეა. ძველი ეგვიპტელები ფუნაგორიას მზის ღვთაებას უკავშირებდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ როგორც მუდმივ მოფუსფუსე ხოჭო ფუნასაგან აკეთებს პატარა ბურთულებს და მიაგორებს მას, ეგრე უხილავი დიდი სკარაბეი ამოაგორებს ცის აღმოსავლეთი ნაპირითან მზის ვეებერთელა ბირთვის და მანამდე ეზიდება, სანამ ცის დასავლეთ ნაპირს იქით არ ჩაასვენებს. ეგვიპტელები სკარაბეის მუცელზე წერდნენ სხვადასხვა ტექსტებს „მიცვალებულთა წიგნიდან“ და ამოკვეთილი გულის ადგილას უდებდნენ მიცვალებულს.

ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ,



როდესაც მიცვალებული წარდგებოდა ღვთაება ოზირისის სამსჯავროს წინაშე, გულს მიკერძოება არ გამოეჩინა და გადაჭარბებულად არ დაეხასიათებია მიცვალებულის ამქვეყნიური ღვანლი; სკარაბეის მიუკერძოებლად უნდა აღენიშნა მიცვალებულის კეთილი საქმეებიც და ცოდვებიც. არ ვიცით, ჩვენი ძველი წინაპრებიც ასევე მსჯელობდნენ თუ არა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეგვიპტური სკარაბეი, რომლებზედაც იეროგლიფური წარწერებია, მათაც უტარებიათ მძივების სახით ასხმული. არც იმ კითხვაზე შეიძლება გადაჭრილი პასუხი გავცეთ, თუ რომელი გზით მოხვდა ჩვენში ეგვიპტური ნივთები — ხმელეთის თუ საზღვაო გზით. უფრო საფიქრებელაა, რომ ამ უკანასკნელით. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა აქემენიანთა სპარსეთის მონარქია, რომელმაც შესძლო მთელ ახლო აღმოსავლეთში გაბატონება და ამით სა-



ქართველო დროებით მოსწყვიტა ძველი აღმოსავლეთის მთელ რიგ კულტურულ კერებს. არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ წინააზიური კულტურული ნაკადები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საკუთრივ აქემენურ, არცთუ მრავალრიცხოვან ელემენტებს, რომლებიც რასაკვირველია ძველი ხეთურ-იბერული კულტურის გავლენით წარმოიშვა) ჩვენი ქვეყნის სიღრმეში ვეღარ აღწევს. სამაგიეროდ, საქართველოს ჩრდილო საზღვრებთან — შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე წარმოიშვა უფრო პროგრესიული კიმერიის ბოსფორის სამეფო, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა, ერთი მხრივ, მცირე აზიასა და სამხრეთ ევროპასთან, ხოლო მეორეს მხრივ, კოლხეთთან. დასავლეთ საქართველოში ამ დროს უჩვეულოდ ვითარდება ვაჭრობა, რომელმაც ადგილობრივი ვერცხლის ფულიც წარმოიშვა.

ამ ფულს მეცნიერები უწოდებენ „კოლხურ თეთრს“. მის ერთ მხარეზე გამოხატულია ადამიანის (ალბათ, რომელიმე მმართველის) თავი, მეორეზე — კი ხარის ან ლომის თავი — სიმდიდრისა და სიძლიერის სიმბოლოები. კოლხურ თეთრს ზოგჯერ პოულობენ ბოსფორის ქალაქებშიც ისევე, როგორც ბოსფორულ მონეტებს — დასავლეთ საქართველოში, რაც ამ ორ ქვეყანას შორის დამყარებულ ახლო ურთიერთობას მოწმობს. ენიშკის ექსპედიციამ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით დაბლაგომში და ისტორიის ინსტიტუტის კოლხეთის ექსპედიციამ არქეოლოგ ნ. ხომტარიას



ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში — ქ. ფოთთან, ს. ვანთან და სხვ., ადგილობრივი წარმოშობის უამრავ ნივთებთან ერთად აღმოაჩინა, შესაძლოა, ბოსფორის გზით შემოტანილი უცხოური ნივთებიც — შავლაქიანი და ნითელლაქიანი კერამიკის ნატეხები, ამფორები (ვინროძირიანი მალალი ჭურჭლები, სითხისათვის განკუთვნილი) და სხვა მისთ. ბოსფორისა და კოლხეთის მჭიდრო ურთიერთობა მრავალმხრივ დასტურდება. სტეფანე ბიზანტიელი იმასაც კი გვამცნობს, რომ ქალაქი პანტიკაპეა, რომელიც შემდეგში ბოსფორის სამეფოს სატახტო ქალაქად იქცა, დაარსა კოლხთა მეფის აიეტის შვილმა. ბოსფორის სამეფო დიდად იყო დამოკიდებული კოლხურ ქალაქებზე ფაზისსა, (ახლანდელი ფოთი) და დიოსკურიასზე (მდებარეობდა ახლანდელ სოხუმთან). ამ კარგი ნავსადგურებიდან გაჰქონდათ ის ნედლეული და მზა ნაწარმი, რომელიც ჩვენში ბლომად მოიპოვებოდა ბოსფორისათვის — კი სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. ასეთი იყო რკინისა და სპილენძის მადანი. ახლა ყველა აღიარებს, რომ შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო ქალაქ სინოპიდან საბერძნეთშიც კი მიჰქონდათ ხალიბების მიერ დამზადებული მაღალხარისხოვანი რკინა. ასევე დიდი გასავალი ჰქონდა მოსინიკების სპილენძს. ამას გარდა, კოლხეთიდან ბოსფორში შედიოდა სელი და სელის ტილო, თაფლი, სანთელი, ფისი და საგემთმშენებლო ხეტყე.

ძველ დროში მთელს განათლ-



ბულ მსოფლიოში ყველაზე მეტად სახელმძღვანელო იყო ეგვიპტური და კოლხური ტილო. ჰეროდოტესა და სტრაბონის ცნობებით, ორივე ქვეყანაში ერთნაირი წესით ამზადებდნენ სელსა და მის ქსოვილებს. ზოგიერთ სხვა საერთო ჩვევასთან ერთად, ჰეროდოტეს ეს იმ საბუთად მიაჩნდა, რომელიც, ვითომ, ადასტურებდა კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობას. აი, სწორედ ის კოლხური ტილო და სხვა ნაწარმი შეჰქონდათ კიმერიის ბოსფორის ქალაქებში, ხოლო, როგორც ვნახეთ, იქიდანაც ბევრი რამ შემოდიოდა კოლხეთში. ბოსფორის სამეფოს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის ქალაქებთან, კერძოდ, ქ. ნავკრატისთან, სადაც ზემოხსენებული სკარაბეი მზადდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სკარაბეი ჯერ ბოსფორელ ვაჭრებს მოუტანიათ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ხოლო იქიდან კოლხეთის ნავსადგურების გავლით ან კოლხეთ-მეოტიდის (აზოვის ზღვის სანაპირო-


ები) სახმელეთო გზით მოხვედრილა რაჭაში. ამდენადვეა სავარაუდებელი, რომ თვით კოლხმა ვაჭრებმა შემოიტანეს ისინი იმავე ან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე გამავალი გზებით. აკი, მოგვითხრობს ჰეროდოტე კოლხების უშუალო ურთიერთობაზე ეგვიპტელებთან!

ბრილის სამაროვანის IV (ზედა) ფენაც მრავალმხრივ საყურადღებო გამოდგა. ამ ფენაში დამონმებული სამარხები თარიღდება დროის მოზრდილი მონაკვეთით - ძვ.წ. III საუკუნის დამდეგიდან ახ.წ. III ს. გასულამდე. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ სამარხებმა მოგვცა, ეს არის სარტყლის თავისებური შესაკრავი ბალთები და უძველესი ქართული ოქროს ფულები. სწორედ ამაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ბალთები ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული ე.წ. „მოდელის დაკარგვის“ წესით, ე. ი. ისეთი წესით, როდესაც ერთი ნივთის ჩამოსხმის შემდეგ ყალიბი აუცილებლად უნდა დაიმტკრეს.






ამიტომ არის, რომ თუმცა ერთი ბალთა ზოგადად ჰგავს მეორეს, მაგრამ ერთმანეთს კი არასოდეს არ იმეორებს. ისინი მეტ-ნაკლებად კვადრატული მოყვანილობისაა, თანაც ჭვირული ხელობის. ბალთებს ლამაზი არშია და სხვადასხვა ცხოველის გამოსახულება ამკობს. ცხოველთა ამოცნობა ყოველთვის როდი ხერხდება. მთავარი ადგილი უკავია ირემს, ცხენს ან ხარს. მთავარ ცხოველს ზურგზე აზის ძაღლი, ხარი ან ფრინველი; ფეხებს შორის, თითქოს ძუძუს სწოვსო, გამოსახულია ფრინველის, ძაღლის თუ კვიცის მსგავსი არსება, წინ აღმართულია ძაღლი (მგელი?) ან გველი. გვხვდება სხვაგვარი კომპოზიციაც. რაჭაში აღმოჩენილი ერთი ბალთა ჩვენ გავიცანით სამთავრული სარტყლების განხილვის დროს. ბალთებზე გამოსახული სცენების დამაჯერებელი ახსნა ჯერ არავის მოუცია. ცხადია, იქ ასახულია ჩვენი წინაპრების სულიერი კულტურის რომელიღაც მხარეები, რომელთა შეცნობა მომავლის საქმეა. ეს ძეგლები საქართველოსათვისაა დამახასიათებელი, სხვაგან კი სპორადულად გვხვდება, როგორც ქართული კულტურის გავლენის მაუწყებელი ნივთები. სანამ რაჭის გათხრებით არ დადასტურდა ბალთების ადგილობრივობა და სიძველე, ამის თაობაზე სულ სხვადასხვა აზრი არსებობ-



და არქეოლოგთა შორის. ზოგი ფიქრობდა, რომ ბალთები ჩინური ხელოვნების ნაყოფია, ზოგიც საერთო კავკასიურ ძეგლებად აღიარებდა, სხვები კი დევ თანამედროვე დაღესტნელ (კუბაჩელ) ხელოსნებს მიაწერდნენ. ასეთი გაუგებრობის წყარო ის იყო, რომ რაჭის გათხრებამდე ცნობილი ამ სახის ყველა ბალთა შემთხვევით იყო შეძენილი სხვადასხვა პირებისგან. სავსებით ასეთსავე ბურუსში იყო გახვეული ზემოხსენებული ოქროს ფულების საკითხიც. ეს ფულები მოჭრილია ოქროსგან ან ელექტრუმისაგან ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მიბადვით. მის ერთს მხარეზე

სქემატურადაა გამოსახული ათენა ქალღმერთის თავი, მეორეზე — კი გამარჯვების ქალღმერთი ნიკეა, რომელიც ფრთხაშლილ ბუს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ქალღმერთს. ადრეც იყო ცნობილი ასეთი ფულები, მაგრამ, როგორც ზემოხსენებული ბალთები, ისინიც შემთხვევითი პირებისაგან შეუძენია სხვადასხვა მუზეუმს და ამის გამო ვერ ხერხდებოდა მათი წარმომავლობის ზუსტი განსაზღვრა. ზოგი მეცნიერი გამოთქვამდა აზრს, რომ ისინი შუა აზიაში იჭრებოდა. ზოგიც მათ მოჭრას კელტურ-გერმანულ ტომებს მიაწერდა, სხვები კი დევ კავკასიურად მიიჩნევდნენ. რაჭის გათხრების დროს არა ერთი ასეთი მონეტის აღმოჩენის გამო შესაძლებელი გახდა გამოთქმულიყო მართებული მოსაზრება, რომ ეს მონეტები ქართულია. ეს მოსაზრება კარგად დაადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა ს. კლდეეთში (ზესტაფონის რ-ნი), სადაც 1924 წ. აღმოჩნდა ასეთივე ფულები. ასეთივე მონეტები აღმოჩენილია სვანეთში, ლეჩხუმში, დიგორში და იმერეთის სხვადასხვა კუთხეში: 1951 წ. მცხეთაშიც ბლომად აღმოჩნდა ამგვარი მონეტები. ისინი იჭრებოდა ძვ.წ. II საუკუნიდან ვიდრე ახ.წ. III საუკუნემდე და, როგორც ჩანს, მხოლოდ შინაური ბაზრისათვის იყო





განკუთვნილი. ამით შეიძლება დავასრულოთ რაჭის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგთა მოკლე და არასრული მიმოხილვა.


რაჭის ექსპედიციამ მოიპოვა მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც ადასტურებს ადგილობრივი, კოლხური კულტურის უწყვეტ, ზეალმავალ განვითარებას ძვ.წ. II ათასეულის შუა ხანებიდან ა.წ. IV საუკუნემდე. ამით ახლებური შინაარსი იდება გამოთქმაში „კოლხური კულტურა“. ამ სახელწოდებას, ჩვეულებრივ, ავრცელებენ იმ რიგის არქეოლოგიურ კომპლექსებზე, რომლებიც პირველად აღმოჩენილ იქნა ძვ.წ. I ათასწლეულის ყობანის სამაროვანზე. ჩვენ კი დავინახეთ, რომ ყობანური დროის ძეგლები ბრილში უშუალოდ მოსდევს მის წინამორბედ, ყუამილიანი ცულების შემცველ სამარხებს. ამიტომ სახელწოდება „კოლხური კულტურა“ უნდა გავრცელდეს მთელს განხილულ დასავლურ ქართულ ძეგლებზე და მასში გამოიყოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები. თუ დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში აღმოჩენილ ძეგლებსაც გავითვალისწინებთ. კოლხურ კულტურაში ორი ძირითადი ასაკობრივი ჯგუფი უნდა გამოვყოთ: პირველი — ძვ.წ. II ათასწლეულის და მეორე — ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის. უძველესი ჯგუფის (საჩხერის ყორღანები, აფხა-



ზეთის დოღმენები, ბრილის ქვედაფენა, ქვასათალი, დიგორის სამაროვანთა ქვედა ფენა) წამყვანი იარაღებია ყუამილიანი ცული და ფოთლისებური სატევარი: მომდევნო ჯგუფისა (ყობანი, ბრილის II ფენა, ყულანურხვა და სხვ.) ცული, რომელსაც „კოლხურის“ სახელწოდებით ვიცნობთ, და სქელპირიანი სატევარი.

მომდევნო ხანის კოლხური კულტურა თითქმის არაფერს შე-

იცავს ისეთ სპეციფიკურს, რომელიც აღმოსავლურ-ქართულ კულტურას არ გააჩნდეს. რაჭაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა თუ, ერთი მხრივ, მეტ-ნაკლებად სრულად ასახავს ძველი კოლხური კულტურის განვითარების სურათს, მეორე მხრივ, იგი მოწმობს აღმოსავლურ — ქართულ (იბერულ) კულტურასთან მეტად მჭიდრო კავშირს. ეს კავშირი თვალნათლივ იგრძნობა განხილული პერიოდის მთელ მანძილზე, განსაკუთრებით კი ძვ.წ. II ათასწლეულში. ბრილის სამაროვნის ქვედა ფენაში აღმოჩენილია მარტივი ორნამენტით შემკული ბრინჯაოს ფირფიტის სარტყელი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ სამთავროს მშვენიერი სარტყლების პროტოტიპად. იქვე ნაპოვნია აღმოსავლურ-ქართული ცულის მოყვანილობის საკიდები. ამას გარდა, საკმაოა ბრილის III ფენის მხედრის სახე. შევადაროთ ერთ სამთავროულ ბრინჯაოს რგოლზე გამოსახულ ადამიანის თავებს, რომ დავრწმუნდეთ აკად. ს.ჯანაშიას მიერ დასაბუთებულად გამოყოფილი კოლხური და იბერული კულტურების ორგანულ კავშირში. ამავე კავშირზე მიგვითითებს ბევრი სხვა ნივთიც, კერძოდ ბრინჯაოს ბალთები, რომლებიც ერთნაირადაა გავრცელებული ქართლსა და კოლხეთში. მასალა ადასტურებს, რომ მიუხედავად მკაცრი ბუნებრივი პირობებისა, მთა რაჭაში დამკვიდრებული ძველი ქართველი ტომები თავისი დროის მონინავე კულტურის სიმაღლეზე იდგნენ. მათს ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა და მადნეულის დამუშავება შეადგენდა, საფიქრებელია, რომ ისინი ლითონით მეზობელ ტომებსაც ამარაგებდნენ.




„დასავლურ-ქართული კულტურის ძეგლები, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1952 წ.



# მეზოზოოლოგიის ალოკინება ერთ-ერთი მოგზაიანი და პერსპექტიული საქმე იქნება ჩვენი მოსახლეობისთვის

მეაბრეშუმეობა ის ტრადიციული დარგია, რომელზეც მხოლოდ წარსულში გვინდობს საუბარი. გასული საუკუნის 90-იანი წლებში აბრეშუმის წარმოება ჩაკვდა და დღემდე ვერ ხდება მისი აღდგენა. საბჭოთა ეპოქაში აბრეშუმის წარმოების მაჩვენებელი 2500-3000 ტონას აღწევდა. პოტენციური კიდევ მეტია, მთავარია, კეთილი ნება, რომელიც მეაბრეშუმეობის განვითარებას სჭირდება. ქართული აბრეშუმის საუკეთესო ხარისხის მიუხედავად, სახელმწიფო ამ დარგით არ არის დაინტერესებული. ბოლო დროს მეაბრეშუმეობით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დაინტერესდა, რომლის უშუალო მხარდაჭერითა და დახმარებით ქართული აბრეშუმი იწარმოება. სხვა კერძო ძალისხმევა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არსებობს.



ჩინური და იაპონური წყაროებიდან ცნობილია, რომ მეაბრეშუმეობა და აბრეშუმის წარმოება ჩაისახა ჩინეთში ძვ.წ.აღ. III ათასწლეულში და აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ამავე წყაროებიდან ჩინელები თითქმის 20 საუკუნე უფრთხილდებოდნენ აბრეშუმზე მონოპოლიას.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ აბრეშუმის წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს.

მეაბრეშუმეობის სამშობლოდ ითვლება სამი ქვეყანა: ჩინეთი, ინდოეთი და კოლხეთი ანუ, საქართველო.

აბრეშუმის მრეწველობას საფუძველი ჩაეყარა ჩინეთში დაახლოებით ჩვენს წ. აღ-მდე 5000 წლის წინ. მის გამოგონებას მიაწერენ ჩინეთის მაშინდელი იმპერატორის ხონგ-ტის პირველ მეუღლეს – სილნგ ჩის, რომელმაც ეს საქმე თავის ქვეშევრდომებს შეასწავლა. ჩინეთის იმპერატორ ფო-ში-ხონგის მემკვიდრის – ფუ-ხისის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით ისინი აბრეშუმის ქვის აბრეშუმგამომყოფი ჯირკვლებიდან ამზადდებდნენ სპეციალურ

სიმებს, რომელსაც იყენებდნენ ნაციონალური მუსიკალური საკრავის სიმებად და თევზის საჭერი ანკესების ჩამოსაკიდად.

ჩინელები მეაბრეშუმეობასა და მისი წარმოების ტექნოლოგიას საუკუნეთა განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ მათ, ვინც მას საზღვარგარეთ გაიტანდა. მათ ეს საიდუმლო დაახლოებით ოცი საუკუნის განმავლობაში შეინახეს.

ლეგენდის თანახმად, VI საუკუნეში ორმა მისიონერმა ბერმა აბრეშუმხვევიას კვერცხები — გრენა ბამბუკის ჯოხებში გადამალეს და ასე გამოიტანეს ჩინეთის პროვინცია შან-ტუნგიდან.

ამ ლეგენდას ისევ დავუბრუნდებით. მანამდე კი თანმიმდევრულად მივყვით პროცესს თუთის ხიდან აბრეშუმის კომპლექსურ ძაფამდე.

აბრეშუმის ძაფის წარმოების შესახებ მრავალი ჰიპოთეზა არსებობდა. მაგალითად, ცნობილი მეცნიერი და ისტორიკოსი ჰეროდოტე (ჩვ. წ. აღ. V საუკუნე) აზრს გამოთქვამდა, რომ აბრეშუმის ძაფი თითქოს მიიღება რალაც ლინ-

დლისგან, რომელიც იზრდება ხეზე. მეცნიერი ამიონი ალგვინერს, რომ ჩინელები ხეებიდან ბლუჯა-ბლუჯა აგროვებდნენ ნაზ მატყლს და ამ მატყლისგან ქსოვდნენ იმ თხელ და ლამაზ ქსოვილებს, რომელთაც მნახველები განცვიფრებაში მოჰყავდა.

მკვლევარი მუკეცის აზრით, აბრეშუმის სამშობლო ინდოეთი და არა ჩინეთი, რასაც იმით ასაბუთებს, რომ ჩინეთზე ადრე ინდოეთში ყოფილა გავრცელებული ყვითელი რასის აბრეშუმხვევია.

მეცნიერ ჰ. ზიბერმანის აზრით, ყვითელი პარკის მომცემ აბრეშუმხვევიას სამშობლოდ ინდოეთი უნდა ჩაითვალოს, ხოლო თეთრის კი – ჩინეთი.

აბრეშუმის საიდუმლო პირველად კორეაში იქნა გატანილი ჩვ. წ. აღ. III საუკუნეში, აჯანყებული ხალხის მიერ, რომელიც ჩინურ დესპოტიზმს გაეცალა და საცხოვრებლად კორეაში გადავიდა. კორეის შემდეგ მეაბრეშუმეობა გავრცელდა იაპონიასა და იმავდროულად, ირანში, ხოლო შემდეგ თანდათანობით განვითარდა აზიის სხვა ქვეყნებში, ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში. იაპონიის შემ-



დეგ მებარეშუმეობა გავრცელდა შუა აზიაში ჩვ. წ. აღ. IV საუკუნეში ისტორიული ცნობებით, ჩინელი პრინცესა ცოლად გაჰყოლია ხოტანის პრინცს. პრინცესას აბრეშუმის გრენა ფარულად თმებში დამალული ჩამოუტანია და ამგვარად გაუფრცვლებია იგი. დაწყებული VI საუკუნიდან აბრეშუმის მრეწველობა თანდათანობით ვრცელდება ბიზანტიაში, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ბიზანტიაში მებარეშუმეობამ ფართო გავრცელება დაიწყო VIII საუკუნიდან და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მოხდა საქართველოდან, რადგან ამ დროს აქ მებარეშუმეობა უფრო განვითარებული იყო, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებში.

თუთის ხე ტროპიკებსა და სუბტროპიკებში ხარობს. კ. კრაიას ენციკლოპედიური ლექსიკონის თანახმად, თუთის ველური სახეობა — თეთრი თუთა ბუნებრივად იზრდებოდა ჩინეთში, კავკასიაში, სპარსეთსა და ეგვიპტეში, საიდანაც გავრცელდა ევროპაში.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ მიიერთა კავკასია და შუა აზიის ქვეყნები, იგი გახდა აბრეშუმის მწარმოებელი ქვეყანა. ყოფილი საბჭოთა კავშირი ითვლებოდა ნატურალური აბრეშუმის ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებლად და მსოფლიოში მესამე ადგილი ეკავა. კავკასიაში აბრეშუმსახვე-

ვი მრეწველობა იყო ნუხინსკის უეზდში, მთიან ყარაბახსა და საქართველოში (სამტრედია, თელავი და ხონი). იბადება კითხვა: დაახლოებით, რა დროიდან შეიძლება ვივარაუდოთ საქართველოში აბრეშუმის პარკის მოყვანა და მისი საფეიქრო საქმიანობაში გამოყენება? ცნობილი რუსი მკვლევარი ნ. შავროვი გულისხმობს რა არგონავტების შესახებ ლეგენდის მიხედვით ოქროს საწმისის ქვეშ ყვითელ პარკებსა და მის ძაფებს, გამოთქვამს აზრს, რომ ყვითელი პარკის მომცემი აბრეშუმის სამშობლო კოლხეთი უნდა იყოს. რასაკვირველია, ამის დასამტკიცებლად არგონავტების ლეგენდა საბუთად არ შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ XIX საუკუნის ბოლო წლებში ა. ნატროშვილმა საქართველოს ტყეებში ნახა გარეული აბრეშუმის პარკი, რომლის ამხვევი ჭია მისი დასკვნით წარმოადგენს ისეთ ორიგინალურ სახეობას, რომლის მსგავსი ჯერ არსად უნახავთ და იმასაც, რომ ძველად ქართველები აბრეშუმს საკუთარ სახელს უწოდებდნენ. შეიძლება, აბრეშუმის ჭიის ერთ-ერთი სახეობის სამშობლოდ ჩავთვალოთ კოლხეთიც (ახლანდელი საქართველო).

აბრეშუმის წარმოებამ და დამუშავებამ ფართო განვითარება საქართველოში ჯერ კიდევ ადრეუ-

ლი ხანაში ჰპოვა. ეს დასტურდება V საუკუნეში არსებული წყაროებით, სადაც მოხსენებული „ჭიჭნაურ-ჭიჭნაუხტი“ ზოგადად აბრეშუმსაც აღნიშნავდა და აბრეშუმის ქსოვილსაც.

სულხან-საბას განმარტებით: „თუთა ესეა ყოლა, რომელსა სომხურად ტუტა ეწოდება, რამეთუ ლათინურად სიკომოროს (სიკო — ლელვი, მოროს — სულელი), ანუ ეგვიპტურ ლელვადაც ხმობენ“.

თუთის აბრეშუმხვევია თუთის ხის პარაზიტი. იგი მონოგრაფი მწერია და მხოლოდ თუთის ფოთლებით იკვებება.

„ლელესულელი“ ბიბლიაში რამოდენიმეჯერაა ნახსენები, ე.ი. ქანაანის მინაზეც ხარობდა თუთა.

ჩვენთან, საქართველოში ოდითგანვე ხარობდა თუთის ხის სხვადასხვა ჯიშები. იმერეთში მას ეძახიან „ბჟოლას“, სამეგრელოში — „ჯამპს“, კახეთში — „ფურცელს“.

მესხეთში თუთის ნაყოფისგან ამზადებდნენ „ბაქმაზს“, რომელიც ქვეყანაში შაქრის მაგივრობას ნევდა.

ამრიგად, სადაც თუთის ხე ხარობდა, შეუძლებელია იქ ჭია — აბრეშუმხვევია არ ჰყოლოდათ.

„ესე ეუბნება-თქო, უფალი ღმერთი იერუსალიმს... ოქროთი და ვერცხლით მოგრთე, ზეზი, ჭიჭნაული და ნაქარგი სამოსელი გეცვა“ (ეზეკიელი 16. 13. ძვ.წ. აღ. VI ს.).


**ზეზი** ოქრომკერდია, სირმისა და აბრეშუმის ძაფის ნაგრეხია.

**ჭიჭნაული, ჭიჭნაუხტი** აბრეშუმის ქსოვილია.

ასევე, „წმ. შუშანიკის წამება“-ში ბერი ცურტაველი აღნიშნავს: „წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა... ხელთა აღიხვნა „დავითნი“ და ას ერგასნი იგი ფსალმუნნი ზეპირად დაისწავლნა“, ანუ ოცივე კანონის ზეპირად შესწავლით, სულიერებით ისე მშვენიერდება ციხის ბნელი საკანნი, როგორც ნაქარგობით აბრეშუმის ქსოვილი.

ესეც, IV საუკუნე. ასე, რომ ჩინელებს აბრეშუმის სამშობლოობას ტყუილად აბრალებენ.

— არმაზში, დიდგვაროვანის





სამაროვანის გათხრისას, სხვა სიმდიდრესთან ერთად (ცნობილი ბეჭედი წარწერით: ასპაკურ – ჩემო სიცოცხლე. კარპაკი), ქალბატონის ნეშტზე ნანახია აბრეშუმნარევი შალის ქსოვილის ნარჩენი (ძვ. წ. აღ. II ათასწლეული).

(ცნობისთვის: დღეისთვის, უმაღლესი ხარისხის ინგლისური შალი აბრეშუმნარევი მატყლია)

— უძველეს ეტრატებს ყდაში ჩასმა და აკინძვა ესაჭიროებოდა, რისთვისაც ჩვენი წინაპრები კანაფთან ან სელის თოკთან შეგრეხილ აბრეშუმის ფერად დაფს — კაპტალს იყენებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდე შემორჩენილი აბრეშუმის დაფსახვევი დანადგარის სახელები:

- სამეგრელოში — ელართაშე;
- სამურზაყანოში — ოგიდაშე;
- გურიაში — ოგვადო;
- იმერეთში — სამუხვლედი;
- კახეთში — მანჯავი.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ჩანს აბრეშუმის დაფის დამზადების ადრინდელი ტექნოლოგია: აბრეშუმის მნიფე პარკს — **ყაჭს**, გამოსაშრობად მზეზე გაშლიდნენ. შემდეგ, ძენძავდნენ, ჩეჩავდნენ და ამ ნაჩეჩით დაფს ართავდნენ.

დავუბრუნდეთ ზემოთ ნახსენებ ლეგენდას.

როგოც აღვნიშნეთ, სადაც ხარობდა თუთის ხე, იქ იყო აბრეშუმხვევია ჭიაც. რაში სჭირდებოდათ მისიონერებს გრენის — ჭიის კვერცხების გამოტანა, თუ მათ სამშობლოში უკვე იყო თუთის აბრეშუმხვევია? და, თუ არ იყო, ე. ი. არ იყო თუთის ნარგაობაც. მაშინ, გამოტანილი გრენიდან გამოჩეკილი ჭია რით უნდა გამოეკვებათ?

მაინც რას ასაიდუმლოებდნენ ჩინელები ასე მონდომებით და რა გამოიტანეს მისიონერმა ბერებმა მან-ტუნტიდან?

არის კიდევ ერთი ჩინური ლეგენდა: ერთ-ერთი პროვინციის მმართველის — ჰუან დის მეუღლე, მზეთუნახავი დიოფალი ლეი ზუ სასახლის ბაღში, ზურმუხტისფერი ლამაზი ხის ჩრდილში ჩაის



მიირთმევდა. მოულოდნელად, ხიდან ჩამოვარდნილი თეთრი პარკი დედოფლის ჭიქაში ჩავარდა. შეწუხებულმა მსახურმა პარკის ჩხირით ამოღება სცადა. მანამდე მტკიცე, შეუვალი აბრეშუმის პარკი ცხელ ჩაიში ერთ გრძელ დაფად დაიშალა.

საფეიქრო საქმეში აქსიომაა: ბოჭკოს სიგრძე და მთლიანობა განსაზღვრავს დაფის სიმტკიცესა და ვარგისიანობას, რაც, საბოლოო ჯამში, ქსოვილის ხარისხზე აისახება.

ამრიგად, თუ მანამდე აბრეშუმის პარკის ნაჩეჩი, მოკლე ბოჭკოებით დართული დაფით მხოლოდ „ლარულ“ ქსოვას (კლასიკური ქსოვა — საქსელი და მისაქსელი) ახორციელებდნენ, აბრეშუმის პარკიდან ამორღვეულმა 500-1500 მ-ის სიგრძის დაფმა, ჩინელებს შესაძლებლობა მისცა, ქსოვილი ხლართით ქსოვით (ტრიკოტაჟული ქსოვა) ეწარმოებინათ.

ასე რომ, ჩინელები აბრეშუმხვევიას და აბრეშუმის პარკს კი არ ასაიდუმლოებდნენ, არამედ პარკიდან დაფის ამორღვევის ტექნოლოგიას.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ტარიელი ხატაელებს (ჩინელებს) რომ დაამარცხებს, რამაზ მეფის საგანძურში უცნაური ქსოვით შექმნილ „ყაბაჩა და ერთი რიდე“-ს ნახავს.

**„არცა ლარულად ჰგებოდა მას ძსელი, არც ორხაულად, სიმტკიცე ჰგვანდა ნაჭედსა, ვითჲც ცაცხლთა შინართაულად!“**

ძვ. წ. აღ. II საუკუნეში, დიდი საქარქვნი გზის გახსნამ ჩინეთიდან ვიდრე ბიზანტიამდე, რომელსაც XIX საუკუნეში გერმანელმა გეოგ-

რაფმა ფერდინანდ ფონ რიჩტოფელმა „აბრეშუმის გზა“ უწოდა, ჩინეთი თავისი შეუდარებელი ქსოვილებით, შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ბაზარზე გაიყვანა. დამთვალეიერებელი დღემდე აღფრთოვანებაში მოჰყავს მუზეუმებში გამოფენილ ჩინურ ხატაურასა თუ ფარჩას, კისეიას თუ ატლასს.

მეაბრეშუმეობის გავრცელება საქართველოში, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, V საუკუნის დამლევებიდან იწყება. როცა სპარსეთის მეფე პეროზმა, ინდოეთის დალაშქრისას მეფე ვახტანგი, გორგასალი იახლა. ვახტანგ მეფემ ქ. სერიდანიდან, ინდოჩინური წარმოშობის ტყვეებთან ერთად, აბრეშუმის დაფის ამოხვევის ტექნოლოგია ჩამოიტანა საქართველოში.

**ვახტანგ გორგასლის მიერ გრენის ჩამოტანა და მისი გავრცელება საქართველოში მეაბრეშუმეობის საწყისად არ ითვლება. საქართველოში მეაბრეშუმეობა უეჭველად V საუკუნემდე უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ერთ-ერთი ვერსიით საქართველოში, მართალია, ინდოეთიდან გრენის ჩამოტანამდე გავრცელებული იყო აბრეშუმი, მაგრამ დაბალი ხარისხის. ჭიჭნაურიდან მიღებული ნართი და ქსოვილი იყო უფრო დაბალი ხარისხის, ვიდრე პარკიდან მისი დარღვევის შედეგად მიღებული ხამი დაფი. ამიტომ ვახტანგ გორგასალი იძულებული იყო, შემოეტანა აბრეშუმის ისეთი ჯიშის გრენა, რომელიც იძლეოდა შედარებით უკეთესი ფორმის პარკებს, რომლისგანაც დაფის ამოხვევის ტექნოლოგიური პროცესით შესაძლებელი იყო ხამი დაფის მიღება და მსუბუქი ლამაზი ქსოვილების დამზადება.**

საქართველოს აბრეშუმის პარკი და მისი ნაწარმი სპარსეთის ბაზარზე გასაყიდად გაჰქონდა.

საქართველოს მეაბრეშუმეობისა და მისი წარმოების შესახებ ჩვენამდე მოღწეულია უცხოელი მოგზაურების ცნობები, რომლებიც გავლით ან სპეციალურად ყოფილან ჩამოსული. იტალიელი

მოგზაური მარკო პოლო, რომელმაც საქართველოს მრავალი კუთხე XII საუკუნეში შემოიარა, აღნიშნავდა, რომ საქართველოში მებარეშუმეობა და აბრეშუმის ქსოვა ძლიერ იყო განვითარებული; რომ ქართველები აბრეშუმის ქსოვილის დასამზადებლად აბრეშუმის ძაფში ხმარობენ ოქროს ძაფებს და ღებულობენ აბრეშუმის ისეთ ლამაზ ქსოვილებს, რომლის მსგავსი არსად უნახავს. მებარეშუმეობა საქართველოში XVI საუკუნეში ძლიერ რომ ყოფილა განვითარებული, ამაზე მიგვითითებს „არჩილიანიც“.



XVIII საუკუნეში პარკის მოსავალი საქართველოში ძლიერ დიდი რომ ყოფილა, ამას ადასტურებს პროფესორ ნ. იაშვილისა და გ. ბახტაძის მონაცემებიც, რომელთა მიხედვით 1860 წელს პარკის მოსავალი საქართველოში უდრიდა 400 000 ფუტს, ანუ 6400 ტონას (ნედლი ნონა).

საქართველოში 1848 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით გამოიჩინა, რომ ჩვენში აბრეშუმის გადამუშავებას აწარმოებდა 210 000 ოჯახი. მაშასადამე, მებარეშუმეობა საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებში ძლიერ ყოფილა განვითარებული და მევენახეობასთან ერთად იმ პერიოდში წარმოადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრ ეკონომიკურ ბერკეტს.

საქართველოში 1864 წელს აბრეშუმის ქვის „პებრინით“ დაავადებამ იჩინა თავი და მებარეშუმეობას დიდი ზიანი მიაყენა. იგი საფრანგეთიდან ჩამოტანილი აბრეშუმის ჯიშების საქართველოში გავრცელების შედეგი იყო. პირველად ეს დაავადება ქუთაისის გუბერნიაში 1862 წელს გაჩნდა. ორი წლის შემდეგ ეს დაავადება იმერეთის სხვა რაიონებშიც გავრცელდა, ხოლო შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოშიც. პებრინამ გაანადგურა მებარეშუმეობა. ეს დრო მებარეშუმეობის დაცემის პერიოდია, რომელიც შეცვალა აღდგენითმა პერიოდმა. დასუსტებული მებარეშუმეობა მთლიანად რომ არ განადგურებულიყო,

საჭირო იყო რადიკალური ღონისძიებების მიღება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელმწიფო მონოპოლია პარკზე დარჩა და მებარეშუმეობის პარკის მოსავლის გადიდება საქმეში ხელი შეუწყო. მებარეშუმეობაში ჩატარებული იქნა დიდი სამუშაოები, როგორც წარმოების, ისე სამეცნიერო კვლევითი ხაზით, რამაც განაპირობა მებარეშუმეობის აღმავლობა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში დანყებულმა რეფორმამ, რომელიც, სამწუხაროდ, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების გაუთვალისწინებლად მიმდინარეობს, ძირითადად, განაპირობა ქვეყანაში საერთო წარმოებისა და, მათ შორის, აბრეშუმის პარკის დამზადების კატასტროფული დაცემა.

**ჩვენს ქვეყანაში, ზომიერი კლიმატის გამო, ყოველთვის მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი ე. წ. დარაია მზადდებოდა. ადრეულ წლებში, მას ვალიუტის დანიშნულებაც ჰქონდა და კონტრიბუცია-გამოსასყიდადაც იყენებდნენ ოქროსა და ვერცხლთან ერთად.** ხოლო 1998 წელს თბილისის ფაბრიკა „ცისარტყელაში“ დამზადებულმა აბრეშუმის ქსოვილმა მადრიდში გამართულ აბრეშუმის ნაწარმის

მსოფლიო გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო — „დიდი პლატინის ვარსკვლავი“ დაიმსახურა.

სამწუხაროდ, მებარეშუმეობა დღეს საქართველოში აღარ არსებობს. რატომ? ამომწურავ პასუხს ვერსად ვაიგებთ! არადა, მრეწველობის სხვა დარგებისგან განსხვავებით, მებარეშუმეობა არ მოითხოვს უცხოეთიდან ნედლეულის ან სხვა წარმოების საშუალებების შემოტანას. ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში მებარეშუმეობის დინამიური განვითარებისათვის ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკასთან შეთანწყობილი, მეცნიერულად დასაბუთებული მიმართულების შემუშავებას, ნატურალურ აბრეშუმზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებას.

და სანამ სოფლად კიდევ ახსოვთ, როგორ კვებავდნენ ქიას და გამოყავდათ პარკი, საქართველოში ეს ესოდენ საჭირო დარგი უნდა აღდგეს. მებარეშუმეობის აღორძინება საქართველოში იქნებოდა ერთ-ერთი პერსპექტიული და მომგებიანი საქმე ჩვენი მოსახლეობისთვის, მრავალი ასეული და ათასეული ოჯახის მატერიალური სიდუხჭირისგან გამოსაყვანად.

**დას სვანიკა**





# თბილისის უბნების სახელწოდებების ისტორია

თბილისის უბნების სახელწოდებებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები შემოგვინახა ისტორიამ, რაც, შესაძლოა, ბევრმა არც კი იცოდეს. მოდით გავუზიაროთ სხვებსაც, რათა რაც შეიძლება მეტმა თბილისელმა (და არამართო) იცოდეს დედაქალაქის უბნების სახელების წარმოშობის შესახებ.

**ვერა** (იგივე ვერე) — ამ ტერიტორიაზე მდებარე სოფელ ვერიდან წარმოიშვა. ის გაბაშვილების მამული იყო. ამის გამო მას საგაბაშვილოსაც უწოდებდნენ ხოლმე.

**დიღუბე** — თბილისის ერთ-ერთი ძველ უბანი. ეს სახელი დაცემული ადგილმდებარეობის გამო დარქმევია. მას თავის დროზე **დიდ დუბეს** უწოდებდნენ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, **დუბე** დაბალ ადგილს ნიშნავს.

**გმირთა მოედანი** საბჭოთა კავშირის დროს დაარსდა. ეს სახელწოდება მას გემ „ჩელიუსკინის“ ეკიპაჟის გადამრჩენი მფრინავების პატივსაცემად დარქმევია. აქ ადრე ცნობილი ვერის ბაღები იყო. მე-19 საუკუნის ბოლოს ამ ადგილით ქალაქი მთავრდებოდა და საქართველოს სამხედრო გზა იწყებოდა.

**ვეძისი** — მტკვრის მარჯვენა მხარეს, თბილისის დასავლეთ ნაწილში მდებარე უბანი, რომლის სახელი ძველი ქართული სიტყვიდან „ვეძიდან“ მომდინარეობს. „ვეძა“ სულხან-საბა-ორბელიანის მიხედვით, „მომჟავო წყაროს“ ნიშნავს. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ორი სოფელი, ქვემო და ზემო ვეძისი არსებობდა. ეს ტერიტორია თბილისს ამავე საუკუნის 40-50-იან წლებში შემოუერთდა.

**ნავთლული** — თურქული სიტყვაა და ნავთიან ადგილს ნიშნავს. „მუნ დის ნავთი“, — ასე დაახასიათა ნავთლული მე-18 საუკუნეში თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვახუშტი ბატონიშვილმა. ის XVII-XVIII საუკუნეში ქალაქისპირა სოფელი იყო და თავად სუმბათაშვილებს ეკუთვნოდა.

**რიყა** — გვიანდელ შუასაუკუნეებში „ავლაბრის ქალას“ მტკვართან სიახლოვის გამო ეწოდა. ბანოვის მიერ შედგენილ 1809 წლის გეგმაზე ამ ადგილას დატანილია კუნძული, რომელიც მტკვრისგან მარცხენა ტოტით იყო გამოყოფილი. დროთა განმავლობაში ტოტში წყალმა იკლო, რამაც 20-30-იან წლებში აქ დასახლებულ გერმანელ მოახალშენებსა და მოლოკენებს საშუალება მისცა, ნაპირები სახელდახლოდ გაემარებინათ. მათ დიდი შრომით მოახერხეს მტკვრისთვის მიწის ნაკვეთის წართმევა, რითაც რიყის ტერიტორია გაიზარდა. მე-19 საუკუნის 30-იან წლებში აქ „ზალცმანის სასტუმრო“ იდგა, რომელიც ფრიდრიხ ზალცმანს, თბილისელი არქიტექტორის, ალბერტ ზალცმანის მამას, ეკუთვნოდა. აქვე იყო ზუბალაშვილების, მელიქიშვილების, ხოსროვისა და მირზოვის ქარვასლები. რიყეზე საკვირაო ბაზრობები ეწყობოდა. რიყე ქალაქის ყველაზე დაბალ ნაწილში, უშუალოდ მტკვრის ნაპირზე მდებარეობს, ამიტომაც წყალდიდობების დროს ხშირად ზარალდებოდა.

**ავლაბარი** — პირველად თბილისის მარცხეხა სანაპიროს მაღალი პლატოს ეს სახელწოდება გამოჩნდა 1398 წელს. სიტყვა არაბული წარმოშობისაა და „ბარე“ ნიშნავს კედელს. მთლიანობაში ავლაბარი უნდა ნიშნავდეს ტერიტორიას კედლებს შორის. ასეთი განმარტება ესადაგება შუასაუკუნეებრივ სტრუქტურას ქალაქის ამ ნაწილისა. ავლაბარი განლაგებულია ისინის (მეტეხის) ციხის სისტემის გარეთ.

**ბაგეზი** — ამ ადგილას სოფელ წყნეთის გლეხები აშენებდნენ ბოსტნებს და ინახავდნენ რქოსან პირუტყვს. აქედანაა სახელწოდება „ბაგე“.



**დელისი** — სახელის განმარტებაში არ არის ერთიანი ვერსია. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ის დაკავშირებულია აზერბაიჯანულ სიტყვასთან „დელი“, სხვები სიტყვასთან „მდელო“. ასევე მიიჩნევენ, რომ ეტიმოლოგია წარმოდგება სიტყვისგან „ძელი“, რადგან ეს ტერიტორია ადრე დაფარული იყო ტყეებით. დელისი იყო დაბა. ჯუანშერ ისტორიკოსის ნაშრომში გვხვდება პირველად, სადაც აღწერს, რომ „აქუს მეფეს აგარაკნი შემოზღობილთა მათ ტფილისისათა. გარნა უახლოეს არს აგარაკი დაბა დელისისა. ნაყოფიერი, შემკულ ჰაეროვნებითა ძნიად. საჭმელ ფრიად შესარგო“. საუბარია ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთ რეზიდენციასზე, რომელიც, სავარაუდოდ, იმდროინდელი თბილისის მახლობელ დაბა დელისში უნდა ყოფილიყო.

**საბურთალო** — თანამედროვე თბილისის საცხოვრებელი რაიონი. აქ ოდესღაც იყო სხვადასხვა თამაშობის ადგილი. საბურთალო პირდაპირი გაგებით არის „ბურთით თამაშობის ადგილი“. როგორც ჩანს, ძველად ამ ადგილას იყო ბალები, რაზეც მოწმობს ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც მიუთითებს, რომ აქ იყო მოყვანილი სარწყავი არხი მდინარე ვერასგან ბალების მორწყვისთვის.

**სოლოლაკი** — გადმოცემით, ციხესიმაგრის (ახლანდელი ბოტანიკური ბაღის) ბაღის მორწყვისთვის არაბული მმართველობის დროს აშენებულ იქნა არხი. ამ კანალს არაბულად ეწოდა „სულულახი“. როგორც ჩანს, ეს სახელწოდება გავრცელდა შემდგომ სხვა რუებზეც და ბოლოს მთელ მთაზე.

**გლდანი** — ამ უბანს სახელი მცხეთის რაიონში არსებული სოფელ გლდანის გამო ეწოდა, თუმცა ამ ტერიტორიაზე ძვ.წ. აღ III-II საუკუნეებში არსებობდა დასახლება, რომელიც მტრის შემოსევისას განადგურდა. ამას მუშების მიერ შემთხვევით აღმოჩენილი გადამწვარი ნასახლარები, კერიები და შურდულის ქვები მოწ-

**ნარიყალა**



მობს. აქვე იპოვეს დიდი ქვევრები და საკულტო ნაგებობები. ჰმრ/რ-ნის მშენებლობისას აღმოაჩინეს ყორღანები, რომლებიც დააკონსერვეს და ეზოებში მოაქციეს, რათა არ დაზიანებულეყვნენ. „სახელწოდების თავდაპირველი ფორმა იყო „გარდანი“, რაც ნიშნავს გარდამავალს — მთისა და ბარის თავშეყრის ადგილს.

...შემდეგ სახელწოდებამ განიცადა ცვლილება გარდანი-გრდანი-გლდანი“.

**სამბორი** — გადმოცემის თანახმად, აქ ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა, რომელსაც ვაჟი ჰყავდა. ერთხელ ნადირობისას ირმის პატარა შველი ნახა და შინ მოიყვანა. შველი ბიჭებთან ერთად იზრდებოდა. გავიდა დრო, ბიჭები გაიზარდნენ და მამისაგან ის სვეტი ჩაიბარეს, რომელზეც ცეცხლი უნდა აენთოთ მტრის გამოჩენის შემთხვევაში. ერთხელ მტერმა ქალაქის აღება განიზრახა. ბიჭებმა ისინი შენიშნეს და სვეტზე ცეცხლის ატანა დააპირეს. ორივე ძმა, რომელმაც ჩირაღდნის ატანა დააპირა, მტრის ისარმა იმსხვერპლა. უმცროსმა კი ირემს წერილი შეაბა და ქალაქში გააქცია, რათა ყველას გაეგო საფრთხის შესახებ, თავად კი მტერს შეაკვდა. ქალაქელებმა საფრთხის შესახებ შეიტყვეს, შეკრიბეს ლაშქარი და მტერი გააქციეს. „ძმების“ სიკვდილით დაღონებული ირემი დარდისგან მოკვდა. ქართველებმა სა-

მივე ძმა დაკრძალეს და სამთავეს საფლავს თითო-თითო მუჭა მიწა მიაყარეს. დადგა ვ დიდი გორა და, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომაც ჰქვია ამ ადგილს სამგორი.

**ნარიყალა** — სპარსული სიტყვაა და ნიშნავს შიდაციხეს.

**სვანეთის უბანი** — ენათმეცნიერ ივ. გიგინეიშვილის აზრით, ამ უბანში გორის რ-ნის სოფ. სვენეთიდან ჩამოსული ხალხი დასახლებულა. ხალხურმა ეტიმოლოგიამ კი უბანს, „სვენეთის უბნის“ ნაცვლად, „სვანეთის უბანი“ შეარქვა.

**ნაქალაქევი** — XX საუკუნის დასაწყისში ქარხნის მფლობელები მუშებს არ აძლევდნენ საცხოვრებელ ფართს. ისინი, მთავრობის აკრძალვის მიუხედავად, მაინც აგებდნენ სახლებს. ხელისუფლება ვერაფერს გახდა მათ წინააღმდეგ და იძულებული იყო, შეგუებოდა ამ სახლების არსებობას.

**დიღომი** — თბილისის ტერიტორიაზე არსებული უძველესი დასახლებული ადგილია. წყაროებში დიღვამის სახელითაა ცნობილი. ფეოდალურ ხანაში ადმინისტრაციული ერთეული იყო. სავარაუდოდ, აქვე იყო მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. დიღმის ტერიტორიის ურბანიზაცია 60-იან წლებში დაწყდა. აქიგეგმებოდა ინტელიგენტთა ჩასახლება, მაგრამ გეგმები ქვეყანაში არსებული არეულობის გამო ვერ განხორციელდა.

**დეა სვანიკა**



ლუიზოვ ორლოვა. კადრი ფილმიდან „ვოლგა-ვოლგა“



???????????????

ჟემბელ ლალანიძე, კახი კავსაძე და სოფიკო შიაურელი